

K 154806  
3



ქანთუაძე კონსტანტინე-თეოდორე  
სიბუხის კარნი

I

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა

შეაღბინა  
ქლ. დღონტა

К154806  
3

1

ა—ბ



499.962.1.03 (03)

ქართული ლექსთმცოდნეობის  
ლექსიკონი



4 I (03)  
199. 962. 1—3  
ლ 737

„ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“ წარმოადგენს ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონის შემდგენის პირველ ცდას და პირითადად საცნობო ხასიათისაა. ეყრდნობა იგი არსებულ მცირე ლექსიკონებს, ჩვენი სიტყვის მოყვარულთა კოლექციებს, მწერლობის ძეგლებსა და პირადად შემდგენლის მიერ წლების განმავლობაში ადგილებზე შეკრებილ მასალებს. სიტყვის კონაში შექმნილია მიხედვით ასახული ყველა დიალექტური ერთეულის ლექსიკური მასალა და იგი წარმოდგენას გვაძლევს იმ ამოუწყავ სიმდიდრეზე, რასაც ჩვენი ეროვნული საუნჯე შეიცავს, მაგრამ სისრულის პრეტენზია მას არა აქვს.  
სიტყვის კონა გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრეებისათვის.

Handwritten purple text, possibly a signature or date.

7—1—5  
205—74  
M—602

საქმ-2000  
შემოწმებულია

## წინასიტყვა

სალიტერატურო ენის განვითარებისა და გავრცელების პარალელურად კილო-თქმათა არეალი თანდათან იკუმშება. ადგილობრივი წარმოშობის სიტყვები, პირველ რიგში, საყოფაცხოვრებო და დარგობლივი ლექსიკა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ემსახურებოდა ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობას, მაგრამ დღეს აღარ შეესაბამება მისი ეკონომიური და კულტურული განვითარების დონეს, დავიწყებას ეძლევა (და მის ადგილს საერთო ხმარების სიტყვები იჭერს. წიგნის ენა სულ უფრო და უფრო მკვიდრდება ხალხის ყოფაში და კუთხური მეტყველება თავისთავადობას კარგავს. ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს კილო-თქმათა უნიფიკაციის პროცესი. ყოველივე ეს ჩვენი საზოგადოებისათვის ნიშანდობლივი და კანონზომიერი მოვლენაა. მაგრამ ნათქვამიდან არ შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, თითქოს კილო-თქმათა უნიფიკაცია უკვე სრულდება ან ახლო მომავალში დასრულდება და ჩქარა მთლიანად წაიშლება დიალექტური განშტოება ენისა. მეცნიერული საფუძველი ამის წარმოსადგენად არ არსებობს. ისტორიკოსებისა გვეუბნება, რომ დიალექტური თავისებურებანი მეტად გამძლეა და, ხალხის ყოფაში რჩება მათი წარმომშობი პირობების შეცვლის შემდეგაც კი. უნდა ვიფიქროთ, რომ ადგილობრივ ლექსიკას მომხმარებელი ჯერ კიდევ დიდხანს ეყოლება, რადგან ცოცხალი ენა ყოველთვის დიალექტებით. საზრდოობს, ხოლო სიცოცხლე, სმარებულობა ენისა უპირველესი პირობაა. კილო-თქმათა სიცოცხლისა.

დიალექტური მეტყველების ნაირფეროვანი სიტყვარი მუდამ იყო და რჩება სალიტერატურო ენის ლექსიკის არსენალად. კილო-თქმაში გვეხდება ასეულობით ისეთი სიტყვა, რომლის ბადალი სალიტერატურო ენას არ მოეპოვება, ან საერთო სიტყვას ამა თუ იმ კილოში აქვს ისეთი დამატებითი მნიშვნელობანი, რაც უცხო სალიტერატურო ენისათვის და მათი გავრცელება გაამდიდრებდა ხალხის საუნჯეს. მესვეურები ერის სულიერი კულტურისა ყოველთვის ეჭომაგებოდნენ ამისთანა სიტყვებს და ფართოდ უღებდნენ მათ წიგნის ენის კარებს. ილიას, აკაკის, ვაჟას, საერთოდ, ქართული კლასიკური მწერლობის დამსახურება ჩვენი ენის წინაშე წაწოდებულ იმიტომაც არის ასე განუზომლად დიდი, რომ მათ ასობით ხალასი სიტყვა გადაარჩინ-

ნეს დაკარგვას, ფრთხილად ამოკრიბეს ადგილობრივი მეტყველების სალა-  
როდან, მოაშორეს კუთხურობის მტვერი, განასპეტაკეს და სალიტერატუ-  
რო ენის სამსახურში ჩააყენეს, ხალხის საუნჯე ხალხსავე დაუბრუნეს. ეს  
საკანგებოდ აღსანიშნავი ფაქტია. ამასთან ჩვენ სიამოვნებით უნდა გავიხ-  
სენთ ისიც, რომ კლასიკურ მემკვიდრეობას იცავს და მის ტენდენციას  
სახელოვნად განაგრძობს ჩვენი თანამედროვე მწერლობა.

ქართული კილო-თქმების ლექსიკის შესწავლა-შეგროვებას დიდი  
ტრადიცია აქვს. კუთხური ლექსიკის პირველი ნიმუშები აღბეჭდილია ძვე-  
ლი მწერლობის ადრინდელ ძეგლებში, ხოლო მოგვიანებით საბას, შემდეგ  
ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში თვალსაჩინო ადგილი  
დაეთმო ადგილობრივ სიტყვათა ფონდსაც. ეს მრავლის მეტყველი ფაქ-  
ტია, მაგრამ ისიც საზგასასმელია, რომ შემოსენებულ წყაროებში აისახა  
მეტად მცირე კოლექცია იმ სიტყვებისა, რომლებიც ცოცხლობდნენ ხალ-  
ხში და სალიტერატურო ენის ხელუხლებელ რეზერვს ქმნიდნენ. გასული  
საუკუნის 90-იან წლებში განსაკუთრებით მწვავედ დაისვა კილო-თქმათა  
ლექსიკის მოვლა-პატრონობის საკითხი. ილიას „ივერია“ სათავეში ჩაუდ-  
გა ხალხის საუნჯის შეგროვებას და ამით ქართული ლექსიკონის შევსება-  
გამდიდრებას. გაზეთის ფურცლებზე ადგილი იპოვეს ჩვენი ქვეყნის  
სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული ლექსიკის მარგალიტებმა. პიონერები  
კუთხური სიტყვების შეკრება-პუბლიკაციისა იყვნენ ილია, აკაკი, ვაჟა, აგ-  
რეთვე თ. რაზიკაშვილი, ბაჩანა, მ. ჯანაშვილი, კ. გვარამაძე... „ივერია“  
დიალექტურ სიტყვათა ნიმუშებს პერიოდულად აქვეყნებდა საერთო სათა-  
ურით „ქართული ენის საუნჯის მასალად“. ამ სერიაში, კერძოდ, 1900  
წელს დაიბეჭდა ფშაური და ქართლური სიტყვების მთელი ლექსიკონი,  
შედგენილი თედო რაზიკაშვილის მიერ. ასევე 1901 წელს „მოგზაურში“  
(№ 10, გვ. 946-952) გამოქვეყნდა კ. გვარამაძის „გურული ლექსიკონი“  
და ა. შ. მაშინდელ პრესაში გამოქვეყნებული მთელი მასალა შემდეგ გაიცი-  
რილა და შევიდა ილია ჭყონიას „სიტყვის კონაში“, რომელიც 1910  
წელს გამოიცა პეტერბურგს ნიკო მარის რედაქციითა და წინასიტყვაობით.  
ამას მოჰყვა ვ. ბერიძის „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“ (პე-  
ტერბურგი, 1912), მ. ჯანაშვილის ინგილოური ლექსიკონი (1913; ავტორ-  
მა კაკ-ენისელში შეკრებილ სიტყვათა ლექსიკონი ჯერ კიდევ 1896 წელს  
გამოაქვეყნა), კირიონის სალექსიკონო მასალა (1913), ი. ბუჭურაულის  
თუშურ ხალხურ ლექსებში ნახმარ სიტყვათა განმარტებანი (1913), ა. შა-  
ნიძის დამატებანი ინგილოური ლექსიკონისათვის (1915) და სხვ. ერთი  
სიტყვით, შემზადდა ნიადაგი ქართული დიალექტური ლექსიკონის გამოსა-  
ცემად, მაგრამ, სამწუხაროდ, შემდეგ ამის ინტერესი თანდათანობით შე-  
ნეღდა და კარგად დაწყებული საქმე შეფერხდა.

ქართულ დიალექტურ ლექსიკას საჭირო ყურადღება უკანასკნელი 50  
წლის განმავლობაში მიეცა. საქმეს ხელი მოჰკიდეს საგნის სპეცია-  
ლისტებმა, ძველ თაობას წამოემგვლენ ახალი თაობები. თბილისის უნი-  
ვერსიტეტისა და რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენის  
კათედრებმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტის შესაბამისმა განყოფილებებმა ფართო ღონისძიებები განა-

ხორციელეს ჩვენი კილო-თქმების როგორც სტრუქტურის, ისე ლექსიკის შესასწავლად და თითოეული დიალექტური ერთეულის სინქრონიული მოდელის დასადგენად. ადგილებზე შეიკრიბა მდიდარი ფაქტობრივი მასალა, რომლის ერთი ნაწილი კიდევ გამოქვეყნდა მცირე ლექსიკონთა სახით. კუთხურ სიტყვათა პატარ-პატარა ლექსიკონები დაერთო ვაჟა-ფშაველას (ა. შანიძე), ა. ყაზბეგის (შ. ძიძიგური), ე. ნინოშვილის (თ. კიკვაძე), დ. კლდიაშვილის (მიხ. ალავეძე) თხზულებათა გამოცემებს. ქართული ენის საუნჯის შეკრება-პუბლიკაციაში თავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი: ნ. მარს (იმერხელი), მ. ჯანაშვილს (ინგილოური), თ. რაზიკაშვილს (ფშაური, ქართლური), ა. შანიძეს (ხევსურული, ფშაური, ინგილოური), ვ. ბერიძეს (იმერული, რაჭული, გურული), ვ. თოფურიას (აჭარული, თუშური, ლეჩხუმური, მესხური, რაჭული, ფერეიდნული, ხევსურული, ჯავახური), ა. ჩიქობავას (ფერეიდნული, გარეჯახური), კ. დონდუას (მესხური), შ. ძიძიგურს (ქართლური, მესხური, რაჭული), ნ. კეცხოველს (ქართლური), თ. კიკვაძეს (გურული), გ. შარაშიძეს (გურული), ს. ჟღენტს (გურული), ს. მენთეშაშვილს (ქიზიყური, ქართლური, აჭარული), მიხ. ჩიქოვანს (ლეჩხუმური), ბ. წერეთელს, ქ. ძოწენიძეს (ზემოიმერული), მის. ალავეძეს (ლეჩხუმური, იმერული, ოკრიბული), ი. ქავთარაძეს (იმერული, იმერხელი, ინგილოური, მოხეური), ი. იმნაიშვილს (გურული), ა. მარტიროსოვს (კახური), გრ. იმნაიშვილს (კახური, ინგილოური), ს. მაკალათიას (მთიულური, თუშური, ფშაური, ხევსურული), შ. ნიჭარაძეს (აჭარული), თ. უთურგაიძეს (თუშური), გ. შატბერაშვილს (ქართლური), ი. მაისურაძეს (მესხური), ლ. კაიშაურს (მთიულური), ი. გიგინეიშვილს (ქართლური, გუდამაყრული, კახური, მთიულური, ფშაური), ალ. ჭინჭარაულს (ხევსურული, ფშაური), ო. ქაჯაიას (მოხეური), პ. ხუბუტიას (ქართლური, კახური, თუშური), პ. ჯაჯანიძეს (გურული, აჭარული, იმერული), ი. მეგრელიძეს (გურული, აჭარული), კ. ჭრელაშვილს (ჩადმა თუშური), ზ. ჭუმბურიძეს (იმერული), ალ. გვენცაძეს (კახური), ი. ქეშიკაშვილს (ფშაური), მ. მესხიშვილს, თ. სალარიძეს, პ. გაჩეჩილაძეს, ლ. ნოზაძეს (ქართლური), გ. მაჭავარიანს (კახური), თ. ბერიაშვილს (კახური), ვ. სომხიშვილს (ქსნის ხეობის ქართლური), ამ სტრიქონების ავტორს (გურული, ქართლური), ალ. მაყაშვილსა და სხვებს, რომელთა ნაშრომები წინამდებარე სიტყვის კონაში თავთავის ადგილასაა დამოწმებული.

ხალხური საუნჯის მარგალიტები დროდადრო ქვეყნდება გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე.

საკმარისად მდიდარი ფონდი კუთხური ლექსიკონისა აღბეჭდილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, რომელიც მ ტომად გამოიცა პროფ. ა. ჩიქობავას საერთო რედაქციით (1950-1964).

როგორც ვხედავთ, კუთხური მეტყველების სიტყვობრივი მასალა ცოტა როდია გამოქვეყნებული, მაგრამ იგი მაინც მცირე ნაწილია ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონის იმ მარაგისა, რაც ჯერ კიდევ ხალხში ტრიალებს და შეუჯერებელია. ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ დაბეჭდილი პატარა ლექსიკონები დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და ძნელად

ხელმისაწვდომია არა მარტო მკითხველთა ფართო წრეებისათვის, სპეციალისტთათვისაც კი.

ყოველივე ამის გამო ქართულ კილო-თქმათა მოკლე ლექსიკონის გამოცემის საჭიროება დიდი ხანია მწვავედ იგრძნობა.

წინამდებარე სიტყვის კონა სტუდენტებთან მრავალი წლის მუშაობის შედეგად შეიქმნა, როგორც დამხმარე, საცნობო წიგნი. ახალგაზრდობას ულექსიკონოდ უძნელდება ჩვენი კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებში დამოწმებული კუთხური სიტყვების სწორად გაგება. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებიც ამავე მდგომარეობაში არიან. სათანადო ცნობარები და ლექსიკონები მათ არ მოეპოვებათ. ამ გარემოებამ, უწინარეს ყოვლისა, გადაგვაწყვეტინა სიტყვის კონის შედგენა და გამოცემა სახელდობრ წარმოდგენილი სახით.

ჩვენს სიტყვის კონას, რასაკვირველია, სისრულის პრეტენზია არა აქვს და არსებითად საცნობო ხასიათისაა, ეყრდნობა ძირითადად არსებულ წყაროებს. ბეჭდურ მასალასთან ერთად, შესაძლებლობის ფარგლებში, გამოყენებულია ქართული ხალხური სიტყვის მოყვარულთა პირადი კოლექციები, რაც თავ-თავის ადგილასაა აღნიშნული. ყველა ლექსიკურ ერთეულს ახლავს მოწმობა წყაროს შესახებ. უწყაროდ, ცხადია, აქ არც ერთი სიტყვა არ არის დამოწმებული.

კილო-თქმებად მიჩნეული გვაქვს: ა) აღმოსავლეთ საქართველოდან — გუდამაყრული, თიანური, თუშური, ინგილოური, კახური (შიგნი კახური, გარეკახური), მთიულური, ფერეიდნული, ფშაური, ქართლური, ქიზიყური, ქსნის ხეობისა, ხევსურული; ბ) დასავლეთ საქართველოდან — აჭარული (ქვემო და ზემო), გურული, იმერული (ქვემო და ზემო), ლეჩხუმური, ოკრიბული, რაჭული (ქვემო და ზემო); გ) სამხრეთ საქართველოდან — იმერხეული, მესხური, ჯავახური. ეს სქემა რამდენადმე არ ემთხვევა ქართულ დიალექტთა ტრადიციულ განლაგებას, მაგრამ აქ მასალის ამნაირად დაჯგუფება უფრო მოსახერხებელი გახდა.

სახელი (ძირეული, წარმოქმნილი, თხზული) სიტყვის კონაში შეტანილია სახელობითი ბრუნვის ფორმით (გამოყოფილია მხოლოდ ბრუნვის ნიშანი). ზოგი სახელი ამასთან გვხვდება მოქმედებითი, ვითარებითი ან რომელიმე სხვა ბრუნვის ფორმითაც, რადგან ლექსიკურ თავისებურებას შესაბამის დიალექტებში ხსენებული სიტყვები სწორედ ამ ფორმებით გვაჩვენებენ. ზმნა წარმოდგენილია უპირო ფორმების (საწყისისა და მიმღეობის) სახით. პირიანი ფორმები იმ შემთხვევაშია დამოწმებული, როცა სხვა სახით სიტყვა ლექსიკურ თავისებურებას არ ამჟღავნებს, ანდა საწყისისა და მიმღეობის წარმოება არ ძალუძს. ორივე შემთხვევაში სიტყვის ადგილობრივი ხმარებულებაა გათვალისწინებული. ზოგჯერ ზმნა ერთ რომელიმე გრამატიკულ ფორმაში გვაჩვენებს ლექსიკურ ნიუანსს, ამიტომ შესაძლებლად ვერ ჩავთვალეთ ზმნურ ერთეულებთან ინდექსების ჩვენება. სალიტერატურო ენის ფორმებისათვის ინდექსთა დართვა აუცილებელია, კილო-თქმებაში კი ზმნათა ფორმები იმდენად თავისებურია, რომ ინდექსის ან გრამატიკული კატეგორიების ჩვენება მის ლექსიკურ ღირებულებას ვერაფერს ჰმატებს, მით უმეტეს ჩვენს მიზანს ლექსიკური ერთეუ-

ლების განმარტება და არა სტრუქტურული კვალიფიკაცია შეადგენდა. სიტყვის კონაში დაცულია მხოლოდ მოდელი სიტყვისა, რომლითაც იგი ცნობილია ადვილზე. შესაძლებელი ან საჯარაუდებელი ფორმები მითითებული არ არის. ეს თითქოს ერთგვარი ნაკლიცაა ლექსიკონისა, მაგრამ ჩვენ ამას შევნიშნავთ ვუშვებთ. ჯერხნობით, სანამ ჩვენი კუთხური ლექსიკა ყოველმხრით შესწავლილი და შეჯერებული არ არის, აქ მასალის სხვაგვარად გაწყობა შესაძლებლად ვერ ჩავთვალეთ. სპეციალისტის თვალსიტიყვის კონის სხვა ნაკლსაც დაინახავს. ერთ მათგანს ჩვენც აშთავითვე კარგად ვგრძნობთ, სახელდობრ იმას, რომ ბევრი სიტყვის განმარტებას, ჩვენი ყოველგვარი მეცადინეობის მიუხედავად, სიზუსტე აკლია, ზოგი განმარტება ეგების მთლად სწორიც არ არის. სიტყვის კონის ამ გამოცენაში ვერ მოხერხდა ყველა სიტყვის ხმარებულობის სრული არეალის ჩვენებაც. ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია. იმედი გვაქვს, მსგავსი ნაკლოვანებები სიტყვის კონის შემდგომი სრულყოფის პროცესში გამოსწორდება. მკითხველთა ყველა საქმიანი შენიშვნა მადლობით იქნება გათვალისწინებული.

თურქულ-არაბული წარმომავლობის სიტყვები მთლიანად შეამოწმა და შეაჯერა აკად. ს. ჯიქიამ, რისთვისაც მას მადლობას მოვასხენებ.

ა. ლ.

8. XI. 69.

თბილისი



### ლიბერატურა, წყაროები, შემოკლებანი

ალავიძე მიხ., ლენხუმური ლექსიკონი, „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბ., 1938, გვ. 139-164 (მ. ალავ., I, ლენხ.).

ალავიძე მიხ., დავით კლდიაშვილის ლექსიკონი, „ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, VI, 1946, გვ. 49-62 (მ. ალავ., დ. კლდ. ლექსიკ., იმერ.).

ალავიძე მიხ., ოკრიბული ლექსიკონი, „ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, X, 1950-1951, გვ. 75-101 (მ. ალავ., ოკრიბ.).

ალავიძე მიხ., ლენხუმური ზეპირსიტყვაობა, თბ., 1951 (მ. ალავ., ზეპირსიტყვაობ., ლენხ.).

ალავიძე მიხ., მასალები ლენხუმური ლექსიკონისათვის, „ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, XIII, 1955, გვ. 29-77 (მ. ალავ., 2, ლენხ.).

ალავიძე მიხ., ქართული დიალექტური ლექსიკონიდან, „ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, XXIV, 1962, გვ. 279-291 (მ. ალავ., 3, იმერ., ლენხ.).

ბაბუნაშვილი ე., პურეულის ტერმინები სოფ. ბიწმენდის მეტყველების მიხედვით, „ოსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული“, V, თბ., 1950, გვ. 271-276 (ე. ბაბუნ., ქართლ.).

ბერიძე ვ., სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სპბ., 1912 (ვ. ბერ., იმერ., რაჭ.).

ბეჭაური ალ., გუდამაყრული ლექსიკონის ნიმუშები, „ოსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული“, I, თბ., 1941, გვ. 224-227 (ა. ბეჭ., გუდამაყრ.).

ბზვანელი ვლ., ქართული ენის საუნჯის მასალად, „ივერია“, № 172, 1900 (ვლ. ბზვ., გურ., იმერ.).

ბუქურაძე ივ., კარიკაშვილი დ., თუშურ ლექსებში ნახმარი სიტყვების განმარტება, „ძველი საქართველო“, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, IV, განყ. V, თბ., 1913, გვ. 122-129 (ი. ბუქურ., თუშ.).

გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე ჰ., ქართლურის სალექსიკონო მასალა, იკე, XVII, თბ., 1970, გვ. 324-337 (პ. გ ა ჩ ე ჩ ი., ქ ა რ თ ლ.).

გ ვ ა რ ა მ ა ძ ე კ., გურული ლექსიკონი, „მოგზაური“, № 10, 1901, გვ. 946-952 (კ. გ ვ ა რ., გ უ რ.).

გ ვ ე ნ ც ა ძ ე ა ლ., ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი თ., მასალები ქართული ენის კახური დიალექტის ლექსიკონისათვის, ხალხური საბავშვო თამაშობა-გართობის ლექსიკა. „ო. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, IV, 1960, გვ. 251-264 (ა. გ ვ ე ნ ც., თ. ბ ე რ ი ა შ ვ., კ ა ხ.).

გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ი., თ ო ფ უ რ ი ა ვ., ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1961 (დ ი ა ლ ე ქ ტ., აჭარ., გუდამაყარ., გურ., თიან., თუშ., იმერ., იმერხ., ინგილ., კახ., ლეჩხ., მესხ., მთიულ., მოხ., რაჭ., ფერეიდნ., ფშ., ქართლ., ქიზიყ., ყიზლ., ხევსურ., ჯავახ.).

დ ო ნ დ უ ა კ., Месхский говор грузинского языка, предисловие, текст, словарь: კ. დ ო ნ დ უ ა, რჩეული შრომები, I, შეადგინა, წინასიტყვა და შენიშვნები დაურთო ალ. ღ ლ ო ნ ტ მ ა, თბ., 1967, გვ. 341-383 (კ. დ ო ნ დ., მ ე ს ხ.).

ვ ე ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს მ ც ი რ ე ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი, შეადგინა ალ. ქ ი ნ ქ ა რ ა უ ლ მ ა, მთავარი რედაქტორი ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სარედაქციო კოლეგია: ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, მ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, გ. კ ი კ ნ ა ძ ე, მ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, თბ., 1969 (ვ ე ა - ფ შ. მ ც. ლ ე ქ ს ი კ.).

ზ უ კ ა კ ი შ ვ ი ლ ი ნ., ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი ევ., პურეულის ლექსიკა, შეკრებილი სოფ. იყალთოსა (თელავის რ.) და პატარძელში (საგარეჯოს რ.), ხელნაწერი, გადმოგვცა ი. ქ ე შ ი ა შ ვ ი ლ მ ა, 14.XI.69. (ზ უ კ ა კ., ე. ხ უ ც ი შ ვ., კ ა ხ.).

თ ო მ ა შ ვ ი ლ ი დ., ოკრიბული სიტყვები, ჩაწერილი სოფ. კოლეჯში, ხელნაწერი, გადმოგვცა შემკრების ქალიშვილმა პედაგოგმა მედეა ოყრეშიძემ (დ. თ ო მ ა შ ვ., ო კ რ ი ბ.).

ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გ რ., ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966 (გ. ი მ ნ., ი ნ გ ი ლ.).

კ ა ი შ ა უ რ ი ლ., მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967 (ლ. კ ა ი შ., მ თ ი უ ლ.).

კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი ნ., მორბის არაგვი არაგვიანი, თბ., 1972 (ნ. კ ე ც ხ., ქ ა რ თ ლ.).

კ ი კ ვ ა ძ ე თ., ეგ. ნინოშვილის ლექსიკონი; ე. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ს ი მ ო ნ ხ უ ნ დ ა ძ ი ს რედაქციითა და შენიშვნებით, ტ. I, თბ., 1932, გვ. 255-277; ტ. II, თბ., 1932, გვ. 273-290 (თ. კ ი კ ვ., გ უ რ.).

კ ი რ ი ო ნ ი, სალექსიკონო მასალა, „ძველი საქართველო“, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, II, განყ. V, თბ., 1913, გვ. 1-27 (კ ი რ ი ო ნ ი, ქ ა რ თ ლ.).

ლ ე ო ნ ი ძ ე ლ., მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925 (ლ. ლ ე ო ნ.).

ლ ე შ ა ვ ა ლ., მევენახეობის ტერმინები ქიათურაში, „თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული“, III, თბ., 1948, გვ. 63-80 (ლ. ლ ე შ., ი მ ე რ.).

მ ა ი ს უ რ ა ძ ე ი., მასალები მესხური ლექსიკიდან, „შ. რუსთაველის სა-

ხელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IV, 1954, გვ. 64-98 (ი. მაისურაძე, მესხ., ჯავახ.).

მაკალათია ს., მთიულეთი, თბ., 1930 (ს. მაკალაძე, მთიულ.).

მაკალათია ს., თუშეთი, თბ., 1933 (ს. მაკალაძე, თუშ.).

მაკალათია ს., ფშავი, თბ., 1934 (ს. მაკალაძე, ფშ.).

მაკალათია ს., ხევსურეთი, თბ., 1955 (ს. მაკალაძე, ხევსურ.).

მარტიროსოვი ა., იმნაიშვილი გ., ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956 (ა. მარტაშვილი, იმნაიშვილი, კახ.).

მაკავარიანი გ., მასალები ჰერეულის ლექსიკონისათვის შიგნი კახეთის, „თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული“, V, თბ., 1950, გვ. 286-296 (გ. მაკავარიანი, კახ.).

მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961 (ა. მაყაშვილი).

მეგრელიძე ი., მოკლე (აპარული) ლექსიკონი, წიგნში: ჯ. ნოდარაძე, ნარკვევები და ჩანაწერები, I, ბათუმი, 1971, გვ. 243-262 (ი. მეგრელიძე, აჭარ.).

Мегрелидзе И. В., Лазский и мегрельский слон в гური́йском, М., Л., 1938 (ი. მეგრელიძე, გურ.).

მენტეშაშვილი სტ., აპარის ეთნოგრაფიული მასალები, „ენიმკის მოამბე“, II, თბ., 1937, გვ. 139-178 (ს. მენტეშაშვილი, აჭარ.).

მენტეშაშვილი სტ., ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943 (ს. მენტეშაშვილი, ქიზიყ.).

მენტეშაშვილი სტ., ქართლურის სალექსიკონო მასალა (ალგეთის ხეობა), ივე, XVII, თბ., 1970, გვ. 251-282 (ს. მენტეშაშვილი, ქართლ.).

Мерчул Г., Жизнь св. Григория Хандзтийского, грузинский текст, введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшино и Кларджино, СПб., 1911 (გ. მერჩული, იმერ.).

მესხიშვილი მ., მასალები ქართლური დიალექტური ლექსიკონისათვის, ივე, XVII, თბ., 1970, გვ. 283-299 (მ. მესხიშვილი, ქართლ.).

მირიანაშვილი პ., ქართული ენის საუნჯის მასალად, „ივერია“, № 104, 1900 (პ. მირიანაშვილი, იმერ.).

ნიქარაძე შ., ქართული ენის აპარული დიალექტი (ლექსიკა), რედ. აკად. ს. ჭიჭია, ბათუმი, 1971 (შ. ნიქარაძე, აჭარ.).

ნიქარაძე შ., ქართული ენის ზემოაპარული დიალექტი, ბათუმი, 1961 (შ. ნიქარაძე, აჭარ.).

ნოზაძე ლ., ქართლური დიალექტური მასალები, ივე, XVII, თბ., 1970, გვ. 338-347 (ლ. ნოზაძე, ქართლ.).

ორბელიანი ს.-ს., ქართული ლექსიკონი, რ. ერისთავის რედაქტორობით, თბ., 1884 (საბა).

ორბელიანი ს.-ს., ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928 (საბა).

ორბელიანი ს.-ს., სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949 (საბა).

ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფიული ნუსხების

მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თხზულებანი, ტ. IV<sub>1</sub>, თბ., 1965; ტ. IV<sub>2</sub>, თბ., 1966 (საბა).

ქლენტი ს., გურული კილო, თბ., 1936 (ს. ქლ., გურ.).

რაზიკაშვილი თ., ქართული ენის საუნჯის მასალად, „ივერია“, №№ 127-135, 140, 142, 150-153, 155-157, 160-168, 1900 (თ. რაზიკ., ფშ.).

რობაქიძე ალ., მიმინოთი ნადირობა გურიაში, „მიმომხილველი“, I, თბ., 1949, გვ. 157-183 (ა. რობაქ.).

სალარიძე თ., ქართლური ლექსაიდან, იკე, XVII, თბ., 1970, გვ. 300-320 (თ. სალარ., ქართლ.).

სალარიძე თ., ალგეთის ხეობის ქართლური, „მაცნე“, № 2, 1971, გვ. 83-100 (თ. სალარ., ალგ.).

სიხარულიძე ქ., ქართული საბავშვო ფოლკლორი, თბ., 1938 (ქ. სიხ.).

სომხიშვილი ვ., ქსნის ხეობის მეტყველება, ხელნაწერი, 1967 (ვ. სომხიშვი., ქსნის ხეობ.).

უთურგაიძე თ., თუშური კილო, თბ., 1960 (თ. უთურგ., თუშ.).

ქავთარაძე ი., მასალები იმერული ლექსიკონისათვის, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, III, თბ., 1963, გვ. 109-160 (ი. ქავთ., იმერ.).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. ა. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტტ. I-VIII, თბ., 1950-1964 (ქეგლ.).

ქართველ მთიელთა / ზეპირსიტყვაობა, მთიულეთ-გუდამაყარი, ტექსტების მომზადება, რედაქცია, გამოკლევა და შენიშვნები ელენე ვირსალაძისა, თბ., 1958 (ე. ვირსალ., მთიულ., გუდამაყარ.).

ქაჯაია თ., მასალები მოხუცი კილოს ლექსიკონისათვის, „სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, XI, ცხინვალი, 1967, გვ. 375-451, გამოყენებულა აგრეთვე ამ ნაშრომის უფრო ვრცელი ხელნაწერი დედანი (თ. ქაჯ., მოხ.).

ქეშიკაშვილი ივ., თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა, თბ., 1969. გამოყენებულა აგრეთვე ამ წიგნის უფრო ვრცელი ხელნაწერი დედანი, რომელიც ავტორმა გადმოგვცა (ი. ქეშიკ., ფშ.).

დლონტი ალ., გურული ფოლკლორი, I, თბ., 1937, ლექსიკონი, გვ. 277-292 (ა. დლ., I, გურ.).

დლონტი ალ., გურული ლექსიკური მასალები, 1935, ხელნაწერი (ა. დლ., 2, გურ.).

დლონტი ალ., ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, თბ., 1948, ლექსიკონი, გვ. 286-288 (ა. დლ., ქართლ.).

შანიძე ა., ინგილოური ლექსიკონი: Шанидзе А. Г., М. Г. Джанашивили, Сайнгило, рецензия, «Записки Восточного отделения Императорского Русского Археологического общества», XXII, вып. III—IV, Петроград, 1915, გვ. 344—357 (ა. შან., ინგილ.).

შანიძე ა., წვესურული მასალების ლექსიკონი, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადული“, I-II, თბ., 1923-1924, გვ. 259-330 (ა. შან., ხევსურ.).

შანიძე ა., ვაქას ლექსიკონი: ვაქა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1922, 1928, 1946 (ვაქა, I, ა. შან., ფშ.); ტ. II, ალ. აბაშელიისა და

ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1950 (ვაჟა, II, ა. შან., ფშ.); ტ. III, აღ-  
ბააშელის რედაქციით, თბ., 1930 (ვაჟა, III, ა. შან., ფშ.); ტ. IV, აღ-  
ბააშელის რედაქციით, თბ., 1932 (ვაჟა, IV, ა. შან., ფშ.).

შარაშიძე გ., გურული ლექსიკონი, „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I,  
პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბ., 1938, გვ. 1-96 (გ. შარაშ., გურ.).

შატბერაშვილი გ., ჭაშნიკი, თბ., 1964 (გ. შატბერ., ქართლ.).

ჩიტაია გ., ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, „სა-  
ქართველოს მუზეუმის მოამბე“, IV, თბ., 1928, გვ. 203-237 (გ. ჩიტ., მოგ-  
ზაურ.).

ჩიტაია გ., მასალები საქართველოს სახვნელი იარაღის ისტორიისათვის,  
„საქართველოს მუზეუმის მოამბე“, V, თბ., 1930, გვ. 269-286 (გ. ჩიტ., მ-  
სალ.).

ჩიტაია გ., რაკული სახვნელი, „ენიმკის მოამბე“, I, თბ., 1937, გვ.  
247-294 (გ. ჩიტ., რაკ.).

ჩიტაია გ., ქსნური შთის გუთანის, „ენიმკის მოამბე“, V-VI, თბ., 1940, გვ.  
479-508 (გ. ჩიტ., ქსნ.).

ჩიტაია გ., ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, „საქარ-  
ციკლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის  
ინსტიტუტის მიმომხილველი“, ტ. I, თბ., 1949, გვ. 361-388 (გ. ჩიტ.,  
ქართლ.).

ჩიქობავა ა., ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, თსუ მოამბე,  
VII, თბ., 1927, გვ. 196-247; ლექსიკ., გვ. 244-247 (ა. ჩიქ., ფერეიდნ.).

ჩიქოვანი შიხ., ლეჩხუმურა ლექსიკონი, „ა. ს. პუშკინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები“, I, 1941, გვ.  
231-259 (შ. ჩიქ., ლეჩხ.).

ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ,  
აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961 (ნ. ჩუბ.).

ჩუბინაშვილი დ., საუნჯე ქართულის ენისა, ქართულ-რუსული ლექ-  
სიკონი, სპბ., 1887 (დ. ჩუბ.).

ძიძიგური შ., ქართლში ჩატარებული სალექსიკოლოგიო მუშაობის  
ანგარიში, ქსნისა და ლიხვის ხეობაში, „ენიმკის მოამბე“, II, თბ., 1937, გვ.  
317-324 (შ. ძიძ., ქართლ., ანგარიში.).

ძიძიგური შ., მთარაქული, „ძიძიანი ქართული დიალექტოლოგიადან“,  
თბ., 1954, გვ. 200-219 (შ. ძიძ., რაკ.).

ძიძიგური შ., ა. ყაზბეგის ლექსიკონი: ა. ყაზბეგი, თხზულებანი, ტტ.  
I-IV, თბ., 1948-1950 (ა. ყაზბ., I, II, III, IV, შ. ძიძ., მოხ.).

ძიძიგური შ., ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ,  
თბ., 1956 (შ. ძიძ., ქრესტ.).

ძიძიგური შ., კეცხოველი ნ., ხუბუტია პ., ქართლური ლექ-  
სიკონი. დაიბეჭდა ამ წიგნის რამდენიმე თაბახი, მაგრამ არ გამოცემულა. ერთი  
ცალი შემორჩა პროფ. შ. ძიძიგურს. ვსარგებლობთ ამ ცალითავტორის თვაზიანი  
დახმარებით (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ., ქართლ.).

ძოწენიძე ქ., ზემოიბერული კილოკავი, თბ., 1973 (ქ. ძოწ., ზ. იმერ.).

წერეთელი ბ., ზემოიშორებული ლექსიკონი, „ქართველურ ენათა ლექსიკონი“, I, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბ., 1938, გვ. 99-135 (ბ. წერეთელი, იმერ.).

წულაძე ა., ეთნოგრაფიული გურია, აკად. გ. ჩიტაიას რედ., თბ., 1971 (ა. წულაძე, გურ.).

კინკარაული ა., ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960 (ა. კინკარა, ხევსურ.).

კრელაშვილი კ., მასალები ლუდისა და არაყის გამოხდის ლექსიკონის ჩაღმა თუშურში, „ოსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული“, V, თბ., 1950, გვ. 258-263 (კ. კრელა, ჩ. თუშ.).

კრელაშვილი კ., ქსოვის ლექსიკონისათვის ჩაღმა თუშურში, „ოსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული“, V, თბ., 1950, გვ. 264-270 (კ. კრელა, ჩ. თუშ.).

კუმბურიძე ზ., მევენახეობის ტერმინოლოგია ქვედა სიმონეთში, „ოსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული“, III, თბ., 1948, გვ. 80-87 (ზ. კუმბურიძე, იმერ.).

კუმბურიძე ზ., მასალები პურეულის ლექსიკონისათვის ქვემო იმერეთში, „ოსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული“, V, თბ., 1950, გვ. 277-285 (ზ. კუმბურიძე, ქვ. იმერ.).

კყონია ი., სიტყვის კონა, საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები, ნ. მარის რედაქციითა და წინასიტყვაობით, სპბ., 1910 (ი. კყონია, გურ., იმერ., ქართლ., ფშ., ხევსურ.).

ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მიხ. ჩიქოვანის რედ., თბ., 1953 (თ. რაზიკა, ფშ.).

ხალხური საუნჯის მარგალიტები (კუთხური სიტყვების ნიმუშები), პროფ. ი. ჭავთარაძის რედაქციით, ვაზ. „კომუნისტი“, №№ 88, 190, 294—1967; №№ 157, 187 — 1968; №№ 190, 267 — 1969 („კომუნისტი“).

ხუბუტია პ., ქართლში ჩატარებული სალექსიკოლოგიო მუშაობის ანგარიში, „ენიმის მოამბე“, IIვ, თბ., 1937, გვ. 325-326 (პ. ხუბ., ქართლ., ანგარიში).

ხუბუტია პ., მოკლე ანგარიში თელავის რაიონში ჩატარებული სალექსიკოლოგიო მუშაობის შესახებ, „ენიმის მოამბე“, IVვ, თბ., 1939, გვ. 263-272 (პ. ხუბ., კახ., ანგარიში).

ხუბუტია პ., თუშური კოლო, ლექსიკა, თბ., 1969 (პ. ხუბ., თუშ.).

ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, თბ., 1930; ტ. II, თბ., 1935 (ი. ჯავახი, I, II).

ჯანაშვილი მ., კაკ-ელისენში შეკრებილი სიტყვები:მ. ჯანაშვილი, ფარსადან გორგჯანიძე და მისნი შრომანი, თბ., 1896, გვ. 86-123. ეს მასალა ავტორმა შემდეგ მთლიანად შეიტანა თავის „საინგილოზე“ დართულ ლექსიკონში (მ. ჯან., ინგილ.).

ჯანაშვილი მ., საინგილო, „ძველი საქართველო“, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, II, განყ. IV, თბ., 1913, გვ. 238-274 (მ. ჯან., ინგილ.).

ჯაჯანიძე პ., მასალები იმერული ლექსიკონისათვის, „ა. წულუკიძის სა-

ხელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, IX, 1949, გვ. 241-271 (პ. ჯაჯან, IX, იმერ.).

ჯაჯანიძე პ., მასალები გურული ლექსიკონისათვის, „ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, XVII, 1957, გვ. 509-523 (პ. ჯაჯან, გურ.).

ჯაჯანიძე პ., მასალები იმერული ლექსიკონისათვის, „ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, X, 1950-1951, გვ. 59-74 (პ. ჯაჯან, X, იმერ.).

ჯაჯანიძე პ., აჭარული ლექსიკონის მასალები, „ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, XXIII, 1961, გვ. 223-334 (პ. ჯაჯან, აჭარ.).

ჯოხაძე ნ., მევენახეობის ტერმინები შიგნი კახეთში, „თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული“, III, თბ., 1948, გვ. 56-63 (ნ. ჯოხ., კახ.).

\* \* \*

წყაროებიდან ამოწერილი ბარათების დედნებთან შეჯერებაში დროდადრო გვევლოდნენ დოც. ვ. სომხიშვილი, გ. გოგატიშვილი, ზ. ტყაბლაძე, ლ. ა. ნოზაძე, მ. თაყაიშვილი, გ. კუონია, ც. ბარათელი, ნ. რამიშვილი, ქ. გოდერძიშვილი.

ყველა ნიშნის დაცვა ტექსტში ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. მაგალითად, გრძელი ხმოვნები აწყობილია შავად და არა შესაბამისი დიაკრიტიული ნიშნებით, თუშური ლექსიკონებიდან ამოკრებილ თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელებში სახელობითი ბრუნვის ნიშნად უმარცვლო ი-ს (ი) ნაცვლად ნახმარია ი და ა. შ.

სიხარული კომპა

154.26  
3  
11





- ა (მოხ., ფშ., რაჭ.) კინობით-მოფერებითი ნაწილაკი, რომელიც თანხმობაზე გათავებული სახელის (ზოგჯერ ზედსართავის) ფუძეს დაერთვის: ქალა, ცელა, აკაენა, მარილა (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ., 496; ვაჟა, I, ა. შან., 357; დიალექტ., 596, 681). შდრ.: ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.
- ა? (ფშ., თიან., ინგილ., თუშ.) კითხვითი ნაწილაკი: ხარა? მოხვედია? ჩემს კუტუშას წაიყვანათ? (დიალექტ., 589, 596, 612; პ. ხუბ.). შდრ.: ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.
- ა (ინგილ., რაჭ.) ემფატიკური ან ნართული ხმოვანი, გამოვლინდება ზმნებში ჩვეულებრივ სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის წინ: ხართა, სახელებში ასე: წავდეთ ჩონსაო (დიალექტ., 612, 681).
- ა! (მოხ.) შორისდ. მწუხარებისა (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ., 496).
- ა (ხევსურ.) შემოკლებული აი (აპა) ნაწილაკი, რომელიც ახლა დამოუკიდებელივ აღარც კი იხმარება, არამედ ყოველთვის რომელსამე სიტყვასთან ერთად, იმის წინ: ა ბეჩა აი, ბეჩაო (ა. შან.).
- აა (გურ.) აპა, აი; გამოხმაურება (ა. ლლ.).
- აა! (მოხ.) შორისდ. აღტაცებისა (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ., 496). შდრ.: ქეგლ.
- აამჟივეელი (ინგილ.) ასამჟივეელი, ასაფუთებელია (დიალექტ., 612).
- აანცება (გურ.) აკლება, აფორიაქება. (ა. ლლ.). შდრ.: ქეგლ.
- აატანლა (ინგილ.) ასაღებად, დასაპყრობად წასვლა. „წასულა იმი ყალაა აატანლა“ (გ. იმნ., 193, 209).
- ააფეთქვეელი (ინგილ.) ასაფეთქებელია; აფეთქდება (დიალექტ., 612).
- ააქონს (ინგილ.) იღებს, აიღებს (დიალექტ., 612).
- აბაბა-ი! (ფშ.) შორისდ. გაკვირება-გაოცებისა (დიალექტ., 589).
- აბაბაბა(ი) (ფშ.) შორისდ. გაკვირებისა. „აბაბაბა, რამდენ წყალ-ადგილ გაუჩენავ, გიგო, იმ დალოცვილს ღმერთს!“ (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- აბა-ლა-პა! (ფშ.) შორისდ. მოწოდებისა. „გაუბედე, წრუწუნავ, გაუბედე! აბა და პა! ემანგრე, ემანგრე!“ (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- აბადელა-ი, აბადელია (გურ.) მხიარული ხალხური სიმღერა (ა. ლლ.). შდრ.: ქეგლ.
- აბაზა (ხევსურ.) ბალბა, მცენარეა (ა. მაყ.).
- აბაღბვა (კახ.) კალოზე ნაღწის ორთითით აჩეჩა, აწეწვა, აქცევა (ა. მარტ., გ. იმნ., 176).
- აბაღლე (ქართლ.) 1. აბა: გაღატ. აბა საღაპ აბა მაჩვენე (კირიონი; შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.). შდრ.: ქეგლ; 2. (ხევსურ.) შორისდ. აბა, აბა ერთი! (დიალექტ., 549).
- აბამბღვლა (კახ.) ზანტად, მძიმელ ადგომა კამეჩისა (ა. მარტ., გ. იმნ.).
- აბანდო (ქსნ. ხეობა) ხარის პირის ასაკრავი თოფრა, კალოობისას ხარმა თავთავები რომ არ შეუკამოს (ფ. სიმხიშვ.)



აბარება

აბარება (ქართლ.) საქონლის საშენებ-  
ლად აყვანა (ლ. ლონ.).  
აბარძალეობა გულისა (იმერ.) გულის ჩქარ-  
ობი აძვირება (ი. ქავთ.).  
აბაბტად (ფშ.) უტბად, ერთბაშად (ვაჟა,  
I, ა. შან., 357).  
აბაბინე-ა (თუშ.) ცომი (პ. ხუბ.).  
აბგარ-ი (ფშ.) ეს სიტყვა იხმარება მხო-  
ლოდ აბჯართან ერთად: აბ გ არ-აბჯარ-  
ი ან აბჯარ-აბ გ არ ი (ვაჟა, II, ა.  
შან., 429). შდრ.: ქეგლ.  
აბდალ-ი (გურ.) სულელი (ი. ჭყონ.).  
შდრ.: ქეგლ.  
აბდარ-ი (გურ.) ავდარი (ს. ფლ.).  
აბებრება (კახ.) თორნეში ჩავერისთანავე  
პურის პირის აბურება მეტი სიმბურ-  
ვლისაგან (ა. მარტ., გ. იმნ.). შდრ.:  
საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.  
აბეღ-ი (მთიულ.) მეტად მაგარი (ლ.  
კაიშ.).  
აბეზრად წახვლა-ა (თუშ.) გათხოვილი  
ქალის მშობლებთან წასვლა საჩივლე-  
ლად უხასიათო ქმრის შესახებ (პ. ხუბ.).  
აბელინა (ქართლ.) აბილილი, მცენარე  
(ა. მაყ.).  
აბერტყვა (მთიულ.): ერთი აბერტყ-  
ვა სადღებელიდან ერთი ამოღება კა-  
რაქი (ლ. კაიშ.).  
აბეჩხარ-ი (მთიულ.) მამული, რომელიც  
ცუდ მოსავლას იძლევა (ლ. კაიშ.).  
აბეჭარ-ი, აბეჩხარ-ი (ქიზიყ.) მოსუ-  
ლელი (ს. მენთეშ.).  
აბზიკარა (რაჭ.) მებენარა მწერი, ბუზა-  
რეა (ნ. ც. ბერ.).  
აბზილაკ-ი (იმერ.). ნ. აბზილაკა.  
აბზილაკა, აბზილაკ-ი (იმერ.) აბზი, ნა-  
ზი; მეტიჩარა (ი. ქავთ.).  
აბზინთა (ფშ.) აბზინდა (ა. მაყ.).  
აბზინტა (ხევსურ.) ნ. აბზინთა.  
აბიზ-ზაბიზ (ქიზიყ.) ბავშვთა თამაში (ს.  
მენთეშ.).  
აბილავება (იმერ.) იატაკზე ან მიწაზე  
დაცემული სხეულის უკუქცევა (ი.  
ქავთ.).  
აბილაურ-ი (ქართლ.) ვაშლის ერთი საუ-

კეთესო ჯიშთაგანი, ხარობს ქართლში  
(ი. ჭყონ.; შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.)  
შდრ.: ქეგლ.  
აბილაურ-ი (ლეჩხ.) საზაფხულო მსხვილი  
ვაშლი (მ. ალავე, 1).  
აბარება (ფშ.) ტირილით მოთხოვნა სას-  
მელ-საშემლისა (ბავშვის მიერ) (ვაჟა, I,  
ა. შან., 357); რაიმეს ან ვინმეს მიმართ  
სურვილის გამოწვევა, მიზიდვა (ი. ქე-  
შიკ.); აბ ი რ ე ბ უ ლ-ი სურვილადრუ-  
ლი, მონდომებული (ვაჟა-ფშ. მც. ლექ-  
სიკ.).  
აბისურა (ქართლ.) ყურძნის ჯიშია ერთ-  
გვარი (დიალექტ., 633).  
აბლ-ი (გურ., აქარ.) ფერფლი, აელი (გ.  
შარაშ.; შ. ნიქარ.).  
აბლაბულა (ოკრიბ.) უგუნური, სულელი.  
„აბ ლ ა ბ უ ლ ა ს ნათქვამს ვინ დეი-  
ჯერებს“ (მ. ალავე).  
აბლაკ-ი (ქიზიყ., ქსნ. ხეობა). 1. მცირე  
კუთის ადამიანი; 2. თხელი უხვირო  
ქსოვილი (ს. მენთეშ.); 3. კუპანაკლები,  
ბეცი (გ. სომხიშვი.).  
აბლანდულ-ი (გურ.) გადატ. არეული,  
თავბრუდახეული (ა. ლლ.). შდრ.:  
ქეგლ.  
აბლატ-ი (ფშ.) ჩურჩუტი, ყყყეჩი, შტერი.  
„სახლში შამლის საუბედუროდ ინდაუ-  
რები გაიჩინეს, — გაიჩინეს ეს აბ ლ ა-  
ტი, ჩერჩეტი, კიკვივა ფრინველები“  
(ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).  
აბლაუცა-ი (გურ.) საქონს გაუგნებელი.  
მოსულელი, ლენი, დონდლოდ მოსი-  
არული (ი. ჭყონ.; ს. ფლ.; ა. ლლ.).  
აბლაყ (ინგულ.) უფერული ცხენი, ქათა-  
მი და სხვ. (მ. ჯან.). შდრ.: აბლაკი  
(საბა). თურქ. aplak.  
აბლაყ-ი (კახ., ქართლ.). 1. აყლაყულა.  
უქყო ადამიანი (ა. მარტ., გ. იმნ.);  
2. შაღალი და მოუქნელი (თ. სალარ.).  
აბლიხულ-ი (იმერ.) ატუხული, უშნოდ  
და უპაროდ დამდგარი, აყუდებული  
(ი. ქავთ.).  
აბნევა (ქართლ.) ნემსის აგება (კირიონი).  
აბოთიაღება (იმერ.) უგუნური, მოუხე-



შავი მოქცევა ადამიანისა. „ჰქუა უნდა ისტავლო, ბიძია! რო ან ოთია ღდე-ბი ხანდახან, კაი რაჲა მოგვიყა!“ (პ. ჯაჲან., IX, 242).

აბოლავება (კახ.) ურმის აყირავება (ა. მარტ., გ. იმნ.).

აბოლგება (ქართლ.), ბოსტნეულის აბოლგება გადაუღებელი წვიმების დროს ბოსტნეულის აზრდა (გ. შატბერ., 14).

აბოჟირება (ფშ.) აშლა, აყრა (ვაჲა, II, ა. შან., 429); აბოჟირებულ-ი აწიო-ოცებული, ადგილ-სამყოფლის მოშლით შეწუხებული (ი. ქეშვი.); აბოჟირებას ერთმანეთში რვეს, შლის, აწიო-ოცებს (ვაჲა-ფშ. მც. ლექსიკ.).

აბორგება (მიწისა) (გურ.) მიწის გამო-ფიტვა (პ. ჯაჲან.).

აბორგვენება (ფშ.) შეოჯუა (ვაჲა, I, ა. შან., 357).

აბოს კბილ-ი (გურ.). ნ. აღის კბილი.

აბოსკერცბ-ი (მესხ., ჯაჲან.). ნ. გოლ-გოთო.

აბჲანდ-ი, აფჲანდ-ი (მესხ.) პაჲანიცი, შარ-ვლის ან ქვედა ზაცელის ტოტზე ამო-კერებული ზონარი ფეხის ტერფებზე ამოსადებად (ი. მაისურ.).

აბრა (ქართლ.): აბრაჲ გაუხთა, გაუსწორ-და (ი. ჰყონ.).

აბრაგ-ი (ქვ. იმერ.) უშნო, შეუსაბამი მა-ლალი. ჩვეულებრივ ცხოველზე იტყვი-ან (პ. ჯაჲან., IX, 242).

აბრაგიდელის ვადაყრა (გურ.) საყვედუ-რის თქმა გაჭაგრებით (გ. შარაშ.).

აბრაგინ-ი (ქართლ.): აბრაგინის ამოყვრა გაგდება, „პანდურის ამოყვრა“ (ს. მენ-თეშ.).

აბრაღინ-ი (გურ.). ნ. ანაბრინი.

აბრაჲყ-ი (ფშ.) ტვირთსაზიდი თოყისათ-ვის მობმული ხის რკალი (ა. ჰინჰარ., ფშ.).

აბროშკაჲ-ი (თუშ.) რკინის სალტე. ნ. ყაპყატო (პ. ხუბ.).

აბროწიაღება (ქართლ.) აყუანა და ატრი-

აღება, აქანავება. ნ. აბროწიაღება (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

აბრუ (გურ., იმერ., ფშ.): აბრუს არ იტეხს, სახელს არ იტეხს, ნამუსს არ ირცხვენს (ი. ჰყონ.); სახელი, ღირსება, ავტორიტეტი (ი. ქეშვი.; ვაჲა-ფშ. მც. ლექსიკ.). სპ., თურქ. âbiru.

აბუა (ხევსურ.) ერბო ბავშვის ენაზე (ა. ჰინჰარ., 270).

აბუღგულ-ი, აბუთჲჲულ-ი (იმერ.) აფუთ-ქული (პ. ჯაჲან., IX, 243).

აბუება (კახ.) გაბუტვა, გაწყრომა (ა. მარტ., გ. იმნ.); (ქართლ.) გარისხვა, გარიყვა, ახლოს არ მიყარება (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.). აბუებულ-ი (იმერ.) აბუჩად აგდებული, მოძულე-ბული (პ. ჯაჲან., X).

აბუეტ-ი (ფშ., ინგილ.) მიუსხედრელი, ჩერჩეტი (ვაჲა-ფშ. მც. ლექსიკ.); ყე-ყეჩი (მ. ჯან.). შდრ.: ქეგლ.

აბუეტ-ი<sup>2</sup> (ფშ.) ფრინველია, ბაბაყული (ვაჲა, I, ა. შან., 357).

აბუეტ-ი<sup>3</sup> (ქართლ.). 1. ელამი; 2. მოსუ-ლელო, წინდაუხედავი ადამიანი; 3. ჯი-უტი, გაკერებული საქონელი (შ. ძიძ., ანგარიში).

აბუზავება (გურ.) სხვის მიერ გაკეთებუ-ლი საქმის სასაცილოდ აგდება. „ამ საქ-მეს ასე აბუზავება არ ეკადრება“ (გ. შარაშ.).

აბურახება-ა (თუშ.) ნათესის აბალახი-ნება; აბურახებულ-ი აბალახიანე-ბული, ბალახმორეული (პ. ხუბ.).

აბურთუწავება (ინგილ.) აფუთქება, ანთე-ბა უცებ (მ. ჯან.).

აბურძგალა (ფშ.) ქათამი. „აბურძგა-ლამ სიბი შობა, სიბმა აბურძგალა შობა“ (თ. რაზიკ., „ივერია“, № 127, 1900; ი. ჰყონ.).

აბუსხველათ-ი (აჲარ.) აბუსალათინი, მცე-ნარეა (ა. მაყ.; შ. ნიყარ.).

აბუტულავება (ქართლ.) აკლება, აოხრე-ბა (ა. ღლ.).

აბუჲა (ქართლ.) ხელაყრული, დაუზოგა-ვად რომ ეკიდება საუთარ ცხოვრებას,

ქუა

დარდიმანდი. შდრ.: აბუქარი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

**აბუქარი-ი** (ქიზიყ.) მკეცხარა, ბაქია (ს. მენ-თემ.).

**აბუქება-ა** (თუშ.) დასივება (თ. უთურგ.).

**აბუძგვა ტანში** (გურ.) შეშინების გამო მთელ ტანზე თმის ყალყზე დადგომა, აბურძგნა (გ. შარაშ.).

**აბღვრება** (ლეჩხ.) ამტვერება (მ. ჩიქ.).

**აბღოტება** (ფშ.) გაჭირვებით, ბოზღვით ასვლა, აბოზღება (ი. ქეშიკ.).

**აბღრიალება** (იმერ.) აღრიალება, ხმამალ-ლა ატირება (პ. ჭაჭან., IX, 243).

**აბღუნძვა** (ქიზიყ.) ცული შეკერილობის გამო ნაყერზე ნაოჭის დაყრა (ს. მენ-თემ.).

**აბღუჯღ-ი** (გურ.) აკრული (პ. ჭაჭან.).

**აგ-ი** (გურ.) ეს; აგ ი ნ-ი ესენი; აგ ი ნ-მ-ა ამათ ( ე. ნინ., II, თ. კიკვ.; ქეგლ.).

**აგაწვა** (იმერ.) სულ ერთიანად აკაფვა, აჩეხა, მოურიღებლად აჭრა. „ვიწ აგ ა-ზა ნეტაი ე ის ბურღები?“ (ი. ქავთ.).

**აგათ-ი** (თუშ.) ასეთი. „აგათი მარტე ზამთარ ჯერ არ ყოფილ თუშეთ“ (პ. ხუბ.).

**აგამაში** (ფშ.) ხარის გასარეკი შეძახილი გასამხნეველად (ვაჟა-ფშ. მც. ლექ-სიკ.).

**აგამუჩ-ი** (ფშ.) თხის გასარეკი შეძახილი (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).

**აგანგალობა, ახშარიობა** (ქიზიყ.) საბავ-შვო თამაშობა ერთგვარი (ს. მენტემ.). შდრ.: ქეგლ.

**აგარა** (ქართლ.) მთა ადგილი (ს. მენტემ.).

**აგარანია** (გურ.) დიდი ცეცხლი (პ. ჭაჭან.).

**აგდება** (წყლისაგან) (მესხ.) მარილიანი საკმლის შემდეგ წყლის სმის მოხშირე-ბა (ი. მაისურ.).

**აგდება გუთნისა** (ქართლ.) გუთნის გა-მოსხნა, ხენისათვის თავმინებება (ა. ლლ.).

**აგდიგოგდი სიარული-ი** (მესხ.) გოგმანი, ქალის მოხდენილი სიარული (ი. მაი-სურ.).

**აგე!** (ფშ.) ჩვენებითი ნაწილაკი აგერ (ი. ქეშიკ.).

**აგე<sup>2</sup>** (ფურეიდნ.) ასეთი (დიალექტ., 627).

**აგება თივისა** (ფშ.) თივის დაზვიენვა (დი-ალექტ., 589).

**აგემა-ი** (ფშ.) აი, ავა (ვაჟა-ფშ. მც. ლექ-სიკ.).

**აგერი!** (ხევსურ.) მოზერის გარეყვისას წარმოთქვამენ ამ სიტყვას. მოხმობისას ამბობენ: ნწა-გერი! გერი-გერი! (ა. კინ-ქარ., 232).

**აგერ-ეგერ** (გურ.) აქა-იქ. „აგერ-ეგერ სხეული მოუჩანდა“ (ე. ნინ., II, თ. კიკვ.; ქეგლ.).

**აგერ-იეგერ** (აქარ.). ნ. აგერ-ეგერ.

**აგეჩრება** (ქართლ.) აჯაგრება, თმის ყალ-ყზე აღგომა ჭაგარსავით საფრთხის მო-ახლოებისას (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

**აგვართა-ი** (გურ., მეგრ.) მწყემსების ან ზოგჯერ მონადირეთა საყარაულო ქო-ხი მთაში ან ტყეში (ი. ჭყონ.).

**აგვერღება** (გურ., აქარ.) გვერღზე მოქ-ცევა (ა. ლლ.); აგვერღებულ-ი გვერღზე მოქცეული, გვერდულად, ცე-რად დაქანებული. „რაფერ აგვერ-ღებულ-ი ზიხარ, სტორათ ვერ დაყ-ღები!“ (შ. ნიყარ.).

**აგზე** (აქარ.) აქ (პ. ჭაჭან.); აქ-ზე, აქ, ამა-ზე, ამ ადგილას (შ. ნიყარ.).

**აგიღელა** (გურ.) რთელის ხალხური სიმ-ღერა (ა. ლლ.); სიმღერა მალღარი ყურძნის კრეფის დროს. ერთი მკრე-ფელთაგანი ხმამალა წამოიწყებდა: „ა გიღელა, ჰაა! ა, გიღელი კუშტულ-მახელიო, შით არის ხუთი მარჩი-ლიო“... დანარჩენები ყოყინით ბანს აძღვედნენ (გ. შარაშ.).

**აგინ-ი** (იმერხ.). ნ. აგი.

**აგოგლომება** (მოხ.) მრგვალი გუნდების გაყეთება (ო. ქაჯ.).

**აგორნიგება** (ფშ.): აგორნიგლები-ან აღელღებიან, აიშლებიან (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).

**აგრი-იგრი** (ინგილ.) აქეთ-იქით (დიალექტ., 612). აზერბ. აკრი-იკრი.

**აგრა** (ქართლ., კახ., მოხ.) აგერა, ჩვენე-  
ბითი ნაცვალსახელი აგერ (ა. ღლ.).  
მოხ. აგრაჲ (ო. ქაჯ.).

**აგრამანტი**-ი (მესხ.) აბრეშუმის ზონარი  
მოსართავად შემოვლებული ქალის  
ტანსაცმლის კიდურებზე (ი. მაისურ.).

**აგრეობა** (ფშ.) თანხმობა (ს. მაკალ.).

**აგრობან** (ინგილ.) აქეთყენ; ი გ რ ო ბ ა ნ  
იქითყენ (მ. ჯან.).

**აგუზიო** (ქიზიყ.) სათბილო, საქონლის  
(ძროხის, ხარის, კამეჩის) უქანალი (ს.  
მენთეშ.).

**აგულეზა-ა** (თუშ.) ალაგება (თ. უთურგ.):  
დალაგება ოთახის, სამზარეულო სახ-  
ლისა (პ. ხუბ.).

**აგუნა-ი** (გურ.) ღვინის ღვთება. ახალი  
წლის საღამოს იმართებოდა აგუნას გა-  
დაძახება სიმღერით: „აგუნა, აგუნა,  
გადმეიარეო, ბახეი, ასკანა გამეიარე-  
ო; სხვის ყანაში ფურცელიო, ჩვენს  
ყანაში ყურძენიო; სხვის ქალღეს ვი-  
რისთავიო, ჩვენს ქალღეს — ჩერეე  
(ნ.) და კვირისთავიო“ (ა. ღლ.); ა გ უ -  
ნ ა ს ვ ა დ ა ძ ა ხ ე ბ ა ყ უ რ ძ ნ ს ღვთა-  
ების საპატივედგომ რიტუალი (ქეგლ).

**აგურაჲ-ი** (თუშ.) ამჟოლი საქონელი (თ.  
უთურგ.).

**ად** (თუშ.) კავშირი და (თ. უთურგ.).

**ად-ი** (ფშ.) სახელი. ხასიათი, თვისება  
(ი. ქეშიც.). თურქ. ad.

**ადა-ი!** (მოხ.) შორისდ. მწუხარებისა.  
„მოწინავე წყნარად და მწუხარეს ხმით  
დაიძახებდა: „დადაი“ და ლოყებში  
ცემით სხვები ბანს მისცემდნენ და პა-  
ტარა ნაბიჯის გადღვამით წინ წაიწე-  
დნენ. ამათ ლოყებში შემოყვრით და  
„დადაი“ სიტყვებით ცხედართან მყოფი  
ჭირისუფლები უბასუხებდნენ“ (ა.  
ყაზბ., I, 144; შ. ძიძ., 496).

**ადალა** (კახ.) ჩერჩეტი, ყეყეჩი, შტერი  
(ა. მარტ., გ. იმნ.).

**ადამიანობა** (მთიულ.) ქალები, დედაკა-  
ციები (დიალექტ., 566); ა დ ა მ ი ა ნ ი  
ქალი. „სათიბში წავედი. ა დ ა მ ი ა ნ ი-

ც ა და შეილიც თან მყავდა“ (ე. ვირ-  
სალ., 293).

**ადამკოკო** (გურ.) დიდი ხნის ადამიანი.  
ადამისწლისა (გ. შარაშ.).

**ადარო აილო** (გურ.) ფრინველზე იტყვი-  
ან. ზოგი ფრინველი, მაგ., შავარდენი,  
ტანს რომ დიბანს, კუდის ბოლოდან  
გამოიღებს რაღაც ზეთის მსგავს სით-  
ხეს და გადაისვამს ფრთებზე. ამას ეტ-  
ყვიან „ადაროს ალღას“ (ი. ჭყონ).

**ადამურა-ა** (მოხ.) სიჩქარე, აჩქარება (ო.  
ქაჯ.).

**ადება** (ქართლ.), ე რ თ ი ა დ ე ბ ა თ ი ე ა.  
რაე ერთ სამე ურემზე დაედება თივა.  
ძნა თუ ბზე (ი. ჭყონ.).

**ადეი!** (ხევსურ.) ამ სიტყვას ძროხის გა-  
რეკვისას წარმოთქვამენ. მოხმობიას  
კი ამბობენ: დედო! ნწა-დედო! დე-  
დოოპო! ნწა-დედოოპო! ნწადეი! (ა.  
კინჭარ., 232).

**ადევება** (მდინარისა) (ფშ.) ადიდება (ვა-  
უა, II, ა. შან., 439).

**ადენთვა** (აჭარ.) ცხიმულის ჭამისაგან  
მადის დაკარგვა, რამდენადმე უსიამოვნო  
გრძნობაზე დაყენება; ასუყება (შ.  
ნიყარ.).

**ადეშ-ი** (ხევსურ.) ფიჩხი, ხის ტოტები,  
რომელთაც ქერს ზემოთ აწყობენ, რომ  
ზედ დაყრილი მიწა არ ჩაეცივდეს (დი-  
ალექტ., 549).

**ადიტყვებულ-ი** (მთიულ.) მეტად ამოსუ-  
ლი, აწეული (პური); ა დ ი ტ ვ ე ბ ა  
ლუმელში (პური) კარგად აიწევა (ლ.  
კაიშ.).

**ადლიბოტია** (თიან.) მაღალი, გრძელ-  
ფეხებიანი ადამიანი („კომუნისტი“,  
№ 88, 1967).

**ადმათ** (ოკრიბ.) ალალებელზე. „ა დ მ ა თ  
გვეისროლე თოფი და მოვკალი მგელი“  
(მ. ალაე.).

**ადმათ გათლა** (ძელისა) (ოკრიბ.) თვალ-  
დათვალ, უსწორმასწოროდ (უღაროდ  
და უშალაშინოდ) გათლა ძელისა ცუ-  
ლით (მ. ალაე.).

**ადოყება** (ქართლ., იმერ.) მცენარის სიმალღეზე სწრაფად ზრდა ნაყოფის მოუტემალად (ქართლ.: შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; იმერ.: ი. ქავთ.).

**ადოში** (ბეგესურ.) ერთი ბღუჭა ნეღლი ჭევილი, ყანა (ა. ჭინჭარ., 201).

**ადრაბაგ-ი** (ქართლ.) ფანჯარა (კირიონი). **ადრეებზე** (მესხ.) წინათ, რამღენიმე ხნის წინ. „ადრეებზე ერთი ძველი ნაცნობი მესტუმრა“ (ი. მაისურ.).

**ადრევა** (გულამაყ.) უწინ, ძველად (დილაღექტ., 570).

**ადრეულ-ი** (ფშ., მოხ.) საქონელი, რომელიც მოკლე ხანში ასრულებს ზრდას (ლ. ლეონ.).

**ადრეულა-ა** (ინგილ.) თხილის ჭიში, მოწითანო-მოწაბლისფეროა და ადრე შემოდის (ა. შან., 346).

**ადრეულა<sup>2</sup>** (მთიულ.) ადრე დაბადებული ხბო (ლ. კაიშ.).

**ადრეებზე** (მესხ.). ნ. ადრეებზე.

**ადღამუშება** (იმერ.) ატალახება, ერთმანეთში არევა-ღარევა, გასვრა, გაბინძურება (ი. ქავთ.).

**აე** (ფშ.) აი ამ (დილაღექტ., 589); აე მ (ქართლ.) აი ამ (დილაღექტ., 633).

**აებანჯიხება** (რაჭ.) წინ გადაღობება და და საქმეში ხელს შეუშლის („კომუნისტი“, № 88, 1967).

**აეზანი** (მესხ., იმერხ., აჭარ.) დიდი გეჭა, ხის მოგრძო ვარცლი პირუტყვისათვის წყლის სასმელად (დილაღექტ., 653; ი. მაისურ.; შ. ნიფარ.).

**აეა-ი** (მოხ.) შორისდ. მწუხარებისა (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ., 496).

**აეაიმე!** (მოხ.). ნ. აეაი.

**აეკანი** (ლენხ.) აეკანი (ნ.), აეკანი (მ. ალავე., 1).

**აელა** (ქიზიყ.). 1. საკვამლე მილი საკირისა და ბუხრისა (ს. მენთეშ.). თურქ. aval; 2. (ლენხ.) გასაქანი (მ. ალავე., 1).

**აენი** (მოხ.) ვინმე. „მწუხარებით ფიქრობდა, რომ სიკვდილის შემდეგ მისი

სახელის მოსაგონებლად აეანიც კი არა რჩებოდა“ (ა. ყაზბ., III, 222, შ. ძიძ.).

**აენცება** (ინგილ.) აელებ; აივანცეს აიკლეს, ააფორიაქეს. ნ. აანცება (მ. ჭან.).

**აეარღნილ-ი** (მესხ.) მოსულღელო, თავქარიანი (ი. მაისურ.).

**აეარტ-ი** (ბეგესურ.) ჩალის შესაკრავ თოქზე გამობმული ხის პატარა ნახევარკალი (ა. ჭინჭარ., 205).

**აეაჟაჟ-ი** (თუშ.) ყოველგვარი ძველმანნი (პ. ხუბ.).

**აეამე!** (ფშ.) აეამე! შორისდ. მწუხარებისა (ვაჟა, I, ა. შან., 357).

**აეავანი** (გურ.) თვალმოწუწვდომელი სიერცე, მიღამო, გარემო (ა. ლ.).

**აეღაღა-ი!** (მოხ.) შორისდ. მწუხარებისა (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ., 496).

**აეენვანი** (აჭარ.) ავი ენის, ბოროტი, შურიანი (ი. მეგრ.).

**აეეჯ-ი** (რაჭ.) ტანის მოკაზმულობა-მორთულობა. „წაიღე შენი იარაღი და აეეჯი“ (შ. ძიძ., 200).

**აეკანქ-ი** (ლენხ.) ავიზნე, გამომრები (მ. ჩიქ.).

**აელი** (თუშ.) დერღლი, ნ. აბლი (პ. ხუბ.).

**აელავ** (ფშ.) აელია, შემოვლებული აქვს. „ნორჩის ყვავილის გარშემო არშია ავლავ ძვირი“ (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.). შღრ.: ქეგლ.

**აელისურულ-ი** (ქიზიყ.) ერთგვარი ქრელი წინდა (ს. მენთეშ.).

**აეჟანდა** (მესხ.). ნ. აბეანდი.

**აეგრეხ-ი** (ქართლ.) უნაყოფო ხე; უნაყოფო მიწა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); „გუარად უნაყოფო ვაზი“ (საბა).

**აექაშ-ი** (ფშ., კახ., თუშ.) ქათმის ძეალი, რომელსაც სანაძღოდ ტეხენ ხოლმე; ლავიწი (ლ. ლეონ.).

**აელანი** (ქიზიყ.) გლაბაკი, ჩაძენძილ-დაფლეთილ-ტანისამოსიანი ადამიანი (ს. მენთეშ.).

**ავშავი** (მოს.) შავებდითი, შავბნელი (ა. ყაზბ., III, შ. ძიძ., 645).

**ავშანი** (ხევსურ.) მამულა, მცენარეა (ა. მაყ.).

**ავშნარი** (რაჭ., აქარ.) ჭიოტა, მცენარეა (ა. მაყ.); ერთწლიანი მცენარე, რომელიც ჩვეულებრივ პტრეულის ნათესებშია გავრცელებული (შ. ნიყარ.).

**ავშნარა** (ზემოაქარ.) ერთგვარი გარეული ცერცვია (შ. ნიყარ.).

**ავწალია** (ფშ.) მოსიარულე, ცუდი ქცევისა. „ერთი ფური მყავ, ავწალი იკა“ (ი. ქეშიკ.).

**აზად-ი** (ქიზიყ., მთიულ., ფშ.) ბერწი საქონელი (ს. მენტეშ.); მშრალი, არამეწველი ცხვარი, ცხვრის ფარა (ი. ქეშიკ.); ბერწად დარჩენილი ცხვარი (ლ. ლეონ.).

**აზად-ი** (ხევსურ.) უღელში შეუბმელი მოზვერი (ა. შან.; ლ. ლეონ.).

**აზავება** (ქართლ.) გაბრაზება, გაანჩხლება, გამწარება (ა. ლლ.).

**აზალოზალაობა** (ჯახ., თუშ.) ბავშვთა თამაშობაა ერთგვარი (ა. გვენც, თ. ბერიაშვი.; პ. ხუბ.).

**აზანდარი** (ფშ.) გუდასტვირი, საზანდარი. ნ. ზაზანდარი (ი. ქეშიკ.).

**აზარი** (ფშ., მოს., ქართ., თუშ., მთიულ., გუდამაყრ., ინვილ.). 1. მონადირისაგან მოკლული ასი წმიდა ნადირი. ამის შემდეგ მონადირე ხმაღს დროებით მიწაში ფლავს (თ. რაზიყ., „ივერია“, № 127, 1900; ი. ჭყონ.); 2. გარკვეული რაოდენობის ნადირის მოკლის შემდეგ მონადირის მიერ თოჯის დამარხვა მიწაში: აზარი აათავო (თ. ქაჯ.; პ. ხუბ.); 3. ძალიან დიდი, ვეებერთელა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); 4. მოცემული ვადა, პირობის შესრულების დრო (ე. ვირსალი.); 5. ჭირი (გ. იმნ.). შდრ.: ქეგლ.

**აზარაჭი** (აჭარ.) მსხალია ერგვარი, აქვს შავი ფერის ნაყოფი (შ. ნიყარ.).

**აზაქარი** (ფშ.) ზარმაცი, გაურჯელი, მცონარა (ი. ჭყონ.).

**აზგამი ასგამი** (მოს., ქართლ.) შეძახილი ძაღლის გასადგებლად (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ., 496; შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); აზგამო ძაღლის გადგება შინიდან (ჯირონი).

**აზეზება** (ფშ.) დაბმულის აშვება თავისი ნებით (ვაჟა, II, ა. შან., 429).

**აზავება** (ფშ.) გაბრაზება, გაფულისება (ი. ქეშიკ.).

**აზვინტრული** (იმერ.) ნ. ასვინტრული. აზვინება (გურ.) აპიბინება, წყლით, ღვინით ან სხვა სითხით ჭურჭლის პირამდე ავსება (ა. ლლ.).

**აზირ** (ქართლ.) ბარემ. „აზირ მითხრა, არა სჯობია?“ (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ი. ქეშიკ.).

**აზიზ-მაზიზი** (ფშ.) ნაზი, სუსტი, სათუთი (ი. ქეშიკ.). არაბ., თურქ. aziz.

**აზლაკი** (ქიზიყ.) მოთალი, კალტი. ყველის ამოღების შემდეგ დარჩენილ შრატს მოადუღებენ, აიჭრება და ხვარხვარი (ნ.), სქელი, თეთრი ცომივით გახდება, ამოიღებენ ქაფქირით, მარილს მოაყრიან, დაზელენ ხელის გულზე და გულაში ჩადებენ, გატენიან მავრად და შეინახავენ, ასე აკეთებენ დოსგანაც. აზლაკს უფრო დედაკაცები ეძახიან, მამაკაცები — კი კალტს (ს. მენტეშ.).

**აზნაურა** (ჯახ.) ყანის ია (ა. მაყ.).

**აზნი-ლაზნი** (რაჭ.) საქსოვი მაქო (შ. ძიძ., 200).

**აზრაზება** (ფშ.) ხმის ამოღება, შეხშიანება (ი. ქეშიკ.).

**აზრუნა** (ფშ.) უსიამოვნო გრძნობის მოგვრა (ვაჟა, IV, ა. შან., 449).

**აზრომღება** (ქართლ.) დაჩირქება, დაწყულულება, აყროლება (თ. რაზიყ., „ივერია“, №160, 1900; ი. ჭყონ.).

**აზლოტი** (ხევსურ.) ჩიხის ნაწილია (ს. მაკალ.; ა. ჭინჭარ., 265).

**ათაბაბა** (ქიზიყ.) მამა-ბაბა (ს. მენტეშ.). თურქ. atababa.

**ათაბუნება** (ლენჩხ.) აკიდება, ატორღიალება (მ. ალავე, I).

- ათათა** (ქართლ.) ძაღლის გაგდება (კირინი).
- ათახტახებულ-ი** (იმერ.) აცახტახებული, აკანკალებული (მ. ალავე, დ. კლდ. ლექსიკ., 51).
- ათეშგაშა** (ქართლ.) საცეცხლე, მანგალი (კირინი).
- ათვალმაზება** (ქიზიყ.) მოწონება (ს. მენტეშ.).
- ათინურ-ი** (გურ.) ვაზის ჯიშია (კ. გვარ.).
- ათირება** (ფშ.). ნ. თირება.
- ათლაქჩა** (ქიზიყ.) ულამაზო, უშნო აღამიანი (ს. მენტეშ.).
- ათლოჟნა** (ქიზიყ.) ატალახება (ს. მენტეშ.).
- ათოთქროვება** (ფშ.) დაოკება, დამშვიდება (ი. ქეშიკ.).
- ათურმა** (მთიულ.) თავზე გადახტომა (ს. მაკალ.).
- ათქვირებულ-ი** (მთიულ.) აღიდებული (წყალი, მდინარე). „ათქვირებული არაგვი მოდიოდა“ (ლ. კაიშ.).
- ათჩხირაობა** (კახ.) ბევშეთა თამაშობა ერთგვარი (ა. გვენც., თ. ბერიაშვი.).
- ათხაჭელა** (რაკ.) ცული ყოფაქცევის ქალი, ვაციაჟენა, შუშტრუქუნა (გ. ბერ.).
- ათხაჯ-ი** (ლენჩ.) შეუბოვარი, მოუსვენარი, გაბედული (მ. ალავე, I).
- ათხზნა** (აქარ.) ათოკვა (შ. ნიყარ.).
- ათ** (გურ.) ჩვენებითი ნაცვალსახელი, ეს, ევ (ს. ჟლ.).
- აიან** (აქარ.) არიან (დიალექტ., 655).
- აიბ-ი** (გურ., იმერ.) უარყოფითი თვისება, რაიმე ნაკლი (გ. შარაშ.; ი. ქავთ.). არაბ., თურქ. ayır.
- აიბე!** (მოხ.) შორისდ. მწუხარებისა, ვაიმე! (ა. ყაზბ., III, შ. ძიძ., 645).
- აითამა** (ქიზიყ.) ერთ-ერთი ნაწილი წისქვილისა (ს. მენტეშ.).
- აიღებ-ი** (რაკ.) ცხენის მოსართავი (შ. ძიძ., 201).
- აინა** (იმერ.) სარკე (დიალექტ., 653). სპ., თურქ. ayna.
- აინოინ-ი** (ფშ.) დარდი, წუხილი, ფიჭრი (ი. ქეშიკ.).
- აირუმ-ი** (ქართლ.) უცხვირპირო, უხასიათო, „ე რა აირუმში ყოფილა“ (მ. მესხ.).
- აიღირ-ი** (აქარ.) ულაცი, ვაყა (ი. მეგრ.). თურქ. aygar.
- აიხვნა** (ფშ.) ბევრი აილო, აღება ბევრისა (დიალექტ., 589).
- აივან-ი** (თუშ., ფშ., რაქ., იმერ.) აკვანი (დიალექტ., 576; ი. ქეშიკ.; თ. უთურგ.; დიალექტ., 681; პ. ხუბ.; ჭოლევი, თ. ოქროშიძე).
- აივება** (ქართლ.) აოშილი ხსუნის (ანეულის) ხელმეორედ მოხვნა კავით (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- აივშა** (ხევსურ.) სახნავ-სათესი იარაღების ერთი კომპლექტი (ა. ტინჭარ., 198).
- აივშა-ა** (თუშ.) ქსლის საქსოვი იარაღი (თ. უთურგ.); საქსოვის ყდა (ს. მაკალ.).
- ალათ-ი** (აქარ.) ალისფერი ცხენი (ი. მეგრ.).
- აიაუჭება** (ლენჩ.) ტყეილის გამო ფეხის აწევა (მ. ჩიქ.).
- აიალიფება!** (იმერ.) ერთბაშად, მარჯვედ და სწრაფად აღება, აკრეფა (ი. ქავთ.).
- აიალიფება!** (გურ.) ჭარბისაგან წაქცეული სიმიანდის ან სხვა მცენარეულის წამოყენება, აღება, ალაგება (ა. ღლ.).
- აიანჩხვა** (ლენჩ.) წამოღვომა, ამართვა (მ. ჩიქ.).
- აიანქალებულ-ი** (იმერ.) აიაუჭებულ (ქ. სიხ.).
- აიანჭურება** (ქართლ., ფშ.) მტკივანი ფეხის აწევა. წარმოქმნილია კანკსიტყვისაგან. ჩვეულებრივ ითქმის ძაღლზე, როცა მტკივან ფეხს მიწას არ აკარებს (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ვაჟა, IV, ა. შან., 449).
- აიარება** (რაკ.) სუფრის ალაგება, ჭამის შემდეგ ნარჩენებისა და ჯამ-ჭურჭლის აღება და მილაგება (დიალექტ., 681).
- აიარკვლა** (მესხ.) წვრილი ქვების აკრეფა (ი. მაისურ.).



- აკარკნა** (გურ.) აწყობა, ერთმანეთზე აკიდება. „აკარკნილი, დაკარკნილი, დაშმა კერიაზე კპილი“ (გამოცანა) (ა. ლ.).
- აკატება** (მოხ., ქიზიყ.) წაწყმედა (ო. ქაჯ.; ს. მენთეშ.).
- აკაფსვა** (გურ., იმერ.) აყუწვა, ნაწილ-ნაწილ, ასო-ასოდ დაჭრა საკლავისა, აქნა (გ. შარაშ.; ა. ლ.; ი. ქავთ.).
- აკებაჟე ლაპარაკი** (ქიზიყ.) უთავბოლო ლაპარაკი (ს. მენთეშ.).
- აკენწვრა** (კახ.) ფიანდით (ნ.) ჰაერში კიკვის (ნ.) გაკვრა და შორს გადაგდება (ა. გვენც., თ. ბერიაშვ.).
- აკენჭვა** (ქიზიყ.) სახნავე-სათეს ადგილში კენჭების აკრეფა და ერთ ალაგას დაყრა (ს. მენთეშ.).
- აკეცილა-ი** (ხევსურ.) მეორედ დაჩეხილი მატყლი (ა. შან.; ლ. ლეონ.).
- აკვანჭალება** (ფეხისა) (ქართლ.) იგივეა, რაც აკანჭურება (ნ.) (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- აკვარკვადება** (გურ.) აკანკალება. ნ. კვარკვალი (ს. ჟღ.).
- აკვარჩხალება** (იმერ., გურ.) წყლის აღღება (ვლ. ბზენა, „ივერია“, № 172, 1900).
- აკვაჭვა** (გურ.) ურიგოდ პირადმა წამოწოლა (გ. შარაშ.).
- აკვეთა** (კახ.) ცომისათვის საფუარის მიცემა, მოხაშება (ა. მარტ., გ. იმნ.).
- აკვანტრაშება** (გურ.) აოხრება, აკლება (პ. ჯაჯან.).
- აკვიწინება** (გურ.) ვინმეს ამოჩემებით გაღიზიანება (ი. ჭყონ.).
- აკვლანჯა** (ქიზიყ.) ამრეზა (ს. მენთეშ.).
დაოსება (ფშ.) დაღლა; დაოსებულ-ი დაღლილი (თ. რაზიყ., „ივერია“ № 162, 1900; ი. ჭყონ.). შდრ.: ქეგლ დაოსვა (ზ. აქარ.) სიმინდის დათესვის შემდეგ თხლად (ზეზეურად) მოხვნა (შ. ნივარ.); (ქვ. იმერ.) მიწის მეორედ ხვნა (ზ. ჭუმბურ., 278).

დაორჩებულ-ი (ფშ.) დაქინებულ-ი, დაბეჩავებულ-ი (ვაჟა, I. ა. შან.).

დაოსება-ა (თუშ.) დანაყრება (პ. ხუბ.). დააამალაუშობა (ფშ.) მიმოდენა, ხტუნვა-ტრიალი სიარულისას (ი. ქეშიყ.).

დაანკლუღ-ი (ქართლ.) დაქონილი, დაკონილი და ჭუჭყიანი (მ. მესხ.).

დაანტვა (გურ.) დაფანტვა. „ეშმაკი და უხილაგი მიელ ქევეყანას დაპანტესა“ (ა. ლ., გურ.).

დაპანტრიშებულ-ი, დაპანტრიშებულ-ი (გურ.) გაჩღვეული, ურიგოდ მიფან-

ტულ-მიფანტული, მაგ., ღობე (გ. შარაშ.).

დააპყული-ი (ზ. იმერ.) დავვაჭული, პატარა, ჭუჭყა ცაცი. ნ. პაპუცი (ბ. წერეთ.); ტანდაბალი, გვაჯა, ასათან შეუფერებელი სიდაბლს მქონე მოზარდი (პ. ჯაჭან., IX, 250).

დაპილთუნება (ქართლ.) ჭურჭლის, უმოთერესად ღვინის, ქვევრის პირამდე ავსება. „რალათ დამიპილთუნ მე მარანში ქვევრები, თუ შენი ქელეხისათვის მოხდიდნენ“ (გ. შატბერ., 46).

დაპილწულ-ი (გურ.) დასვრილი; დაპილწვა დასვრა, დათხვრა (დილაქტ., 663).

დაპინტრაშებულ-ი (გურ.) ნ. დაპანტრიშებულ-ი.

დაპიფინება (გურ.) დასივება. ნ. პიფინი (ს. ჟღ.).

დაპიტვა (გურ.) მრავალ ადგილას დახეულის დაყვრა (გ. შარაშ.).

დაპიტოვება (გურ.) პატარა-პატარა ნაჭრების დაყვრა (გ. შარაშ.).

დაპოლღებულ-ი (გურ.) ფიზიკური ნაკლის მქონეზე იტყვიან, დაბრკოლებული (ს. ჟღ.).

დაპალანქვა (ოკრიბ.) ნ. დაბრკვალება (მ. ალაგ.).

დაპნევა (ქართლ.) დაბნევა, მიმობნევა (დილაქტ., 636). შდრ.: ქეგლ.

დაპოტვილ-ი (იმერ.) ბევრ ალაგას დაყვრებულ-ი, დაბეჭილი. „ნეტაი რა უკირს ე იმის ფასი, დაპოტვილი ბლუწა-შარვლით რო დეიარება!“ (ი. ქავთ.).

დაპარანქვა (გურ.) დამანქვა. „პირის კანი დაპარანქოდა, წინა კბილი სულ არ ქონდა“ (ა. ლ.).

დაპოპრვა (გურ.) სატირლად მომზადება, ბავშვი სატირლად რომ მოემზადება, იმაზე იტყვიან: „იპოპრა, იპოპრა და ატირდა“ (ს. ჟღ.; ა. ლ.).

დაპურება (იმერ., რაქ.) ჭმევა, საყვების მიცემა. „დოუჭიჭინე ქათმებს და დაპურე“ (ე. ბერ.); დამწიფება, შემოს-

ვლა: დაპუ რ დ ე ბ ო და ბალახი (დიალექტ., 683). შდრ.: ქეგლ.

**დაპნა** (გურ.) დაწნვა; თმის დაპნა თმის დაწნვა, დახვევა; დაპნა ილი დაწნული (ა. ლ., გურ.).

**დაპნაილი** ყველი-ი (ზ. აქარ.) ქალის თმისათვის დაწნული ყველი, ჩვეულებრივ, თავმოხდილია, დაბალი ხარისხისაა (შ. ნიქარ.).

**დაქამება** (ფშ.) დამწიფება; დაქამებულ-ი დამწიფებული (თ. რაზიკ., „ივერია“, № 162, 1900; ი. ჭყონ.).

**დაქანება-ა** (თუშ.) დაქველება ტანისამოსისა, იარაღისა (პ. ხუბ.).

**დაქარვა** (ფშ.) ხილის დაქვევა; დაქარულ-ი გვერდებდაქვევილი და ჩაქველებილი ხილი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 130, 1900; ი. ჭყონ.).

**დაქარული** (ფშ., ქართლ.) გვერდებდაქვევილი ხილი. ნ. დაქარვა (ი. ჭყონ.); დაბზარული (კირიონი).

**დაქდუმლება** (ზ. აქარ.) საქორწილო ცერემონიის გარეშე ქალის (საცოლის) მისვლა საქმროს ოჯახში (შ. ნიქარ.).

**დაქვერვა** (გურ.) ქვეროთი (ნ.) ცემა, გალახვა; ქვერება ცემა ქვეროთი. „გამაბრაზა და ვქვერე ყურისძირში“. ნ. ქვერო (ა. ლ., გურ.).

**დაქიღვა** (ფშ.) თხილის ანუ კაკლის ჩენჩოს გაცლა (თ. რაზიკ., „ივერია“, № 129, 1900; ი. ჭყონ.).

**დაქიფინება** (გურ.) ნ. დაპიფინება.

**დაქიფყება** (ქართლ.) შეშუბება, დასიყვება (?) (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.). შდრ.: ქეგლ.

**დარბანდი** (გურ.) დოლი, დაირა, ბარბანი. ნ. დალბანდი (ა. ლ., გურ.).

**დარალ-ი** (მობ.) დალალი, კულულები თმისა (ო. ქაჯ.).

**დარანი** (მესხ., ჯავახ., ხევსურ., ფშ., მობ., ოკრიბ., ქიზიყ., მთიულ.). 1. მიწისქვეშ ხელოვნურად გაყვანილი საიდუმლო ხერელი, რომელსაც ძველად სამალავად იყენებდნენ (ი. მისურ.; დიალექტ., 647); 2. ციხის სარდაფი, რომელსაც გარედან კარი არა აქვს. აქ ცი-

ხონთა (ნ.) პროდუქტები ინახება და ღია-ყმაწვილი ჰყავთ შეფარებულნი. დარანი ტყვეების დასამწყვდევადაც იყო გამოყენებული (ა. კინჭარ., 298); 3. სამალავი შიშიანობის დროს თავის შესაფარებლად, ჩვეულებრივ ციხის ქვემო სართულში (ვაჟა, IV, ა. შან.); 4. წყლის გასასვლელი კარი, სადენი (ო. ქაჯ.); 5. ბეჩო, ღრუ ადგილი მდინარეში, სადაც კიბო ან თევზი იმალება; 6. მიწური, სანგარი (მ. ალაკ.); 7. ფენა; დარანი და დარანი ფენა-ფენად, შრეებად. „კრამიტი მიწა და აგური მიწა ერთ ალაგად არი დარანი და დარანი“; 8. თევზის ბუნავი, სადაც თევზი იმალება (ს. მენთეშ.); 9. თბილი საძირკვლის ძირში, რომ წყალი იქ დაგროვდეს და კედელს არ მიეკაროს; 10. ეზოში წყლის გასასვლელი ღარი სიბით დაფარებული (ლ. კაიშ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**დარანა** (ლეჩხ.). ნ. ქელთა.

**დარანწყვა** (გურ.) დანგრევა, დაქცევა (ქ. სიხ.).

**დარაყრახება-ა** (თუშ.) დატორტმანება. შექანება (თ. უთურგ.).

**დარაფთა** (ქართლ.) მოსულელი (მ. მესხ.).

**დარაჩული** (ქსნის ხეობ.) უშნოდ, ზღაზღვნით მოსიარულე, „რას ირაჩები, კაკო!“ (ვ. სომხიშვი.).

**დარბაზი** (ხევსურ., მესხ., ქართლ., კახ.).

1. ხატში, ჭვარში აგებული ნაგებობა, რომელშიაც მხოლოდ ხატის მსახურთა აქვთ შესვლის უფლება. „დარბაზს ვისხვით ქვესურნი, დიდ გვედგა საუბარიო“ (ა. კინჭარ., 300; დიალექტ., 551); 2. გვირგვინიანი დიდი საოჯახო ოთახი ძველმესხურ საცხოვრებელ სახლში, დამშვენებული დედაბოძით, ბუნჩოსის ქვით, მოხარატებული განჯინათაროებით, მოაჭირითა და სხვ. (დიალექტ., 651; საბა; ნ. ჩუბ.; დ. ჩუბ.; ქეგლ.).

**დარბოზა** (კახ.) ხალხური დღეობა სოფ. დარბაში, იმართებოდა აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს (ა. მარტ., გ. იმნ.).

**დარბოზვა** (გურ.) ნახევრად გაცეხვა ღომისა (გ. შარაშ.).

**დარდაკი**-ი (ფშ., ქიზიყ.) თავცარიელი, ყუყუჩი, სულელი (ვაჟა, I, ა. შან.; ს. მენთეშ.). შდრ.: ქეგლ.

**დარდალა** (იმერ.) მარწყვი (ა. მაყ.).

**დარდაღინა** (ქიზიყ.) ღია, უკედლო სახლი; უკედლო ნაგებობა, სადაც ნიავი თავისუფლად მუშაობს, ქარი ქრის (ს. მენთეშ.).

**დარცევა** (გურ.): ხორცი დეირეკა ხორცი დაყარა, გახდა, დაშლევდა (გ. შარაშ.).

**დარეშვა** (იმერ.) ძირს დაწვენა, დაფენა, დაგება, წაქცევა. „ქარმა სულ დარეშა ყველაფერი“ (ი. ქავთ.).

**დარეზა-ა** (ინგილ.) ჭიშკარი (დიალექტ., 615). სპ., თურქ. dervaze.

**დართვა** (მთიულ.) შეკეთება (შემისა). დამატება (ლ. კაიშ.).

**დარიალება** (ქართლ.): ამბის დარილება ხმის დაყრა-გავრცელება; „ხმა დარიალდა“ (გ. შატბერ., 46).

**დარიდება-ა** (თუშ.) გაცლა, ჩამოშორება; დარიდ გაცეალა (თ. უთურგ.).

**დარიელ-ი** (თუშ.) თვალთვალი, ჩუმად თვალყურის ჭერა; უდარიელ უთვალთვალა. ნ. დარილი (თ. უთურგ.).

**დარიკაობა** (იმერ.): დარიკაობს ფუქსაეატად დადის, ჩიტირეკიაობს (ი. ქავთ.).

**დარიგნება**, **მორიგნება** წისქვილიხა (ზ. იმერ.) წისქვილის მომზადება, წესრიგში მოყვანა; სიმინდის ჩაყრა ხვიმირაში, ასაწვევლას აწევა, კრიპის ჩამოწევა და სხვ. (ბ. წერეთ.).

**დარიღ-ი** (ქართლ.) თვალთვალი, ზეერვა. ყურისგდება, დარაჯობა; უდარიღა უდროვა, მომენტის უზოვა, დრო უშოვა; უდარიღებს დროს ეძებს, რომ თავისი ბოროტება მოასწროს; უდარიღებენ უთვალთვალეებენ.

უდარაჯებენ, დროს უზოვნიან; დარიღი გულში ფარულად შენახული რისხვა, გულისწყრომა და განზრახვის შესრულებისათვის შესაფერ ქამთა ძიება (გ. შატბერ., 46-49); თვალთვალი. ზეერვა, საფარიდან თვალყურის დევნება (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**დარიუვება** (იმერ.) დაბინდება, დადამება („კომუნისტი“, № 190, 1967).

**დარირურუ** (ლჩხ.) მოღვენა დარიით. „ქეიფობდენ და დარირურუ ხონდაყე“ (მ. ალავე, 2).

**დარისხვა**, **დარისხება** (ქიზიყ., ხეესურ.) წყევლა, რისხვის დაქება ხატის სახელით (ს. მენთეშ., დიალექტ., 551). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**დარიფანა-ა** (მოხ.) დერეფანი (ო. ქაჯ.).

**დარიშხენა** (ფშ.) დაწყევლა, გაწყრომა, გალანძღვა, დატუქსევა (ი. ქეშიკ.).

**დარიჯა-ი** (ქიზიყ.) დარიჯავი, ოქრომკედლის ხელსაწყო; ჩამოსასხმელია, ლითონის ყალიბი (ს. მენთეშ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**დარკილულ-ი** (გურ.) კრკილისაგან (ნ. რკილი, კრკილი) დახრული ფიცარი (გ. შარაშ.).

**დარკო-ა** (თუშ.) ლუდი, სანამ სვიას ჩაყარიდნენ (თ. უთურგ.); ლუდის წვენი (ს. მაკალ.); ფორი (ნ.) ჩაყრილი წყალში ასადღუღებლად. ბაცბ. დარკო (კ. ჭრელ., 259).

**დარნა** (გურ.). ნ. დარნე.

**დარნე** (გურ.) ღრმა ორმო, მოგრძოდ გათხრილი მიწა. შდრ.: დარანი (გ. შარაშ.; ა. ლ., გურ.).

**დაროყვილ-ი** (ლჩხ.) რკინის იარაღის დაბეგვილი პირი (მ. ალავე, 1).

**დარიშვა** (ხეესურ., ქართლ., მთიულ.) ცუდად ფქვა, დაღერღვა (ა. ჭინჭარ., 210); მსხვილად დაფქვა, დაღერღვა, გადატ. უთავბოლო ლაპარაკი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ს. მაკალ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**დაროხვა** (ზ. აქარ.) სიმინდის, ხორბლის მსხვილად დაფქვა; დაროხვილი-



მსხვილად დაფქული. ნ. დაროშვა (შ. ნიყარ.).

**დარღურებული-ი ძაფი** (მთიულ.). ნ. ჩამორღურებული ძაფი.

**დარღყება** (ფშ.) მოშლა კეთილი ცხოვრებისა (თ. რაზიკ., „ივერია“, № 162 1900; ი. ჭყონ.).

**დარღყვა** (ხევსურ.) დაფარცვის (დაფარვის) შემდეგ დაუფარავად დარჩენილი თესლისათვის ფეხით მიწის მიყრა (ა. ჭინჭარ., 200).

**დარღურებული-ი ძაფი** (მთიულ.). ნ. ჩამორღურებული ძაფი.

**დარღალი-ი** (იმერ.). ნ. დალაღანა.

**დარღენა** (გურ.): დარღენა ბურთისა გასაროლილი ბურთის პაერში დაჭერა ხელით (ა. ღლ.).

**დარძი** (ქიზიყ.) ფეხსაცმლის საძირის გარშემო დანის წვერით ცოტათი აჭრილი ადგილი შესაკერად (ს. მენთეშ.).

**დარწხელვა** (იმერ.) / დაწურული ყურძნიდან უქანასკნელი წვეწის გამოწურვა საწნახელში დაჭორავით (ი. ქავთ.; პ. ჯაჭან., IX, 250).

**დარწუმა** (ლეჩხ.) წვიმანარევი მზიანი ამინდი (მ. ალავე, 2).

**დარხობა** (ქიზიყ.) ურმის თავის დაღება მიწაზე (ს. მენთეშ.).

**დარჯაყი** (გურ.) ტყვიის ჩამოსასხმელი ფორმა; გამოდარჯაყებულ-ი გამოჭრილი, გამოთლილი, გაფორმებული (ა. ღლ.).

**დასაგნები** (ზ. აპარ.) წისქვილის ნაწილი (შ. ნიყარ.).

**დასაგონება** (ფშ.) დაფიქრება, საგონებელში ჩაყარნა. „დავჯდები, დავსაგონდები, ნეტარ რა ვუყვა თავსაო“ (ი. ქეშიკ.).

**დასაგულ-ი** (იმერ.) მაგრად დაკეტილი (ი. ქავთ.).

**დასავება** (ზ. აპარ.) დამაკება პირუტყვისა (შ. ნიყარ.).

**დასაკარჭლ-ი** (იმერ.) დასაკროლავი, წენგო რომ აქვს გასაცლელი, ისეთი კაკალი (დილაქტ., 670).

**დასალაზვარავ-ი** (ხევსურ.) პირუტყვის სალანქაღვი სიტყვა (ა. ჭინჭარ., 233).

**დასალიერ-ი** (გურ.) უქანასკნელი ჰუნქტი, ბოლო, „თლა დასალიერს არ ყოფილა!“ (გ. შარაშ.).

**დასაწფოჩებელ-ი** (კახ.) სამ ფოჩად, სამყურად ამოაყრელი, ვთქვათ, სიმინდი (ა. მარტ., გ. იმნ.).

**დასამზრის-ი**, **დასამზარ-ი** (იმერ.) ადგილი, რომელიც კაცს უფრო ემარჯება, ემზრობა მისასვლელად ანუ სამოსახლოდ და სხვ. (ი. ჭყონ.).

**დასანგება** (ქიზიყ.) დაყოვნება. „ბიჭო, რაა დასანგდი მანდ და ვერ მოხველი თაფი დროზე?“ (ს. მენთეშ.).

**დასანგლება** (ქიზიყ.) ცხვრის (ფარის) გაჩერება სიცივისა ან ქარისაგან, ეს იმის ნიშანია, რომ ცხვარი ზრება (იყინება) და იღუპება. ფარებში უნდა შეყრა, რომ დროზე უშველონ (ს. მენთეშ.).

**დასარსამება** (მესხ.) დარტყანება, თავგზის აზნევა. „ისე მაგრად შემოპკრა, რომ დაასარსამა“ (ი. მისურ.).

**დასაყრელ-ი** (ქართლ.) მაკე ცხოველი, რომელმაც მალე უნდა დაყაროს (შვილები) (პ. გაჩეჩ.).

**დასაყრება** (მოხ.) ერთ ადგილას შეჩერება უგზოობის გამო (ი. ქაჯ.).

**დასახურ-ი** (ქიზიყ.) ქალის საზაფხულო ზედა სამოსი, საზაფხულო პალტო (ს. მენთეშ.).

**დახვევა** (გურ.) დაღლა, ძალის გამოღევა (ა. ღლ.).

**დახერილ-ი** საქონელ-ი (მთიულ.) საქონელი, რომელსაც ყურზე სერა ადევს (ლ. კაიშ.).

**დახვებილ-ი** (რაჯ.) მოწყვეტილი, მომძვრალი, „მესამე დღეს ამოსწიეს და დასვეპილი კუდები ამოჭყვა ძელეზს ყინულიდან“ (შ. ძიძ., 204).

**დახითვა** (იმერ.) მცენარის ფოთლის დაწმენდა, მტერის მოშორება. „თუთუნის ფოთოლი კარქა უნდა დასითო, რო მტერი არ შეყვეს“ (პ. ჯაჭან., X).

**დასინულ-ი** (ფშ., იმერ.) გაკალული (ი. ჭყონ.).



**დასისენა** (ქიზიყ.) უმწიფარი, მკუხეხ ხილისა და სხვ. დაკრეფა მთლიანად. აქედან: დასისენული. „დეესისენა ქლივარი და მიტანა“ (ს. მენთეშ.).

**დასისტიწინება** (იმერ., გურ.) შევიწინება. ნ. სისტიწინი (ვლ. ბზვან., „ივერია“, № 172, 1900).

**დასისულ-ი კვერცხ-ი** (რაჭ.) ლაყე, ნაკრუხალი კვერცხი (ე. ბერ.).

**დასისხვა** (ქართლ.). ნ. სისხვა.

**დასიჯიბიქება** (რაჭ.) მაგრად რისამე შეკერა, გაკოჭვა (ე. ბერ.).

**დასკვერა, დაბასკვერა** (იმერ.) სქელი და ბატარა ტანის ადამიანი, დაბასკული (ი. ქავთ.).

**დასკიპარჭვა** (გურ.) დაგრეხა, მიღრეც-მოღრეცა (ა. ღლ.); დასკიპარჭული-ი გამრუდებული, მიგრეხილ-მოგრეხილი. ხალხური სიმღერაა: „აქიდან და ქეთათსი დასკიპარჭული გზავიცი“ (გ. შარაშ.).

**დასკანვა, დაქსანვა** (ლეჩხ.) დაგმანვა, კულტურების აპოკევა. „ი ფარდალა კედლები ისე უნდა დასკმანო. სიცივე არ შევიდეს“. ნ. გმანვა, კმანვა, კქმანვა (მ. ალავე., 1).

**დასოდომება** (მთიულ.) დანესტიანება (ლ. კაიშ.).

**დასოდება** (გურ.) დასელება. „სულ სისხლით დასოდდა იქაურობა“ (ა. ღლ.).

**დასორტვა** (გურ.) თოვლის დაბეკნა მცირე წვიმით (გ. შარაშ.; ა. ღლ.).

**დასპარტება** (გურ.) თავის დახეთქება (მთაბერი, მ. თავართქილაძე).

**დასრევიება** (ხევსურ.) დაყრევიება, გაგდებინება (დიალექტ., 551).

**დასტავლა** (გურ.) დამახსოვრება, დაფასება. „მავას დაგისტავლი დაგადეიბით“ (ა. ღლ.).

**დასტავ-ი** (ქართლ., იმერ.). 1. იატაკის საყრდენი ხის ბურჯი; 2. კარების სარტყელი (დიალექტ., 670; ქეგლ.).

**დასტომილ** (ინგილ.) დაცდენილი; დასტირინა დაცდინა (მ. ჯან.).

**დასტურ** (გურ., აქარ.) ზნ., მართლა (ე. ნინ., 1, თ. კიკე; დიალექტ., 657).

შდრ.: დ. ჩუბ., ქეგლ.

**დასტური** (ფშ., მთიულ.) ლუდის მხარე-შევი ხატში ანუ სალოცავში დღეობისათვის, ხატის მზარეული. დასტურებს ერთი წლით (ზოგან ორი წლით) ირჩევენ. „წინ უზის ჩოქზე დასტური, შავს ლუდს უმატებს თანშია“ (ვაჟა, I, 241; IV, ა. შან.); კაცი, რომელიც ხატში კურატს ან ცხეარას კლავს (ლ. კაიშ.); ხატის მსახური (ს. მაკალ.).

**დასტურჩადანდრი** (მესხ.) ჩადანდრი. ნ. ჩიხანდარი, ვიხანდარი, (ა. მაყ.).

**დასტუნა** (მოხ.) დაწყობა, დადება, დალაგება; დასმა (დიალექტ., 561).

**დასულდგნულება** (მოხ.) ხატისათვის პირუტყვის შეწირვა წინასწარ, ხატისათვის შეპირება და განკუთვნა (დიალექტ., 561).

**დასულვა წაბლისა** (გურ.) შესაწავი ახ მოსახარე შევი წაბლის დასერვა, დაჩხვლეტა (გ. შარაშ.).

**დასულწუხება** (ფშ.) შეპირება, შეწუხება (ი. ქეშვიკ.).

**დასუნგალობ-ს** (იმერ.) დასუნსულებს, ხარბად დაეძებს საკმელს, იტყვიან ღორზე, ძალღზე (ი. ქავთ.).

**დასუნულ-ი** (გურ.) გველის ან სხვა ქვემძრომის მიერ პირზეხებული (ე. ნინ., 1, თ. კიკე.).

**დასურ** (გურ.) ზნ., დასტურ, მართლა, სწორედ (ა. ღლ.; ქ. სიხ.).

**დასუსნა** (ქართლ.) ტუბილი საკმელების გემოს გასინჯვა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

**დასუფრება** (რაჭ.) დანაყრება, გაძლომასავით (სოფ. ჟაშქვა, გ. ქელიძე).

**დახხიპება** (ფშ.): დახხიპება დასწორდება, დაიტყვანება (დიალექტ., 590).

**დახხლტა** (ქიზიყ.) ფარიდან მცირე ნაწილის ჩამოცილება, მოწყვეტა, გამოყოფა (ს. მენთეშ.).

**დატანა-ა** (თუშ.) მოყოლა, ყოფნა;

თქვენთან დატანა მეც მეწაღ თქვენთან ყოფნა მეც მეწაღა (თ. უთურგ.).

**დატანით რწყვა** (ქართლ.) მოგდებით რწყვა, თავისთავად დინება წყლისა (გ. შატბერ., 49).

**დატბორება** (ფშ.) დასველება წვიმით ან წყლით (თ. რაზიკ., „ივერია“, № 130, 1900).

**დატბტვილ-ი** (აპარ.). ნ. დატბტვილი.

**დატბტვილ-ი** (გურ.) დანაყოფივით, მეტად გაცხვილი. ნ. ტბტკვა, წიწკვა (გ. შარაშ.).

**დატიკვა** (ფშ.) ბევრი ქამისაგან გაბერვა, გაძლიმა. „ძალიან დავიტიკენით“ (ი. ქეშიკ.).

**დატიტვა** (მოს.) დაძლევა, მორევა, ჯობნა (ო. ქაჯ.).

**დატიტვა** (ქიზიყ.) ძალიან დამარილება, დამლაშება; დატიტულ-ი ძალიან დამარილებული (ს. მენთეშ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**დატიტვა** (ზ. იმერ.) ძაფის გამოხარშვა შედეგვის მიზნით. „ძაფს დატიტვამ დენ ბროწეულის კანში“ (ბ. წერეთ.).

**დატიტიბვა** (ქიზიყ.) ტიტებში (ნ.) დადეღვა (ნ.). დატიტიბვა შავად ან ყვითლად შედეგვისას ხდება. ტიტებს მოხარშავენ და იმის წვეწში ჩადებენ შესაღებ მასალას (ს. მენთეშ.).

**დატყვევა** (ქიზიყ.) დახურვა; დატვირთვა; მსხმოიარობა. „რაჯულ დავტიკვეფიათ, აღარ იყო, რო ერთი საბანი კიდ დეგვეხურნათ!“ ნ. ტყვევა (ს. მენთეშ.).

**დატყრვილ-ი, დატყრუცულ-ი** (ქართლ.) დაწითლებული (კირიონი; შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

**დატყრუცულ-ი** (ქართლ.). ნ. დატყრვილი.

**დატოლება** (ფშ.) მიხუტება, მიაღერსება. „რა ბევრჯელ დავტოლებივარ წითელ ვაშლივით ქურხედა“ (ი. ქეშიკ.).

**დატოლმეტება** (ქიზიყ.) დამეტნაკლებება. ერთი მხარე რომ უფრო გრძელი ან განიერი იქნება, ვიდრე მეორე (ს. მენთეშ.).

**დატოლმეტებულ-ი** (ფშ.) ყალყზე შემდგარი (ი. ქეშიკ.).

**დატოშვა** (კახ.) მაგრად ცემა, გალახვა, დაბეგვა (ა. მარტ., გ. იმნ.).

**დატრუალება** (გურ.) დაბრუნება; დატრუალდენ დაბრუნდენ, გაბრუნდენ (დილაქტ., 663).

**დატრუცვა** (ქართლ.). ნ. დატყრვილი.

**დატუცვა** (გურ., ლეჩხ.) ტუკით (ნ.) ცემა. „რაფერ ქვეყნის საშინლათ დუტუცავს იი გელი ამ გადარეულს“ (გ. შარაშ.); სიშინდის ან ლობიოს დაფშენა ტუკით; ჩასართავად მოხარშული ლობიოს დატყულთა გობზე ტუკით; გადატ. ადამიანის ცემა-ტყემა (მ. ალავ., 2).

**დატუშნულ-ი** (თუშ.) დანესტიანებული (თ. უთურგ.).

**დატუნტლაგება** (ფშ.) შემოსული ხილის სიმწიფისაგან დარბილება (ი. ქეშიკ.).

**დატუნტურება** (ფშ.) დაქნევა. „მეველემ... სახრე დაუტუნტურა“ (ი. ქეშიკ.).

**დატურა** (რაპ.) დასტურ, მართლა, ნამდვილად. ნ. დასურ (დილაქტ., 663).

**დატყვილ-ი** (ლეჩხ.) მიწას არაცილებული, დაბალზე დაბალი (მ. ჩიქ.).

**დატყვიცვა** (ფშ.) დატყვითა. „დაუტყვიცვი თვალები და ხტის“ (ი. ქეშიკ.).

**დატყვიცვა** (ლეჩხ.) დაჩეჩქვა, დაბეგვა (რკინეულზე იტყვიან); დატყვიცვილი დაჩეჩქვილი, დაბეგვილი. „სპილენძის ჭურჭლები დატყვიცვის, დაამტერიეს“ (მ. ალავ., 2).

**დატყვიცვა** (მოს.) დასუსტება ჭინჭრით ან მათრახით (ო. ქაჯ.).

**დატყვაბეგება** (თუშ.) ტყუბად დატყვა ან დახოცვა (თ. უთურგ.).

**დაუარება** (ქართლ.) უარის თქმა, უარზე დადგომა (გ. შატბერ., 49).

ეროვნული  
საქმიანობა

**დაუბრებელი**-ი (იმერ.) დამღერებელი.  
ნ. უბრობა (მ. ალავ., 3).

**დაუზაკველი**-ი (ფშ.) წრფელი, მართალი  
(ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).

**დაუთვალღობა** (რაჭ.) დაბრმავება. „და-  
უთვალღობულია დვეგი“ (შ. ძიძ.,  
ქრესტ.).

**დაუღლი**-ი (გურ.). ნ. დავილი, დალაბანდი,  
დარაბანდი.

**დაუშპრახება** (ხევსურ.) უშპრახად ყოფ-  
ნა, ხმის გაუცემლობა, ხმის ამოუღებ-  
ლობა (დიალექტ., 551).

**დაუშქერი** (მთიულ., გუდამაყრ.) გაუგო-  
ნარი, თავისინება აღამიანი (ე. ვირსალ.).

**დაუნა** (რაჭ.) კნინ. სიტყვისა და—საშულე,  
მიშავალი მული (დიალექტ., 683).

**დაურმვა** (ლენხ.) ურმვებად დადგმა. მომ-  
კილ პურს დაურმვავენ — თხუთ-  
მეტ-თხუთმეტ კონას ცალ-ცალკე დად-  
გამენ ყანაში; დაურმული-ი ურმე-  
ბად დალაგებული (მ. ალავ., 2).

**დაურწყება** (რაჭ.) მარხვის დაწყების წი-  
ნა დღე, როდესაც სახსნილოს ჭამა შე-  
იძლებოდა. თუ ორშაბათს მარხვა იწყ-  
ებოდა, კვირას დაურწყება იყო  
(დიალექტ., 683).

**დაურჯაკი**-ი (გურ.). ნ. დარჯაკი.

**დაუფახარი**-ი (მოხ.) მოუსვენარი; და-  
ფახება დაწყნარება (ო. ქაჯ.).

**დაუფერებელი**-ი (მოხ.) ქუქყიანი, ბინძუ-  
რი, უფერული (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.).

**დაუჩინაღება**-ი (თუშ.) დაბნელება (დია-  
ლექტ., 579).

**დაფა** (ქიზიყ.) თიხის ჭურჭლის საკეთე-  
ბელი ჩარხის ნაწილია (დიალექტ.,  
605).

**დაფათვრა**, **დაფატვრა** (ქიზიყ.) დაგლეჯა,  
დაფრეწა (ს. მენთეშ.).

**დაფათლილი**-ი (მთიულ.) ფოთლებიანი,  
დაფოთლილი (ლ. კაიშ.).

**დაფაღვა** (რაჭ.) დაგვა, დახვეტა; გაშმენ-  
და, გასუფთავება (დიალექტ., 683).

**დაფანიერება** (ლენხ.) დაფანტვა, შორს  
გაქცევა. „ყველა ერთბაშად დავა-  
ფანიერე“ (მ. ალავ., 1).

**დაფანტვა** (ინგილ.) დაგლეჯა, შეშუპა, გა-  
ნადგურება, გაიარცვა. „ჩონ ხაზნა და-  
ფანტეცა; ვერ ეანავრებს დოუ-  
ფანტაე“ (გ. იმნ.).

**დაფანციხებული**-ი (ლენხ.) დასვრტილი,  
დაცხრილული. „თოფი სადათვეში გავ-  
ტენე, კურდღელს ვესროლე და სულ  
დოუფანციხებია საწყალი“ (მ.  
ალავ., 1).

**დაფარალებული**-ი (გურ.) ლამაზად და-  
პოზილი შეშა ან სხვა რამ (გ. შარაშ.).

**დაფაფა ძაფისა** (ზ. იმერ.) მოღუღებულ  
პურის ფაფაში გავლება ძაფისა (ბ. წე-  
რეთ.).

**დაფაფხვა** (მესხ.) სიძველისაგან დაღეწვა,  
დაფხვავეება. „სკამები სულ დაი-  
ფაფხა აზღენი ხმარებით“ (ი. მათ-  
სურ.).

**დაფაღართება** (ინგილ.) დამშვიდება.  
„ღედაკაცს დაფაღართდა“ (გ.  
იმნ.).

**დაფარცახებული**-ი (იმერ.) დანგრევის  
პირზე მისული, მოშლილი, უფარგისი;  
დაფარცახებული-ი სახლი-  
უფარგისი, დანგრევის პირზე მისული  
სახლი; გადატ. ავადმყოფობისაგან, ხნო-  
ვანებით დაჩაჩანაკებული აღამიანი (ი.  
ქავთ.).

**დაფაყირება** (ფერეიდნ.) დაღარიბება  
(დიალექტ., 628). სპ., არაბ., თურქ.  
fakir, ღარიბი.

**დაფაშრება** (ქართლ.) გამომცხვარი პუ-  
რის გამოხმობა. ნ. ფაშარი (კირიონი).

**დაფაცხატავება** (ქიზიყ.) ტყვიით დაცხ-  
რილვა, დახვეტა; დაფაცხატე-  
ბული-ი დაცხრილული. „მტრი ტყვიით  
სუღეფაცხატავებინა“. ნ. დაფანციხე-  
ბული (ს. მენთეშ.).

**დაფაჭვა** (აჭარ.) დაგლეჯა, დაფლეთა (შ.  
ნიყარ.).

**დაფახება** (მთიულ., გუდამაყრ.) დაწყნა-  
რება; დაფახდი-ი დაწყნარდი (ე.  
ვირსალ.).

**დაფერდილი-ი ქლიბი**-ი (ქიზიყ.) ოქროშქე-  
ლის იარაღია ერთგვარი (ს. მენთეშ.).

დაფევა (ფშ.) ჭურჭლის პირში დაცობა ან ჭრილობაში (თ. რაზიყ., „ივერია“, № 130, 1900; ი. ჭყონ.).

დაფეღევა (იმერ.) გაღება, მაგ., ფანჯრისა და კარებისა (ი. ჭყონ.).

დაფენჭვრა (ზ. იმერ.) დახვრეტა; დაფენჭრილი დახვრეტილი (ზ. წერეთ.).

დაფერცხვა (ქიზიყ.) კვერცხდასადები ქათმის გაბერწება. ხელში რომ დაიჭერენ, ქათამი ფართალს დაიწყებს და ჩვილ კვერცხს დადებს. ნ. ფერცხვა (ს. მენთეშ.).

დაფეხვა (გურ.) შესადებავი ძაფის ან ქათვლის წინასწარ დაღობვა წყალში, რომელშიაც კაკლის ხის ფესვები აწყვეია (გ. შარაშ.).

დაფეფქვა (ფშ.) დაჩეჩქვა; დაფეფქვილი დაჩეჩქვილი, ძვალი და ტყავი ერთმანეთში დანაყილი (ი. ჭყონ.).

დაფეშვა (გურ.) მსხვილად დანაყევა რისამე, მაგ., ნიგვზისა; დაფეშვილი მსხვილად დანაყილი (გ. შარაშ.).

დაფეშვა (იმერ.) მსხვილად დაფქვა, დაღერღვა. „სიმიდი ისე დოუფეშვავს მეწისქვილეს, რომე საცერში არ ვადის“ (პ. ჯაჯან., X).

დაფეხვა<sup>1</sup> (იმერ., გურ., ლეჩხ.) დაკუტვა, დახუთვა; დაფეხვილი დაკუტებული, ფეხებდაზიანებული. „აერ დროს კვი ყმაწვილი იყო, მარა ახლა დაფეხვილი გდაა და კარში ვერ გამოდის“ (ვ. ბერ.; ა. ლლ.; მ. ჩიქ.).

დაფეხვა<sup>2</sup> (ქიზიყ.) გადავარდნა, გადაჩეხვა. „გუშინ ჩვენებიანთ გიორგი დამთვრალიყო და ჰემეში დაფეხვილიყო“ (ს. მენთეშ.).

დაფილენცხება (გურ.) დავოჭლება. ნ. დაფეხვა (ა. ლლ.).

დაფინვა (ზ. აჭარ., იმერხ.) იატაკის დაგება (შ. ნიქარ.).

დაფინქვადება (გურ.) წვრილ-წვრილად დაჭრა, დატეხვა. „დაფინცქვალა შიშა“ (ს. ყლ.).

დაფიფინება (იმერ.) სახეზე დასივება ლოთობისაგან (ვ. ბერ.).

დაფირთბაშება (გურ.). ნ. დაფურთბაშება. დაფიშანება (ზ. აჭარ.) დაფიქრება, მოლოწრება (შ. ნიქარ.).

დაფლაღნა (ქიზიყ.) დუნედ შეგრება რთვებს დროს; დაფლაღნილი დუნედ შეგრებილი ნართი. ამის ქსოვილი მოსათელად კარგია (ს. მენთეშ.).

დაფოღება (ქიზიყ.) როცა ისეთ რამეს იყიდიან, რომელიც მალე არ გამოიყენება, მაშინ იტყვიან, დამიფოღდაო (ს. მენთეშ.); ჩაფოღება, დაფუნება; დამიფოღა ანუ ჩამიფოღა დამიწუნა (ი. ჭყონ.). შდრ.: ქეგლ.

დაფოღებება (გურ.). ნ. დაფილენცხება.

დაფორაჭებული (იმერ.) დაწინწკლული (ი. ქავთ.).

დაფორება (ნეგილ.) დაობება (მ. ჯან.).

დაფორებება (ზ. იმერ. დაკუტება; დაბრუება. „ფეხები დამეფორება, ჯორიდან ჩამოსვლა მენატრებოდა“ (ზ. წერეთ.).

დაფოტრილი (გურ.) დარკილულივით (ნ.) დაფოტოროვებული (გ. შარაშ.).

დაფოციაკება (ქართლ.) დაფაქურება (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

დაფრანგვა (გურ.). ნ. დაფრანგული.

დაფრანგული<sup>1</sup> (გურ.) აქა-იქ გაღუნული, მიხრილ-მოხრილი. ნ. ფრანგვა (გ. შარაშ.).

დაფრანგული<sup>2</sup> (ლეჩხ.) დაფლეთილი; დაფატრული. „შენი პერანგი ისე დაფრანგულია, საკერავადაც არ გამოდგება“ (მ. ალავე, 1).

დაფრუხტუნება (მესხ.) ცხვირის დაცემინება (ი. მაისურ.).

დაფსება (გურ., აჭარ.) დასება, დაჭრობა ცეცხლისა, განადგურება, დაღუპვა. „მკუციით დააფსეს ჩვენი სოფელი“ (გ. ნინ., I, თ. კიკვი.); „დააფსემაი ცეცხლი და წამოი!“ დაფსებულნი დაფსებული (გ. შარაშ.; დიალექტ. 657).

დაფსიტვა (ქიზიყ.) აბურძგნა წვერისა. „გაჭარებულ კატასავით დავიფსიტე წვერები“ (შ. ძიძ., ქრესტ.).

**დაფსუება** (მთიულ.) დაფშენა (მიწისა) (ლ. კაიშ.).

**დაფსხრაკულ-ი**, **დაფსხრუკულ-ი** (იმერ.) დაღუელი, დაჩივებული (ი. ქავთ.).

**დაფსხრუკულ-ი** (იმერ.). ნ. დაფსხრაკულ-ი.

**დაფუნგვა** (გურ.) დანგრევა, აბნევა, დაშლა; დაფუნგულ-ი დაშლილი. დაშლილ ძაფზე იტყვიან. ნ. ფუნგვა (ს. ჟღ.).

**დაფუნგვა** (ქიზიყ.) დაშლა, დარღვევა. ნ. დაფუნგვა, ფუნგვა (ს. მენთეშ.).

**დაფუნჩხვა** (გურ.) ნამცეცებად ქცევა; დაფუნჩხულ-ი ნამცეცებად ქცეული, ვთქვათ, გამომცხვარი მჭადი ან პური (ს. ჟღ.).

**დაფურეშულ-ი** (გურ.) დაფშენილი, დატეხილი, დარღვეული. „მომიედება, გამოლოცნის დაფურეშულ კვერსაო“ (ა. ლ., გურ.).

**დაფურეშულ-ი**, **დაფურეშული** (გურ.) დახეტოილი (კანი, ხელის გული, ფეხის გული); დაფურეშულ-ი მჭად-ი გამოცხობის დროს დახეტოილი მჭადი და სხვ. ნ. დაფურეშული (გ. შარაშ.).

**დაფურთხამება** (გურ.) დანგრევა, დაგლეჯა, განადგურება (ა. ლ.).

**დაფუცხუნება** (კახ.) აჩქარება. ნ. ფუცხუნ (ა. მარტ., გ. იმნ.).

**დაფუზვა** (გურ.) დაფეხვა, დაკოკლება; დაფუზულ-ი დაფეხვილი, დაკოკლებული (გ. შარაშ.).

**დაფუნგვა** (იმერ.) ვენახის გამრავლება გადაწვენით, დაფუნგვა (ნ.), გადაწვიდენა (დიალექტ., 670).

**დაფშიტვა**, **აფშიტვა** (ქართლ.) უმარცვლო თავთავის გაკეთება (მ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

**დაფშუვა** (გურ.) დაქრობა, ჩაქრობა; ცეხლი დეიფშუკა ცეხლი ჩაქრა (ს. ჟღ.).

**დაფშუქება** (ლეჩხ.) დაფრთხობა, თავაწყვეტა (მ. ჩიქ.; მ. ალავ., 3).

**დაფხნა** (გურ.) დაფშენა, წვრილად დამ-

ტვრევა, ნამცეცებად ქცევა (დიალექტ., 663).

**დაფხაება** (ხევსურ.) გაღესვა, მაგ., ცულისა. „დაგიფხაება ეფრანგული თიბაში ცელივითაო“ (ა. ქინჭარ., 223); **დაფხავებულ-ი** (ზ. იმერ.) გამხდარი (ჭ. ძოწ.).

**დაფხაება** (ფშ.). ნ. ფხოკვა. **დაფხლეილ-ი** (ქიზიყ.) კობტა, ჭვირანივით ყმაწვილი (ს. მენთეშ.).

**დაფხოკვა** (გურ.). ნ. ფხოკვა.

**დაქადნება** (გურ.) დაქადება, დამუქრება; დაქვენება; დიექადნა დამუქრა (ა. ლ.).

**დაქალბნვა** (გურ.) დაქრთამვა (გ. შარაშ.).

**დაქამვა** (გურ.). ნ. ქამი.

**დაქანკულ-ი** (გურ.) ძალიან დასხმული ნაყოფი, დახუნძლული. „დაქანკული აქ ქლათ ბოლებითა“ (ს. ჟღ.).

**დაქარდვა** (იმერ., გურ.) მსხვილად დაკაწვრა, დახვევა. „ძროხას დაქარდული აქ კანთები, ეკლებზე თუ დეიზიანა“ (ი. ქავთ.); დაქარდული გრძლად დახვრილი, დაჭრილი. „დაქარდული ხორცი“; „დაქარდული აქ თლა ბარკალი ჭრილობისაგან“ (გ. შარაშ.).

**დაქარვა** (ლეჩხ.) ნეღლი სვეტის ან ფიცრის დახეთქა გამოშრობის შემდეგ, დაქარულ-ი დახეთქილი (მ. ალავ., 2).

**დაქარანებულ-ი** (კახ.) ქარებით დაავადებული (ა. მარტ., გ. იმნ.).

**დაქაჩვა** (ქართლ.) დაქაჩვა, გამოქაჩვა (ნ.), ჭაჭისაგან წნეხით წვენიის გამოწურვა (დიალექტ., 636).

**დაქეთარება** (რაჭ.) მეტისმეტი მზრუნველობის გამოჩენა, დაფეთება. „შვილზე დაქეთარებულია“ („კომუნისტი“, № 190, 1967).

**დაქვარცხულ-ი** (გურ.). ნ. ქვარცხი.

**დაქვაფსულ-ი** (გურ.) სულ პატარა, დაწინებულ, თავის ასაკთან შედარებით მეტისმეტად პატარა (პ. ჭაჭან.).

- დაქიმიოთვა** (ქიზიყ.) შიშვილის ან წყურვილის შედეგად ხარბი, გაუმძაღარი ქაშა ან სმა; დაქიმიოთვლი-ი ძალიან დამშეული. ნ. ქიმიოთი (ს. მენთეშ.). შდრ.: ქეგლ.
- დაქიმიტებულ-ი** (მთიულ.). 1. დამშეული, დაქიმიოთებული; 2. ისეთი, უნახავივით რომ იქცევა. ნ. დაქიმიოთვა. (ლ. კაიშ.).
- დაქინთლუშავება** (ფშ.) დათუტვა, მდულრისაგან დაწვა და კანის აბურცვა, ქინთლუშების (ნ.) გაჩენა (დაილექტ., 590).
- დაქირხვლა** (ფშ.) მცირე თოვლის მოსვლა (ეყა, I, 1946, ა. შან.).
- დაქიფვა** (იმერ.) წამოკიფვა, საჩხებრად მოშაადება და დამუქრება, თავის ძლიერად მოჩვენება. „ძან დამექიფვა, მარა თხას ნალეხი არ ამიყაროს ერთბაშად“ (ი. ქავთ.).
- დაქიჩმაჩება** (გურ., იმერ.). ნ. ქიჩმაჩი; დაქიჩმაჩებულ-ი საგანგებოდ, გულდაგულ მოშაადებული რაიმე საქმისათვის, გამოკიფული (ი. ქავთ.).
- დაქიტიტება** (ქართლ.) თვალი და გული რომ ვერ გაუძლება (ი. ჭყონ.).
- დაქნა** (ლექჩ.) კვეთის გაქნა, გათქვეფა რძეში ყველის ამოსაყვანად; დაქნილი-ი გაქნილი, გათქვეფილი. „რძე დავქენი“ (მ. ალაფ., 2; დიალექტ., 678).
- დაქონკილ-ი** (იმერ.) ნამეტანი სიძველისაგან დამდნარი და დაგლეჯილი ტანისამოსი. ნ. დაქონკილი (ი. ჭყონ.).
- დაქორება** (აქარ.) დაბრმავება. „დათემა ამეილო თვალის კეკლები და დაქორდა“ (ბ. ჭაჭანი; ი. მეგრ.).
- დაქსვა** (მთიულ.) ქსოვის დაწყებად ჩარჩოზე ძაღების ვაბმა (ლ. კაიშ.).
- დაქსიტება** (გურ.) ცხვირის დაცემინება (გ. შარაშ.).
- დაქსიტინება** (გურ.). ნ. დაქსიტება.
- დაქუშელება** (გურ.) ნამეცეებად ქცევა (გ. შარაშ.).
- დაქურეცება** (გურ.) ნამეცეებად დახვრა თავისაგან (გ. შარაშ.).
- დაქურულება** (გურ.) კრუხის დაჯდომად ვრთებ ქვეშ წიწილების შემოსხდომით (გ. შარაშ.).
- დაქუსლვა** (ქართლ.). ნ. ჩაქუსლვა.
- დაქუჩება** (ქიზიყ., თუშ., ფერეიდნ.) დაგროვება, თავმოყრა (დაილექტ., 605; 628; თ. უთურგ.). შდრ.: ქეგლ.
- დაქურუტხულ-ი** (ზ. იმერ.) დაჩგრეტილი. „ღრუბელივით არი დაქურუტხული ეგ სოკო“ (ბ. წერეთ.).
- დაქუტუტუნება** (მთიულ.) დაბერვა ქარისა (ლ. კაიშ.).
- დაღადვრა** (გურ.) კეცზე ნადვერდლის დაყრა მჭადის გამოსაცხობად (გ. შარაშ.). შდრ.: ქეგლ.
- დაღინება** (ოკრიბ.). ნ. დაკოინება.
- დაღალ-ი** (ქიზიყ., კახ., ქართლ.). 1. დაბალი ხარისხისა, ცუდი, მდარე; ღარიბი; დაღალ-ი კაც-ი საწყალი, ღარიბი, ბოლო კაცი (ს. მენთეშ.); დაბალი, არათანაბარი, მავალითად, ვაზი (ა. მარტ., გ. იმნ.); 2. უღალი, მცირე მოსავლის მომცემი მიწა (ქეგლ.).
- დაღალ-ი** (თუშ.) კარებში გაკეთებული ხის ბრტყელი და მოძრავი, კბილებიანი საგდულის გასაღები (ბ. ხუბ.).
- დაღაშულ-ი** (თუშ.) დაღამებული (დაილექტ., 579).
- დაღდაღინა** (ქართლ.) ყაყანი, ლაყბობა (მ. მესხ.).
- დაღერღეტება** (ქიზიყ.) უმიზნოდ სიარული, ხეტიალი (ს. მენთეშ.).
- დაღვადება** (გურ.) დაგლაზაკება, დაჩაჩანაკება; ვაზარმაცება, გამოცონარება (ა. ლ.).
- დაღვაჭული** (გურ.). ნ. დაგვარჭული.
- დაღვეზილება** (ლექჩ.) დაზნეჭა, გვერდზე დახრა; ურმის თვალის დამიდვეზილ და ურმის თვალმა სიმრგვლე დაკარგა (მ. ჩიქ.).
- დაღვერილ-ი** (ფშ.) კანგაცილი, ქერკაცილი (ი. ქეშიკ.).
- დაღვირჭნა, დაღურჭნა** (ლექჩ.) დაღვერვა, კარგად დაბანა (საბნითა და სახეხით). დაღვირჭნილი-ი, დაღურჭნული-

ლ-ი გაღვრევილი. „ბოში დაეხანე, ტა  
ნი კარქა დო უღვირქნე“. ნ.  
ღვრიჭა (მ. ალაგ., 2).

დაღირება (გურ.). ნ. გაღირება.

დაღირსება (ინგილ.) გაჩენა, დაბადება.  
„უმაწული დაღირსება“ (გ. იმნ.).

დაღირსება (იმერ., ქართლ.) დანატრუ-  
ლება, ვისაც სანატრელად გაუხდება  
ის, რასაც ნანგევი იყო (ი. ჯყონ.);  
დაღირსებულ-ი დანატრებული  
(მ. მესხ.).

დაღირღიტება (კახ.) დანის გასმა-გამოს-  
მა, ეთქვათ, ყელში (ა. მარტ., გ. იმნ.).

დაღირშება (ოკრიბ.) დამწებრება (ს. კო-  
ლევი, წყალტუბოს რ., თ. ოქროშიძე).

დაღლარა (ქიზიყ.) ქალი ბიჭური საქცი-  
ელისა და ქარიანი, ქარაბიჭასავით (ს.  
მენთეშ.).

დაღლარა (რაკ.) დოყლაპია, პირღია (ვ.  
ბერ.).

დაღლიზა (აქარ.) გაფცქენა, გაძარცვა.  
„იმ კაცმა დაღლიზა ხალხი: ბეჭ-  
რი ფული წეიდო“ (პ. ჯაჯან.).

დაღნიომებულ-ი (მთიულ.) პატარა, საცო-  
დავი (ლ. კაიშ.).

დაღომება (ლუჩხ.) სიმწიფეში შესვლა  
ვაშლისა; დაღომებულ-ი სიმწიფე-  
ში შესული (მ. ალაგ., 2).

დაღონება (ფშ.) დატანჯვა, შეწუხება (დი-  
ალექტ., 590). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ.  
ჩუბ., ქეგლ.

დაღრანცვა (ქიზიყ.) დაღვრღვა, მსხვილად  
დაფქვა; დაღრანცულ-ი მსხვი-  
ლად დაფქვილი, ქატოიანი; უხეირო  
პური გამოდის (ს. მენთეშ.).

დაღრეება (ქიზიყ.) დათრობა. „ხალხი  
დაღრედა, ეხლა ალაგებისა და  
აშლის ღრთაო“ (ს. მენთეშ.).

დაღრნობა (იმერ., გურ.) დაქნობა; და-  
მღნარ-ი, დამღრალ-ი დამქნარი  
(ი. ჯყონ.).

დაღრძობა (ქიზიყ.) დახრჩობა; გადატ.  
მოკვლა (ს. მენთეშ.). შდრ.: საბა, ნ.  
ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

დაღუებულ-ი (მთიულ.) მოწყენილი, და-  
ღარღიანებული (ლ. კაიშ.).

13. აღ. დღონტი, სიტყვის კონა.

დაღურბლებულ-ი (ფშ.) შუბლშეკრული,  
გაუცინარი (ი. ჯყონ.).

დაღურდანა (იმერ.) ქვეშევემა და შური-  
ანი (ი. ქავთ.).

დაღურეშულ-ი (გურ.) მსხვილად დაფქ-  
ვეული, დაღვრღილი (გ. შარაშ.).

დაღურთვა თავისა (იმერ.) თავის ჩაქინ-  
ღრვა გაბურტულად ან დარცხვენილად  
(ი. ქავთ.).

დაღურღნულ-ი (ლუჩხ.) დაკვარღნილი,  
ხუცუქი თმა. „დაღურღნული  
თმა ამოუვიდა და მის შეხედვის აფერი  
ჯობია“ (მ. ალაგ., 1).

დაღუღულ-ი (ქიზიყ.) მგლოვიარესავით  
ძალზე მოწყენილი. „ზის დაღუ-  
ღული“ (ს. მენთეშ.).

დაღუჭება (ოკრიბ.) ძლიერ დამწიფება  
მსხლისა; ძირია დუჭე. „გულაბი  
დაღუჭდა“ (მ. ალაგ.).

დაყადრება (რაკ.) ხეს რომ სიღამპლე შე-  
უღდება. ნ. ყანდი (ვ. ბერ.).

დაყანდება (ქართლ., ქიზიყ.) ხეს რომ სი-  
ღამპლე შეეპარება; დაყანდებუ-  
ლ-ი სიღამპლეშეპარული ხე (შ. ძიძ.,  
ნ. კეცხ., პ. ხუბ.; დიალექტ., 605);  
დაყანდებულ-ი დაობებული (ლ.  
ნოზ.).

დაყანთრვა (გურ.) დატვირთვა, დამძიმება.  
შდრ.: ყანთარი (ა. ლლ.).

დაყანტება (ლუჩხ.) გალაყება; დაყან-  
ტებულ-ი გალაყებული. „კვერცხი  
დაყანტდება ყივანში, სიცხეში“  
(მ. ალაგ., 2).

დაყარება (ქიზიყ.) ცხერის სატყვიარი:  
ტუტუები ასტყვია, დაუჩირქდება და  
გაუწრება რძე (ს. მენთეშ.).

დაყაფება (ქსნის ხეობ.) დაობება პურისა,  
დაღობა ხილისა (ვ. სომხიშვი.).

დაყაშებულ-ი (ფშ.) დამსკლარი კლდე  
მთა (ვყა-ფშ. მც. ლექსიკ.; ქეგლ.).

დაყაჭება (ქიზიყ.) დაობება (ს. მენთეშ.).

დაყაჭვა (მოხ.) გამოძერწვა; რაიმე ნივ-  
თის ლამაზად გაწყობა (ო. ქაჯ.).

დაყაჭყაჭება (ქიზიყ.) დაობება, ძალიან  
დაობება, წითლად-ყვითლად ობის მო-  
კიდება; დაყაჭყაჭებულ-ი პურ-ი



ძალაან დაობებული, წითლად-ყვითლად  
 ობმოკიდებული პური. „პური სუ და-  
 ყაჭყაჭებულია, რა შეჭანს“. ნ.  
 დაყებვა (ს. მენთემ.).  
**დაყელვა**, **დაყენტვა** (ლენხ.) ჭობნა; თავ-  
 დაყირა დგომა (მ. ჩიქ.; მ. ალავ., 1).  
**დაყენტვა** (ლენხ.). ნ. დაყელვა.  
**დაყვი** (ყიზლ.-მოზღ., მოს.) ნიდაყვი  
 (დიალექტ., 601); დაყუი იდაყვი  
 (ო. ქაჯ.).  
**დაყვედრება** (იმერ.) დაბოყინება (ი.  
 ქავთ.).  
**დაყვერვა** (აჭარ.) მოსპობა, განადგურე-  
 ბა (პ. ჯაჯან.).  
**დაყვერვა**<sup>2</sup> (ქართლ.) დაყოდა, თავთავის  
 თავ-ბოლოს წაყყვეტა, შუაგულის სა-  
 თესლედ შენახვა (თ. სალარ., ალგ.,  
 97).  
**დაყვინტალება** (რაკ.) ჩათვლემა (შ. ძიძ.,  
 204).  
**დაყვიდა** (ინგილ.) დადიდა; აყვიდა  
 ადიდა. ნ. ყიე (მ. ჯან.).  
**დაყაშაღაყება-ა** (თუშ.) თავდაყირა გა-  
 დატრიალება (დიალექტ., 579).  
**დაყლურჭებულ-ი** (იმერ.) ძალზე დამწი-  
 ფებული (ი. ქავთ.).  
**დაყმედა**, **დაყმედალ-ი** (ხევსურ.) მოში-  
 ვება, მოშივებული (ა. ჭინჭარ., 215).  
**დაყმედილ-ი** (იმერ.). 1. ცუდ გუნებაზე  
 მყოფი; 2. მწყრაღად განუშებული (ი.  
 ქავთ.).  
**დაყმენდილ-ი** (ფშ.) დამშეული. „სანადი-  
 როდ, გამოსულა დაყმენდილი  
 ყვანჩალია“ (ი. ქეშიკ.).  
**დაყონება** (ქიზიყ., ქართლ.) დამშვიდება,  
 დამონინება. „აღელებული კაცი უნდა  
 დაყონინო“ (ს. მენთემ.); დაცხრო-  
 მა (კირიონი).  
**დაყრანტებულ-ი** (ქიზიყ.) ძალზე დაბერე-  
 ბული. ნ. ყრანტი (ს. მენთემ., დამ.).  
**დაყრუება** (გურ.) მოსპობა, მოშლა,  
 წყლის დაშრობა. „ამ წყალს აყრუ-  
 ებენ“ (პ. ჯაჯან.).  
**დაყუდება** (ქიზიყ.) უსარგებლო სიარუ-  
 ლი. „რაა დეეყუდები?“ (ს. მენ-  
 თემ.).

**დაყუნებულ-ი** (ფშ.) დასკუპებული, წა-  
 მოჭდარი ძალღი, ბაყაყი (ვაჟა, I, 7.  
 შან.).  
**დაყულვა** (ინგილ.) მოხვევა ხელებისა (მ.  
 ჯან.).  
**დაყურსება** (ქართლ.) ყურის დაგდება;  
 დაწყნარება (თ. რაზიყ., „ივერია“,  
 № 130, 1900).  
**დაყურსვა** (გურ.) ძალზე დატვირთვა (ა.  
 ლ.).  
**დაყურსვა**<sup>2</sup> (ფშ., ქართლ.) დადუმება, გა-  
 ნაბუა (ი. ქეშიკ.); დაყურსულ-ი  
 დადუმებული (ქეგლ).  
**დაყურსულ-ი** (გურ., იმერ., ლენხ.) და-  
 პანკული, ერთობ დატვირთული; უფ-  
 რი კი იტყვიან ხეხილის შტოზე, რო-  
 მელსაც იმდენი ხილი გამოხმია, რომ  
 იზნიქება (ი. ჭყონ.); დამძიმებული.  
 დამშენდილი. ნ. დაღანძული (მ. ჩიქ.).  
**დაყურწვა** (გურ.). ნ. დაყურსვა.  
**დაყუყება** (გურ.) დაჭდომა მუხლებზე.  
 ჩაყუყვა (გ. შარაშ.); მუხლებზე დაყ-  
 რდნობით დაყუყვა. „იქვე დაყუყ-  
 და“ (ა. ლ., გურ.).  
**დაშაბათება** (მთიულ.) აუქმება, მუშაობის  
 შეწყვეტა (ლ. კაიშ.).  
**დაშაბათება-ა** (თუშ.). 1. დამწიფება.  
 დაშაქრება ხილისა; 2. ერთობი შეკაზ-  
 მვა ქუმლისა (პ. ხუბ.).  
**დაშაირება** (თუშ.) შაირში მოხსენება (ი.  
 ბუქურ., 131).  
**დაშააუშება** (იმერ.) დაღალვა, დაქანცვა  
 (ვ. ბერ.).  
**დაშარვა** (ქართლ.). 1. ნახნავის ან ნა-  
 ფარცხის დაკვალვა; კვლების ახლო-  
 ახლო ვაკეთება ბოსტანში, ყანაში ან  
 ვენახში; 2. ვახის, ხეხილის მწყრივად  
 გაშენება (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.);  
 3. მწყრივში სწორად ჩაყენება. ნ. შა-  
 რი (ს. მენთემ.).  
**დაშარტვა** (ქართლ., ქიზიყ., მოს.) მავრად  
 შეკვრა (კირიონი); არტახების შემოკ-  
 ვრა; „ძალიან ნუ დააშარტავ, ცო-  
 ღოა ყმაწვილი!“ (ს. მენთემ.); მავრად  
 გამოკვრა, გამონასკვა (ო. ქაჯ.).



დაშატული (მთიულ.) ალანძული, სახე-  
აშლილი (ლ. კაიშ.).  
დაშაშრული (ლენჩ.) დახეთქილი; და-  
შაშრვა ყინვაში ხელების დახეთქა  
(მ. ჩიქ.); შდრ.: ნ. ჩუბ., დ. ჩუბ.,  
ქეგლ.  
დაშვლვა (კახ.) წყვლით ან სახრით ცე-  
მა (ა. მარტ., გ. იმნ.).  
დაშვროშა-ა (თუშ.) დაღლა (თ. უთურგ.).  
დაშთაღვა, დაშტიღვა (ლენჩ.) დაჩრდილ-  
ვა. ნ. შტილი (დილიქტ., 676).  
დაშიბული (ფშ.) წვრილი თასმით დაწ-  
ნული (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).  
დაშიშხათება (გურ.) დამინება (გ. შა-  
რაშ.).  
დაშყუბრული, დაშყუბრული (გურ.)  
უწნო, ჯმუხი პირისახის კაცი ან ქალი  
(ვ. შარაშ.).  
დაშლა (რაქ.) დაშნა, მოკლე ხმალი (დი-  
ლიქტ., 683).  
დაშლაშვა (იმერ.) დამაშვრა, დასკდომა,  
დახეთქა კანისა (ი. ქავთ.).  
დაშნა (ხევსურ., გურ.) 1. ცალმხარეს  
გალესილი შესაბმელი იარაღია პატა-  
რა. „ჭრელა დაშნულა შაუმბავ,  
წვესურის დისწულს ღვავისა“ (ა. კინ-  
ქარ., 306). 2. ყვარის სახადი იარაღია  
(ს. ჟღ.).  
დაშორშვლა-ა (თუშ.) დაჭლანვა, დაპრან-  
ქვა; დიხშორშლ დაჭლანა (თ.  
უთურგ.).  
დაშობა (გურ.) დაძრობა ტყაყისა; „ტყა-  
ვი თუ არ დავაშობე“ (ე. ნინ., II,  
თ. კიკვი).  
დაშტაყნება (რაქ.) დაჭიდება, დატყება.  
„მოდი, ერთი დამეშტაყნე!“ (ა.  
ტყეშვლაშვილი, დები).  
დაშტიღება (ქართლ.) გაწყრომა, ხმა-  
ლა დატუქსვა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ.  
ხუბ.).  
დაშურტება (გურ.) დაბანა ხელისა. „მო-  
ბძანდით, ბატონო, დეიშურტებეთ ხე-  
ლი“ (თ. მითაიშვილი-ბლაგიძე, ჯუ-  
მათი).  
დაშუშვა (გურ.) დასუსტვა, კანის დახე-

თქვა სიცივისა ან ქარისაგან. ნ. შუშნი  
(გ. შარაშ.). შდრ.: ქეგლ.  
დაშხოლვა (იმერ.) ახალნერგის, ახალ-  
ამოსული ქორთა მცენარეების გათელ-  
ვა შიგ მოურიდებელი სიარულით ან  
გრივალსაგან. „ნუ დაშხოლავ  
კიტრის ბარდებს, ფთხილათ დაადვა  
ფეხი“ (ი. ქავთ.).  
დაჩაირება (გურ.) გრძელი თოკით სა-  
ჭონლის დაბმა საძოვრად (ს. ჟღ.).  
დაჩაჩქვნა (ქიზიყ.) გამზადებასავით სად-  
მე წასასვლელად. „აბა, დაჩაჩქნე-  
ნით, აქა და აქ უნდა წავიდეთ“ (ს.  
მენთაშ.).  
დაჩაზახება (გურ.) დადაცურება. „და-  
ჩაზახდა და გეიქვა“ (გ. შარაშ.).  
დაჩეგენა (მთხ.) დასერა, ჩაქრა; გადატ-  
დამცირება, დაბრიყვება, დაჩაგერა (ა.  
ყაზბ., IV, შ. ძიძ.).  
დაჩეგრილი (მთხ.) დაჩაგრული (დი-  
ლიქტ., 561).  
დაჩეგებული (ყიზლ.-მოზლ., მოხ.) და-  
საკუთრებული, მიკუთვნებული (დი-  
ლიქტ., 601). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ.  
ჩუბ., ქეგლ.  
დაჩენგელება (გურ.) ნ. ჩენგელა.  
დაჩენგიღება (იმერ.) ჩალის რამდენიმე  
კონის ერთმანეთზე თავმიდებით აყუ-  
დება გასახშობად. ნ. დაჩენგელება  
(დილიქტ., 670).  
დაჩეჩვა (ქსნის ხეობ.). 1. ხილის დაბე-  
რტყვა; თუთა დაცეჩეჩეთ თუთა  
დავებრტყეთ; დაჩეჩე ეგ მსხალი!  
(ვ. სომხიშვი.). 2. დაჩეჩვა მატყლი-  
სა (საბა).  
დაჩეჩვა (ლენჩ.). 1. გალახვა, ცემა; 2.  
საარაყედ ვაშლის დახეთქა (მ. ჩიქ.).  
დაჩვენვა (გურ.) ბავშვისაგან სატირლად  
სახის დაპრანქვა. „როგორ დაჩვენა  
ამ ბავშმა სახე“ (ი. ჭყონ.).  
დაჩვენება (მოხ.): დაუჩვენა დაუ-  
საკუთრა, „ჩვენად გაუხადა“ (ა. ყაზბ.,  
II, შ. ძიძ.).  
დაჩაინებული (კახ.) აბუჩად აგდებული,  
დაჩაგრული, დაბრიყვებული (ა. მარტ.,  
გ. იმნ.).

**დაჩითმათება** (გურ.) აკრელება. ნ. დაჩითმათებული (ა. ღლ.).

**დაჩითმათებული**-ი (გურ.) შეთხუზნული, აკრელებული (ე. ნინ., II, თ. კიკვი).

**დაჩიჩვა** (ლენხ.) დაჩრიღლეა, ჩიჩინაგან (ნ.) დაღრღნა ბეწვეულ-შალეული-სა ან შაშხისა; დაჩიჩულ-ი დაჩრიღლული. ნ. დაჩიჩვა, დაჩიჩვა (მ. ალავ., 2).

**დაჩიჩვა** (მენხ.) ნაცვეთი ქსოვილის დაქნევა, ძაფებად დაშლა. „ბალტოს სარჩული დაჩიჩვა“ (ი. მაისტრ.).

**დაჩიჩხიღება** (ქიზიყ.) შეჩუხუნება, მუჯუზლების შეტოკება, მაშით მიწვე-მოწვეა ცეცხლის გასაჩაღებლად (ს. მენთეშ.).

**დაჩიქვა** (გურ.) ყანაში ხეების ხელმეორედ დასხება, რომ ნათესი არ დაჩრდილოს; ნორჩი ტოტების დასხება (გ. შარაშ.).

**დაჩიჩვა** (გურ., ზ. აქარ.) დაჩრიღლეა, ქსოვილის შექმა ჩრჩილისაგან; დაჩიჩულ-ი დაჩრიღლული, ჩრჩილის მიერ შექმული. ნ. ჩიჩი (ა. ღლ.; შ. ნიქარ.).

**დაჩიჩვატული**-ი (ზ. აქარ.) უშნო, ულაზათო (შ. ნიქარ.).

**დაჩიჩიღაკება** (იმერ.) ხმელი შეშის ძალიან წვრილ ღერებად დაპობა (ი. ქავთ.).

**დაჩიჩაეება** (ქართლ., ქსნის ხეობ.) დასახინრება. „დაჩიჩიჩაეე კია ეს კაცი და...“ (შ. ძიძ., ანგარიში; ვ. სომხიშვი.).

**დაჩიჩავებულ-ი** (ქართლ.) დასახინრებულ-ი. ინვალიდი (შ. ძიძ., ანგარიში).

**დაჩიჩრიხება** (გურ.) ბამბის დაქნება (ა. ღლ.).

**დაჩილითვა** (ზ. იმერ.) დახეტქვა, დაქნება. „წუნელს თავს რომ მოუგრებს, დეიჩლითება თავი“ (ბ. წერეთ.).

**დაჩიჩაბებულ-ი** (იმერ.) დაქმახებული, ძმრის სუნისა და გემოს მქონე ცუდი საამელ-საჭმელი (ი. ქავთ.).

**დაჩიჩხიღ-ი** (ქიზიყ.) კოკლი (ს. მენთეშ.).

**დაჩიღოტება** (მოხ.) დაბრიყვება, დაჩაგერა, დამონება (ა. ყაზბ., II, შ. ძიძ.).

**დაჩრტულ-ი** (მთიულ.) დასვრეტილი (ლ. კაიშ.).

**დაჩრხებულ-ი** (მთიულ.) ჩრუხი, დახერხებული (ლ. კაიშ.).

**დაჩრღვიღ-ი** (მთიულ., ფშ.) დაჩრღული. დაგმანული, დამთბარი. „დაჩრღვიღი ოთახი“ (ლ. კაიშ.); დაჩრღვიღია ადგილების, ნახვრეტების რაიმეთი ამოვსება. „ქარი დაქვია, დაჩრღვიღ“ (ი. ქეშიყ.).

**დაჩრღეშვა** (გურ.) მარცვლეულის მსხვილად დაფქვა. ნ. დალურღეშული (გ. შარაშ.).

**დაჩრღთვა** (ქიზიყ.) დაგმანვა, ქუჭრუტანის ამოვსება (ს. მენთეშ.).

**დაჩხუბვა** (ლენხ.) დაწუნება (მ. ალავ., 1).

**დაცალვა** (ქიზიყ.) ჯობნა; გადაძალვა, გადაწონა. თუ რომელიმე მოჭიდავე ან მოჩხუბარი მეორეს სჯობნის, იტყვიან: დაცალათ. აგრეთვე საკიდარს რომ ტვირთს აჭიდებენ, თუ ერთმა ცალმა გადასწონა, იტყვიან: მარჯვენამ ან მარცხენამ დაცალათ (ს. მენთეშ.).

**დაცარვა** (ფშ.) დაქნინება, უშინაარსოდ გაბღობა (ვაყა, I, 1946, ა. შან.).

**დაცარვა** (ქართლ., ქსნის ხეობ.) დაგრეხილი (დაძახული) ძაფის მოშვება, დაცალვა. დაცარვა ეწოდება აგრეთვე თოკის, ნართის დაძველება-დაშლას, თოკის გაწყვეტამდე მისვლას, ქსოვილის დაფხავებას. აქედანაა ხელოს მოცარვა (გ. შატერ., 49-50); ძაფის ორად გაყოფა (ვ. სომხიშვი.).

**დაცარვა** (ქიზიყ.) უკუღმა დაგრება (ს. მენთეშ.).

**დაციმცამებულ-ი** (კახ.) თვალბდაციმცამებული (ა. მარტ., გ. იმნ.).

**დაციმცამება** (ლენხ.) ციმცამის (ნ.) შესრულება. „უცებ გამედვიძა, წამოვხტენი და დავციმცამდი, ქურდი გამეკა და დევედვენე“. ნ. დაციმცამება (მ. ალავ., 2).

**დაციენება** (იმერ.) სხეულის კანის ან ტუჩის დასკდომა. „ისე და მი ც ი ც ი ნ ა ქარმა ე ტუჩი, რომ ლაპარაკი არ შემიძლია“ (ვ. ბერ.).

**დაცობებულ-ი ძაფ-ი** (მთიულ.) ძაფი, რომელიც ფონედაა დართული და დაძახებულია და აღვილად იშლება (ლ. კაიშ.).

**დაცრება** (ქიზიყ.) გამრუდება; ფეჭსაცმლის და ც რ ე ხ ა ფეხსაცმლის გამრუდება; ვადატ. თ ვ ა ლ ე ბ ი ს და ც რ ე ხ ა თვალების დაელამება; და ც რ ე ხ ი ლ-ი მრუდე, ელამი (ს. მენთეშ.).

**დაცკერენა** (ფშ.) დასხლტომა, დაძვრენა (ი. ქეშიყ.).

**დაცქმატურება-ა** (თუშ.) მოულოდნელობისაგან შეკრთომა და გამოსავალი საშუალების გამოსანახავად ასწრავება (პ. ხუბ.).

**დაცხავება-ა** (თუშ.) რამის გახვრეტა ბევრგან ისე, რომ ცხავს დაემსგავსოს (თ. უთურგ.).

**დაცხაულ-ი** (მთიულ.) ძალიან გაცვეთილი, დაცრეცილი (ლ. კაიშ.).

**დაცხვიწყება** (რაჭ.) ცხვირის დაცემინება (შ. ძიძ., 204).

**დაცხვირება** (მთიულ.) ცხვირის დაცემინება. ნ. დაცხვირება (ლ. კაიშ.).

**დაძაბრვა** (ქართლ.) ტიყის ყელში ძაბრის ჩადება ღვინის ჩასასხმელად (გ. შატბერ., 50).

**დაძავრა, დაძავრულ-ი** (მოხ., ფშ.) მაგრად გაჭიმვა, მაგრად გაჭიმული (ა. ყაზბ., IV, შ. ძიძ.).

**დაძავრულ-ი** (ფშ., მოხ.) მაგრად დაჭერილი; გაწეილი. ნ. დაძავრა (ვაჟა-IV, ა. შან.).

**დაძაძვურება** (ფშ.) დაჭიდება, გამოწევა (ი. ქეშიყ.).

**დაძვარუნება** (გურ.) დაძვრება, დაჯახება (ა. ლა.).

**დაძეკვა** (კახ.) მძიმე საგნის დაწოლით ან დარტყმით რისამე გაბრტყელება; და ძ ე კ ი ლ-ი დატყეპნილი (ა. მარტ.,

ვ. იმნ.); დაზეგვა, დატყეპნა (პ. ხუბ., ანგარიში.).

**დაძეწკვა** (მოხ.) ხორცის დაკვება, დანაყვა, დაეწევა (ო. ქაჭ.).

**დაძერგნა** (მესხ.) დარეგვა, დათელვა, დაშლა. „თივაში უგორავია და თელი ბალაბი ისე დაუძერგნია, რო აღარ მოითიბება“; და ძ ე რ გ ნ ი ლ-ი დარეგვილი, დათელილი. „ლოგინები და ძ ე რ გ ნ ი ლი დამიხვდა“ (ი. მაისურ.).

**დაძეაშვილება** (იმერ., გურ.) დაძვალბობა, ძალზე გალახვა (ვ. ბერ.; ს. ელ.). **დაძმუძნა** (ქართლ.) დაჭმუჯნა, დაბუზნა, მოთელვა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

**დაძჩახვა** (იმერ.) აუგად ხსენება, ავის თქმა, გაკილვა ვისიმე (დიალექტ., 670). შდრ.: ქეგლ.

**დაძჩახვა-ა** (თუშ.) რამის დათქმა, ჩათქმა (თ. უთურგ.).

**დაძუფუნა წარბებისა** (ფშ.) შუბლის შექმუხვნა (ი. ჭყონ.).

**დაძეძებულ-ი** (ქიზიყ.) გაჭირვებული რომ დადის და საჭირო რამეს (წამალსა და სხვ.) მოწადინებით ეძებს, რისამე შოვნის სურვილით შეპყრობილი. „ხალხი და ძ ე ძ ე ბ უ ლი დადის და ვერ შოულობს უკვდავების წყაროს“ (ს. მენთეშ.).

**დაძუძურება** (გურ.) ძუძუს მიწოდება, ძუძუმწოვარი ბავშვისათვის ძუძუს მიწოდება (ე. ნინ., I, თ. კიკვ.).

**დაძინაულ-ი** (იმერ.) ძინკადქცეული, დაპატარავებული და უშნო (ი. ქაუთ.).

**დაწალიკება-ა** (თუშ., ქიზიყ.). 1. დანაწილება; და წ ა ლ ი კ ე ბ უ ლ-ი დანაწილებული (პ. ხუბ.); 2. დამწყრივება. „და წ ა ლ ი კ და ურმები და მიდის“ (ს. მენთეშ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**დაწაპლაპება** (კახ.) ცომისათვის ან რაიმე მოხელილისათვის წყლის დასხურება (პ. ხუბ., ანგარიში.).

**დაწარბვა** (ქართლ., ქიზიყ., ფშ.). 1. ფიცარზე ხიწვების თუ წერილი წვეტების აცლა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.);

2. ხის რამეების (კარის, ბოძის, ურმის ნაწილებისა და მისთ.) დაკვერცხვა-დაკრელება და ნაპირების დასწორება (ს. მენთეშ.). 3. დაწარბუღლი დაღარული (ვაჟა, I, ა. შან.). შდრ.: ქველ.

დაწარწული-ი (მთიულ. ფშ.) დაფლეთილი (ლ. კაიშ.); გაფანტული, გაშლილი (ი. ქეშიკ.).

დაწებრვა (ლეჩხ.) დაწნეხვა, დაპრესვა (მ. ჩიქ.).

დაწეკვაი (მესხ.) დაწხელტვა; დაწეკვილი-ი დაწხელტვილი (ი. მიახტრ.).

დაწეკვა<sup>2</sup> (გურ.) დაწყეკვა, დაგლეკვა; წეკვა წყვეტა, გლეკა (ა. ლ.).

დაწერვა, დაწერვა (ზ. იმერ.) ქაოვილის, ძაფის კაკლის წერში შეღებვა. ნ. წერი (ბ. წერეთ.).

დაწვარალება (ლეჩხ.) სახნისის დაყენება წვერზე, რომ მიწა ღრმად მოხნას. „მბილ ადგილს ვანოთლებდი და სახნისი დავაწვეერალებ“ (მ. ალავე, 2).

დაწვებრვა (ჩ. თუმ.) ღირკოს (ნ.) დაწმენდა ხარშის ღროს (კ. ჭრელი., 260).

დაწვერვა (ფშ.) ტაბაკით ხორბლის გადაარკვევა (თ. რაზიკ., „ივერია“, № 130, 1900; ი. ჭყონ.); ცელის ძლიერი მოქნევის ბალახის წმინდად გათიბვა (ი. ქეშიკ.).

დაწვავრა (ლეჩხ., ოკრიბ.) გადაწიდვა. „ვაზი დავწვიგრა“: ვაზის ან ხის გადაწვენა (მ. ალავე, 2).

დაწვანარება (მოს., მთიულ.) დაწვრილებით თქმა (ო. ქაჯ.); მოყოლა (ლ. კაიშ.).

დაწვანება (გურ.) დაწვრილებით მბობა (ა. ლ.); დაწვიგნვა რაიმეს დაწვრილებით მბობა, გადაცემა. „დუუწვიგნა ყორიფელი“ (ს. ჟღ.).

დაწვიგნული-ი (ხევსურ.) ხელით ნაქსოვი, დაკვართული (ა. ჭინჭარ., 260).

დაწვიწიბვა (იმერ.) წვირილ-წვირილად დაწვიწილება (ქ. სის.).

დაწვარება (გურ.) წნელის დაგრება (ი. ჭყონ.); ტყვილისაგან დაგრება ან წნელის დაგრება. ნ. წირები (ს. ჟღ.).

დაწირვა (ფშ.) დატოვება (დიალექტ., 590).

დაწიწილაკება (გურ.) ნაწილ-ნაწილ დაყოფა. ნ. გაწიწილაკება (გ. შარაშ.).

დაწიწმარტება (გურ.) დაწიწმარტება (ნ.). „დღეწიწმარტა შვიანი მუცელში“ (ა. ლ.).

დაწიწმარტება (გურ.) ტყვილისაგან დაგრება კაცისა. ნ. დაწიწმარტება (ს. ჟღ.).

დაწკრენა (მთიულ.) დალექვა, დაწმენდა (ლ. კაიშ.).

დაწოლილი-ი ყანა (მთიულ.) გაფუჭებულის, განადგურებული ყანა (ლ. კაიშ.).

დაწონვა (მთიულ.) იმის კადრება ვინმესათვის, რაც არ ეკუთვნის (ლ. კაიშ.).

დაწრება (მოს., მთიულ., გუდამაყრ.) დაგრება, დამანჭვა, აფხუწვა (დიალექტ., 561); დაწრეხილი-ი დაგრებილი (ე. ვირსალ.).

დაწურვა (ხევსურ.). 1. ხვავის მეორეჯერ დაწივება (ა. ჭინჭარ., 205); 2. არაყის გამოხდა; დაწურვილები გამოხდილი არაყი (დიალექტ., 551).

დაწუხება (ფშ.) მონატრება; ნახვის, შეხვედრის ძლიერ მოსურვება; დაწუხებულ-ი მონატრებული (დიალექტ., 590; ი. ქეშიკ.).

დაწუხება-ა (თუმ.) დახუჭვა თვალისა (პ. ხუბ.).

დაწუხდომა-ა (თუმ.) ჩაცემა; დაწყყდქმარსა ჩაცემა ქმარსა (თ. უთუტა).

დაწყმხვა (ფშ.) უკან გაყოლა, გამოკიდება. „ვჯაო, მჭრელი ნამგალი სამკალად დავწყყმხვებო“ (ი. ქეშიკ.).

დაწყობა (ინგილ.) შერიგება; დააწყენენ შერიგდნენ (მ. ჯან.).

დაქანებულ-ი (მთიულ.) ცუდად დაკოდილი საქონელი (ლ. კაიშ.).

დაქანებულ-ი (ქსნის ხეობ.) ატალახებული, სველი ადგილი (გ. სომხიშვი.).

დაქართვობა (გურ.) თევზის დახოცვა წყალში და დაყრა (ა. ლ.); დაქარფალებულ-ი უხვად დაყრილ-გაბნეული (გ. შარაშ.).

დაქაფვა (ზ. აქარ.) ვამსჯარი, ვახეთქი-  
ლი ან ვამზარული ხის ჭურჭლის (ვო-  
ბო, კასრი და მისთ.) რკინის ნაჭრებით  
შეკერვა (შ. ნიფარ.).

დაქაყაყაყება (ქიზიყ.) დამკაყება შეჭამა-  
დისა, პურის ცოპისა და მისთ. ნ. შპაყე  
(ს. მენთეშ.).

დაქახრაკვა (გურ.) დიდი დაწოლით სის-  
ველს გამოდენა, გამოწურვა (კ. გვარ.,  
947).

დაქეჭყვა (იმერ.) დაქყლეტა, დაწურვა;  
ყურძენი დავჭენჭყე ყურძენი  
დაქყლიტე, დაწურე (ი. ქავთ.).

დაქერა ბოძალისა (გულდამაყრ.): დაუქი-  
რა ბოძალი დაუმინა ისარი (დია-  
ლექტ., 571).

დაქებება (მთიულ.) დაქუხება, დაქეძება  
(ლ. კაიშ.).

დაქებება (ფშ.) ძლიერი ცეცხლის დან-  
თება, აპრილება. „ცეცხლს დააქე-  
ხებენ“ (ი. ქეშიყ.).

დაქვირთვა (გურ., ქართლ.) დატვირთვა.  
ნ. ჭვირთი (ა. ლ.; დიალექტ., 636).

დაქიკვა-ა (თუშ.) ბარგის მაგრად შეკერა:  
კარების მჭიდროდ დახურვა (ბ. ხუბ.).

დაქიკინილი (იმერ.) დაქეცილი, ალაგ-  
ალაგ მსუბუქად ამოჩხილი, დაქდეუ-  
ლი (ი. ქავთ.).

დაქიკინება-ა (თუშ.) დამიზნება (ბ. ხუბ.).

დაქიშკრება (გურ.) წინა კბილების დაქ-  
ლება (ა. ლ.).

დაქიშკრიანებულ-ი კბილები (გურ.) ში-  
გა და შიგ, აქა-იქ კბილებნაკლები, კბი-  
ლებზაცვენილი (ე. ნინ., I, თ. კიკვ.).

დაქიშანვა (ლერხ.). ნ. დაქიშანვა.

დაქიშორვა (იმერ.) მწვანოლეულობის და-  
ქრა (გ. ბერ.).

დაქიშანულ-ი (მთიულ.) დაღრეცილი (ლ.  
კაიშ.).

დაქინება (გურ., აქარ.) დაწინება, დაქყლე-  
ტა; ყურძენი დაქინება ყურ-  
ძენი დაქყლიტა (ა. ლ.; დიალექტ.,  
657).

დაქოქება (ქართლ., მესხ., ფშ., მთიულ.,  
გულდამაყრ.). 1. წყლის მოსხმა-დატალა-  
ხება, დატბორება, ჭოჭის (ნ.) დაყენე-

ბა (თ. სალარ., ალგ.; ი. მაისურ.); 2.  
ვიწროპირიან რიბზე ჭურჭელს (მაგ.,  
ხელდას) დაწაფება; დაწოდება წყლის  
დასალევად; დახრა, დაწაფება; დავე-  
ქოქებ-ი დავისრები და პირით დავე-  
წაფები წყალს (დიალექტ., 567, 590;  
ე. ვირსალ.; ლ. კაიშ.). შდრ.: ნ. ჩუბ.,  
დ. ჩუბ., ქეგლ.

დაქოქვა (გურ.) ფრჩხილით დაკაწრვა  
(გ. შარაშ.).

დაქოქინილი (მთიულ.). 1. ლაქიანი; 2.  
ნაყვავილარი, დაქეცილი (ლ. კაიშ.).

დაქრეხილი (ფშ.) დაგრეხილი, ხუჭუჭა  
(ვაყა. I, IV, ა. შან.); ნაპირებშემომ-  
ტრეული, უსწორ-მასწორო (ი. ქეშიყ.).  
დაქრეხილი-ი პურ-ი (ხევსურ.)  
პური, რომლის ნაპირები ამოწეულია  
და ხელით აწმექილ-ჩაზნექილი (დია-  
ლექტ., 551).

დაქუნტება (ქიზიყ.) დაქუნტება, დასკუ-  
ნება. დაქდომა; მარტო ყოფნა. აქედან  
დაქუნტებულ-ი. „რა დაქუნტე-  
ბულხარ მარტოყა შინ, გამო გარეთი“  
ნ. ჭუნტება (ს. მენთეშ.).

დაქუნტუხება (ქიზიყ.) დასველება. „წვი-  
მამ გამოატანა და დამატუნტუნა“.  
ნ. ჭუნტუხი (ს. მენთეშ.).

დაქუხვა (გურ.): თვალის დაქუხვა:  
თვალის დახუხვა. „დავექუხე თვა-  
ლები“ (ე. ნინ., II, თ. კიკვ.; ს. ქლ;  
ა. ლ., გურ.).

დაქუხვა (გურ.) ლამაზად მიწყობა-და-  
ლაგება. „ნახა, რომე შეაფშო დაქუხ-  
ქულია სხვაფერ-სხვაფერი საქმელები“.  
ნ. ჭუხუხვა (გ. შარაშ.; ა. ლ.,  
გურ.).

დაქუხუნა (იმერ., ლერხ.) დაქუნა (ნ.),  
დაქმუნა; დაქუხუნული დაქმუ-  
ნული. „შარვალი დამექუხუნა  
და გასაუთოებელი არი“ (ი. ქავთ., მ.  
ალაგ., 2).

დაქუხუნულება-ი, ჭუხუნულება-ი (ზ. იმერ.)  
ნაკლები კაბაზე. „სუ დაქუხუნუ-  
ლები აქ წინ და უკან კაბაზე“; „ქუ-  
ხუნულება-ი გამოკეთე კაბაზე“ (ბ. წე-  
რეთ.).

**დაქუქუქება** (ფშ.) დაწაფება, დაწაფებით სმა. „მისჯლომია ერთ ტბას, და ექუქუქება, ამოპწრუხავს“ (ი. ქეშიკ.). **დაქუქება** (აქარ.). ნ. დაქუნება.

**დაქუქეწვა** (ფშ.) გულმოდგინედ რაიმეს ძებნა, ჩხრეკა (ი. ქეშიკ.).

**დაქურიაღება** (ფშ.) ფრინველის ხმაური, ქახქახი. „შაშვმა გულსაკლავად დაიქურიალა“ (ი. ქეშიკ.).

**დახაფრება** (მოხ.) გასიება, დასიება ჭრილობისა სიცივისაგან (ა. ყაზბ., I, შ. ძოდ.).

**დახაღება** (ქართლ.): დახალღება-შუქქნება, ვახმება გვალვისაგან (მ. მესხ.).

**დახალინჯება** (ქიზიყ.) დახალასება. ნ. მობალინჯება (ს. მენთეშ., დამ.).

**დახამლული** (ფშ.) დაჩაგრული (თ. რაზიყ., „ივერია“, № 130, 1900; ი. ჭყონ.).

**დახანება** (მთიულ.) რაიმე საქმის სწრაფად კეთება (ლ. კაიშ.).

**დახანულება** (ქართლ.) ძველი წესი, რომლის მიხედვით ორი მუზროელი დიასახლისი შეთანხმდებოდა, რომ ერთი კვირის ან განსაზღვრული ხნის განმავლობაში ერთმა უზიდოს მეორეს რძე. რძე ირწყვება ან, უკეთ, იზომება საწველელში ჭობით ან ჭობზე ჭდე კეთდება. ვადის გასვლის შემდეგ მეორე უხდის პირველს სამაგიეროს და თანდათან აბარებს იმდენ რძეს, რამდენიც მიიღო. ამ პირობის მოზიარე დიასახლისს ხანული (ნ.) ეწოდება (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეკელ.

**დახარაგება** (მესხ.) ხანულების ანუ რძის მოზიარე დედაკაცების მიერ რძის შეგროვება ერთ-ერთის ვალის ვალსახედვლად. შდრ.: დახანულება („კომუნისტი“, № 190, 1967).

**დახარხლული** (გურ.) უხეიროდ დაყრილი, მიყრილ-მოყრილი. ახლად დაბადებულ კნუტებზე, ლეკვებზე იტყვიან. ნ. დახირხლული (გ. შარაშ.).

**დახაფრა** (მოხ., ფშ., კახ., ქართლ.) დაქარგვა, გადაქარგვა, მიმალვა (ა. ყაზბ.,

I, შ. ძიძ.); დამალვა, მიფარება (თ. რაზიყ., „ივერია“, № 130, 1900; ი. ჭყონ.); დახაფრული დაკავებული, დახანდებული (ჭურჭელი, ადგილი) (ლ. ნოზ.).

**დახაჩიჩული** (აქარ.) კარგად დახანილ-დარეცხილი, დაქრიალებული (შ. ნიქარ.).

**ზუზი** (გურ.) კალატონებისა და ხუროების იარაღი, პერპენდიკულარის ასამართავი შვეული. ნ. გამოზუზული (გ. შარაშ.).  
**ზუზია** (იმერ.) მორცხვი, გაუბედავი (ქეგლ.).  
**ზუზივ** (ქიზიყ.) ზუსტად, სწორად, ზედმიწევნით. ნ. ზუზი (ს. მენთეშ.).  
**ზუზუნ-გუგუნ-ი** (ქართლ.) ამყოლ-დამყოლი, ამფსონი... „ვანა ცოტა ზუზუნ-გუგუნები ჰყავს?“ (გ. შატბერ., 56).  
**ზუზუნ-კუყუნებ-ი** (ქართლ.) განუშორებელი მეგობრები (მ. მესხ.).  
**ზუთა**, ძუთა, ძუთუ (ხევსურ.) ქაცვი (ა. მაყ.).  
**ზუზუნებს** (მთიულ.) ინძრევა, ტოკავს, ქანაობს (ლ. კაიშ.).  
**ზუთუ** (მოხ.) ქაცვი (ა. მაყ.).  
**ზუჯუტური**-ი (გურ.): მოჯუტუტური იეზა ზურგზე შემოგდებით აყვანა: ბავშვს გასართობად წამოიგდებენ ზურგზე (მობიჯუტურიებენ) და თან ამ ლექსს ეუბნებიან: „ჯუტუტური გორიცაი, გაყვეი და მომიცაი“ (გ. შარაშ.).  
**ზულავინი**-ი (მთიულ.) მწვერვალის კალთაზე მდებარე მამული, მთის კალთის მამული (ს. მაკალ.; ლ. კაიშ.).  
**ზუშვე** (ლეჩხ.). ნ. ზუმბელა.  
**ზუმბელა**, ზუმბე (ლეჩხ.) შინდანწლა (ა. მაყ.).  
**ზუნგელა**-ა (ინგილ.) ზანგელა, მოგანგული, მოზანგული (მ. ჭან.).  
**ზუნდვრა**, ჭუნდვრა (იმერ.) ღონივრად ცემა, დარტყმა (ვ. ბერ.).  
**ზუნზული**-ი (გურ.) ხმამაღლა ტირილი. ნ. ზურზული (ს. ელ.).

**ზუნზური**-ი (თუშ.) თოფის ლულის ხმაური ჩაბერვის დროს (დილაღეტ., 581).  
**ზუნზღა** (გურ., იმერ.) მავრად დარტყმა (ს. ელ.; მ. ალავე, 3).  
**ზუპანი**-ი (გურ.) დიდი ტვირთი. „ერთი ზუპანი შიშა“ (ი. ჭყონ.; ს. ელ.).  
**ზუპუნა** (გურ.). ნ. ზუბუნი.  
**ზუპრ** (ინგილ.) ძვირი, ძვირფასი (დილაღეტ., 617).  
**ზურბუნთი**-ი (ზ. იმერ.) ზურმუხტი. „ეს ბალი ზურბუნთთა აყვავებულა“ (ბ. წერეთ.).  
**ზურგულა** (ქიზიყ.) გულურა, ბავშვის წამოსაყიდებელი თივის ან ფიჩხის ტვირთი (ს. მენთეშ.).  
**ზურგაქცეული**-ი (მთიულ.) ჩაზნექილ-ზურგანი საქონელი, (ლ. კაიშ.).  
**ზურზული**-ი (მესხ.). ნ. ზურზური.  
**ზურზური**-ი, ზურზული (მესხ.) მთელი ტანით კანკალი, ცახცახი, ბაბანი (ი. მაისურ.).  
**ზურზუტი**-ი (ლეჩხ.) უმიზნოდ სიარული, ხეტიალი, ყურყუტი, დიდხანს ცდა, ლოდინი (მ. ალავე, 1, 2).  
**ზურზულა**-ი (გურ.) გულამოსკენით მოთქმა, გაბმით ტირილი (ა. ღლ.).  
**ზურკ** (ინგილ.) ძირკვი, ჯირკვი; ზურკი-ან კაც ძირეული კაცი; თმოგ-ზურკავე გაგაქრობ, ძირ-ფესვიანად დაგკარგავ (მ. ჭან.).  
**ზურმეხი**, ზურმუხი (გურ.) მაღალი ბალახია, იზრდება მთაში (ს. ელ.).  
**ზურტუხი**-ი (ფშ.) საცემრად დაღირება, ცემის დაპირება (თ. რაზიყ., „ივერია“ № 131, 1900; ი. ჭყონ.).  
**ზურხვინა** (ინგილ.). ნ. ზურხუნა.  
**ზურხუნა**-ა, ზურხვინა (ინგილ.) ოროვანდი (ა. მაყ.).  
**ზუსკი**-ი (იმერ.) ზედგამოჭრილი, მოზომილი; მოჯუტუტული ტანისამოსი ვიწროდ გამოყვანილი, თითქმის მიკლებულივით (ვ. ბერ.).  
**ზუტვა** (ლეჩხ.) უსაქმოდ მოსიარულე ადამიანის დიდხანს დაყუდება, გაჩერება ვინმესთან. „ხეტიალს და მჯობო-

“ზუხრუკუტი

- ლებში ზუტეკას თავი არ დაანება“ (მ. ალავე, 2).
- “ზუხრუკუტი-ი** (ქიზიყ.) ზაპრუმასავით. შორს მდგომს რომ ეკითხებიან და სრული პასუხის გაცემის ნაცვლად „ჰო“ ან „ჰას“ ამბობს, ეტყვიან: „ჰა და ზუხრუკუტი! შე სანაცილევე, რატო არ მიპასუხებ?“ (ს. მენთეშ.).
- “ზღავ-ი** (ხევსურ., ქართლ., ფშ., მთიულ., თუშ.) სიბივით ბრტყელი, ოღონდ უფრო სქელი ქვა, იყენებენ ბოსლის (გომურის) იატაკის მოსაყარწყლავად (ა. კინჭარ., 274); ზღვე, ბოსელში იატაკად დადებული ერთმანეთზე მიჯრილი მრგვლად დათლილი ხეებიდან სქელი ფიცრები (დიალექტ., 637; ლ. ლეონ.; პ. ხუბ.).
- “ზღაპრისთავი-ი** (გურ.) ზღაპრის დასაწყისი, რომელიც ორგანულად არ არის დაკავშირებული სიტყვებთან და სხვა ზღაპარსაც გამოეხმის: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“... „ზღაპარი და ზღაპრის თავი“, შევაკამე ძღაბლის (ნ.) თავი“ (გ. შარაშ.).
- “ზღარბანარი-ი** (კახ.). ნ. კოწიწურთა.
- “ზღარტუა-ი** (გურ.) დაბალი ტანის, ქონდრის კაცი (ა. ლ.).
- “ზღვა** (თუშ., ხევსურ.). ნ. ზღავი.
- “ზღვამლ-ი** (ქვ. იმერ.) უსურვაზი. ნ. ძღვამლი (ა. მაყ.).
- “ზღვე** (ფშ., მესხ.) ფიქლითმოგებული ია-

- ტაკი, უმთავრესად ბოსლისა. ნ. ზღავი (ი. ქეშიკ.; ი. მისურ.). შდრ.: საბა. ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.
- “ზღველა** (იმერ.) დიდი, კოკსპირული წვიმა (ვ. ბერ.).
- “ზღვისპირულა** (კახ.) ფიჩხის, სარის ლობიო (ა. მარტ., გ. იმნ.).
- “ზღიპარტი-ი** (აჭარ.) წვრილი, წვნივი (შ. ნიყარ.).
- “ზღირეკა-ი** (გურ.) დაგრეხილი, დახვეული, უხეიროდ გაზრდილი მცენარე (ა. ლ.).
- “ზღმურდლი-ი** (ინგილ.) ჭუა, მატლი საქონლისა (მ. ჯან.).
- “ზღმურტლი-ი** (გურ.) ზღმურდლი, ჭუჭყი, სიბინძურე (გ. შარაშ.).
- “ზღმურტლი-ი<sup>2</sup>** (ზ. აჭარ.) ფელამუშში, ფაფასა და ცომში გაუქნელი ან მოუხელებელი პატარა გუნდა, მურკლი (შ. ნიყარ.).
- “ზღონ-ი** (მოხ., ინგილ.) მრ. რ. ზღონრეკ ძღვენი, საჩუქარი (დიალექტ., 617; ო. ქაჯ.).
- “ზღუბლ-ი** (ხევსურ.) სწორკუთხედის ფორმის ქვა, რომელიც კარის ქუსლიდან (კოჭიდან) ოღნავ წინაა დადებული (ა. კინჭარ., 281). შდრ.: საბა, დ. ჩუბ., ქეგლ. ზღურბლი.
- “ზღული-ი** (ზ. აჭარ.) ზღურბლი (შ. ნიყარ.).
- “ზღვა-ა** (ინგილ.) ძმა. ნ. ზმა (დიალექტ., 617).

01

- თა** (იმერ., რაჭ., ლეჩხ., აჭარ., მესხ.) მთა. „ჩვენი საქონელი თაშია მდღნივ“ (პ. ჯაჯ., IX, 252; დიალექტ., 651, 657, 676, 684; ე. დონდ., მესხ., 371).
- თაბალა** (ქართლ., ქსნის ხუობ.) ნაგვის საზიდი ტყავადაკრული ცხავი ან ხოკერი (თ. რაზიყ., „ივერია“, № 131, 1900; ი. ჭყონ.); საცრის მსგავსი ტყავადაკრული რკალი ქატოს ან ნაგვის ჩასაყ-

- რელად (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); ტაშტი (ე. სომხიშვი.).
- თაბაუთ-ი** (ქიზიყ., მოხ.) ანგარიში; აზრი, ფიქრი (ს. მენთეშ.; ო. ქაჯ.; ი. ჭყონ.).
- თაბახ-ი** (ფშ.) ხის ჭურჭელი. „ბატკანი სიმიდლიან თაბახზე დაეყენებინა“ (ი. ქეშიკ.). არაბ., თურქ. tabak.
- თაბდია** (მესხ.) ჯერია! დამახილ თაბა-

შობის დაწყებისას; თამაშის დაწყების ნიშანი (ი. მისურ.).

**თაბო-ა** (თუშ.) თავი ბავშვის ენაზე (პ. ხუბ.).

**თაბუნ-ი** (გურ., იმერ., კახ.) ტოლი, ამხანაგი (გ. შარაშ.); გუნდი ფრინველთა; შეგროვებული, თავმოყრილი რამე (ქეგლ).

**თაგალ-ი** (აჭარ.) დროებითი, საცდელი; სახელდახელოდ ნაყერი, ლამბი (შ. ნიჟარ.).

**თაგვაყურა** (აჭარ.) მსუქანა, მცენარეა (ა. მაყ.).

**თავის კულა** (ლეჩხ.) ფარსმანდუცი, მცენარეა. ნ. მელისკულა (ა. მაყ.).

**თავისკილა-ი** (გურ.) ძირმაგარას მსგავსი, პატარა, მტკივნეული მუწუცი (გ. შარაშ.).

**თავისტომა** (ხევსურ.) წითელი მოცივი, მცენარეა (ა. მაყ.).

**თავისყურა-ი** (გურ.) ბალახია ერთგვარი (ა. ლლ.).

**თავიყანა** (ქიზიყ.) ბალახია ერთგვარი (ს. მენთეშ.).

**თავიცერცველა** (კახ.) სარეველა მცენარეა ერთგვარი, პურელს ჰგავს, მაგრამ დაბალია (ა. მარტ., გ. იმნ.).

**თავემარიობა, ჩიტმარიობა** (იმერ.) მარიობის შემდეგ იციან: ვინც ამ დღეებს იმარხულებს, მას თავისა და ჩიტისაგან არაფერი ევენებათ (ვ. ბერ.).

**თავუსანა-ა** (მესხ.) ქვემძრომი, ჩუმჩუმად და ცბიერი კაცის მეტსახელია (ი. მიისურ.).

**თავუნაობა** (რაჭ.) ბავშვთა თამაშთა ერთგვარი (ვ. ბერ.).

**თადარუქ-ი** (ფერეიდნ.) თადარიგი, წინასწარ სამზადისი (დილაქტ., 629).

**თავა** (მესხ.) თუნუქის ოთხკუთხედი ფართო ტაფა ნამცხვრისათვის (ი. მიისურ.).

**თავათ** (აჭარ.) სხვებთან საუბარში ქმრის სახელწოდება ცოლისათვის. „თავათ. ბაღნების ბაბაა ხომ არ დაგინახავს?“ (შ. ნიჟარ.).

**თავაღა-ი** (თუშ.) ცალკე, მარტო, მარტოკა (თ. უთურგ., დილაქტ., 681).

**თავალა** (მესხ.) აღმართი გზაში („კომუნისტი“, № 157, 1968).

**თავან-ი** (გურ., იმერ., ქიზიყ., ზ. აჭარ., მესხ.) არე ჭერსა და სახურავს შორის. ზამთარში იქ ინახავენ ხილულსა და სხვ. (ს. ჟღ.); სხვენი (ვ. ბერ.; ს. მენთეშ.; შ. ნიჟარ.); სხვენი, „ოდის თავი“ (დილაქტ., 657); სახლის ჭერი (ი. მისურ.). თურქ. tavan.

**თავანკარ-ი** (ქართლ.) თავი, არჩეული, საუკეთესო; წმინდა, შეურეველი, „თავანკარი ღვინო“ (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.). შდრ.: ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**თავანკარ-ი** (მთიულ.) კარგი, საუკეთესო, ჭკვიანი (კაცი) (ლ. კაიშ.).

**თავარა-ა** (ინგილ.) წისქვილის ბორბალი (მ. ჯან.).

**თავარიელა** (მოხ.) როდესაც ნადირს გაატყავებენ, თუ თავის ტყავიც გააყოლეს, იტყვიან „თავარიელა გაჰყვაო“. ნ. თავრიელი, თავარიელა (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.).

**თავასათობა** (ფერეიდნ.) შუამავლობა, მოსარჩლეობა (დილაქტ., 629). არაბ., სპ. tavassut.

**თავბორუა** (რაჭ.) მსხვილთავიანი კაცი (მ. ალავე, 3).

**თავბრუტ-ი** (ქიზიყ.) თავბრუ (დილაქტ., 606).

**თავბურთა** (ფშ.). ნ. კოწიწებურთა.

**თავგადანაყარ-ი** (მთიულ., თიან.) თავგადანავალი (ლ. კაიშ.; დილაქტ., 598).

**თავგადასაგლებ-ი** (ზ. იმერ., რაჭ.) ქორწილის დროს ნეფე-პატარძლის მისალოცი, საჩუქარი (ბ. წერეთ.; დილაქტ., 684).

**თავგაღმ** (ხევსურ.) ქვევით, წყლის დინების მიმართულებით (დილაქტ., 552).

**თავგზიან-ი** (ფშ.) ჭკვიანი, გონიერი, ყოჩაღი (დილაქტ., 591); ყოჩაღი, ყველაფრის მომხერხებელი (თ. რაზიყ., „ივერია“, № 131, 1900; ი. ჭყონ.).

**თავიდელა-ი** (გურ.) უშნოდ გრძელთავა (გ. შარაშ.).



**თავგარანული**-ი (ხეცურ.) ნაქარგის (ნაქსოვის) სახეა ერთგვარი (ს. მკაღ.; ა. ჭინჭარ., 262).

**თავდათვე** (მთიულ.) თანატოლად, თანაბრად (ლ. კაიშ.).

**თავდაუყირა** (კახ.) ჭორტანა (ა. მაც.).

**თავდგომელაობა** (რაჭ.) ბავშვთა თამაშია: ერთი მოთამაშეთაგანი დაჩოქილია, მეორე თავს ადგას მცველად, დანარჩენები შორიასლო დგანან და ცდილობენ დაჩოქილს მიეპარონ და ჩაართყან. მცველი დამცემთ იგერიებს და თუ რომელიმე მათგანი „დაშჭრა“, „დაპკოდა“, მას დააჩოქებს, და ამრიგად თამაში გრძელდება (ე. ბერ.).

**თავდღური**-ი (აჭარ.) მეთვალყურე, მეთვალთვალე, ზედამხედველი (შ. ნიჭარ.).  
**თავდღიანი**-ი (მოხ.) ყოჩაღი, მოხერხებულის (ო. ქაჯ.).

**თავეთი**-ი (მესხ., მოხ.) თავიანთი, „თავეთ ეზოში“ (დიხლექტ., 651; 561).  
შდრ.: დ. ჩუბ.; ქეგლ.

**თაველი**-ი (გურ., იმერ., ლეჩხ., აჭარ.) თავთავი ღომისა; თავთავი (ე. გვარ., 947; ს. ელ.; ე. ბერ.; დიხლექტ., 676, 657). შდრ.: საბა, ქეგლ.

**თაველა** (ოკრიბ.) ყვითელი ძურწა, მცენარეა (ა. მაც.).

**თავთი**-ი (მესხ.) თავზე დასაბურავი, თავსაბურავი (ი. მისურ.).

**თავ-თავადაჟ** (თუშ.) ცალ-ცალკე (თ. უთურგ.).

**თავთავა-ა** (მოხ.) პირველად გამოსული არაყი (ო. ქაჯ.).

**თავთავკვალ-ი** (ქართლ.) ხნულის თავზე წყლის სადენლად გადაჭრილი კვალი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 131, 1900; ი. ჭყონ.).

**თავთიკონა** (კახ.) მკის შემდეგ მოგროვილი ნარჩენი თავთავების შეკვრა, კონა (ა. მარტ., გ. იმნ.).

**თავთიშება** (ქართლ.) კვერის დაკვრა; რას უთავთიშებ შენ რაღა კვერს უკრავ შენ (შ. ძიძ., ნ. კეცხ., 3, ხუბ.).

**თავთუხ-ი** (ჭიზიყ., კახ., ლეჩხ.) ხორბ-

ლის ჭიშია, იკეთებს ფხიან ოთხკუთხთავთავეს, მსხვილმარცვლა, ყვითელი ფერისაა. 26. თანთუხი (ს. მენთეშ.; გ. მაჭავარ., 286; დიხლექტ., 676).

**თავთუხე** (ჭიზიყ.) დიდი ტაბიკი, ურშია თავშია ჩაყრილი ერთმანეთზე გადადებული ხელნების თავების შესაკერელად და ურმის თავის უღლის დასაქერად (ს. მენთეშ.).

**თავიბიჯა** (მთიულ.) დღეობაში დეკანოზისათვის მიართმეული საქმელი (ლ. კაიშ.).

**თავიენთი**-ი (მესხ.). ნ. თავეთი.

**თავითფერულ-ი** (თუშ.) ერთგვარი ხმალია (ი. ბუქურ., 132).

**თავინათქვამ-ი** (ჭიზიყ.) სიტყვის კაცი, ნათქვამს რომ უთუოდ გაიყვანს, ნათქვამს რომ აღარ გადათქვამს; კერპი (ს. მენთეშ.).

**თავინანაბრება** (კახ.) თავისთავის დაკმაყოფილება (ა. მარტ., გ. იმნ.).

**თავისგადაწაყარი**-ი (მთიულ.) თავგადასავალი (დიხლექტ., 567).

**თავისახლი**-ი (გურ.) გათხოვილი ქალისათვის მშობლების კერა, სახლი (ს. ელ.).  
**თავაზიანი**-ი (ფშ.) მოკეთე, ნათესავი (ი. ჭყონ.). შდრ.: ქეგლ.

**თავისმელი**-ი (ზ. იმერ.) თამადა (ქ. ძოწ.).  
**თავიფასობა** (მთიულ., გუდამაყარ.) მეტად ძვირფასი, ყველაზე ძვირფასი (ე. ვირსალა).

**თავის ძაგუნ-ი** (გურ.) თავის ქანება თანხმობის ან ქაღილის ნიშნად (გ. შარაშ.).

**თავისწვერახ-ი** (თუშ.) ჭიუტი, თავისნება კაცი (თ. უთურგ.).

**თავკავ-ი** (რაჭ., იმერ., ლეჩხ.) მარხილი, რომლითაც დიდ დაქანებაზე ზამთარში შუშას ეზიდებიან ხელით (ე. ბერ.; მ. ჩიქ.).

**თავკავა-ი** (გურ.). ნ. სხაპი.

**თავკავა-ი** (მესხ.) საქონლის საბლის გასაყრელი რკალი „კომუნისტი“, № 190; 1967).

**თავკარგობა** (მოხ.) თავის გამოჩენა (ო. ქაჯ.).

- თავკაუნა** (ფშ.) თავმოკაული (ვაჟა, IV, ა. შან.).
- თავკაცი**-ი (თიან.) ხევისბერი, სოფლის არჩეული, რომელიც ხატის შენაწირს თადარიგს აძლევდა, მლოცველო ღმერთს შეავედრებდა, საერო საქმეებსავე განაგებდა (დიალექტ., 598). შდრ.: დ. ჩუბ., ქეგლ.
- თავკატუშა** (ზ. იმერ.) ბაყაყის შვილი (მ. ალავე, 3).
- თავკეთილა** (ქიზიყ.) პლატო, ქუდური, ვაკიანი გორა (ს. მენთეშ.).
- თავკვერ**-ი (ქართლ., კახ.) ვაზის ჯიშია წითელი. აქედან ღვინოს არ აყენებენ, ურევენ თეთრ ჯიშებში წითელი ღვინოს დასაყენებლად (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; დიალექტ., 637); მსხვილმარცვალა შავი ყურძენია (ი. ჭყონ.).
- თავკუდმატი**-ი (ფშ.) ცუდი, უვარგისი მატყლი, მატყლის ნარჩენი (ა. ჭინკარ., ფშ.).
- თავლაღ**-ი (თუშ.) ცხენის ეპითეტია, ყოჩაღი, ფიცხი ცხენი, რომლის შეკავება არც ისე ადვილია (თ. უთურგ.). შდრ.: ქეგლ.
- თავლაში**-ი (ფშ.) თავი და ტუჩები (ვაჟა, I, ა. შან.).
- თავმიცემული**-ი (ქიზიყ.) უყურადღებო, თავმინებებული აღამიანი, საქმის დამგდები (ს. მენთეშ., დამ.).
- თავმოღვმულა**-ა (მესხ.) ძალიან გავსებული პირთაგან (ი. მისურ.).
- თავმონაწიერ**-ი (გურ.) ერთიმეორეზე მიყოლებული წერილშვილი. „რა კარგა უარს (უვლის) ამ თავმოწიერ ბაღნებს“ (გ. შარაშ.).
- თავმტყვიანა** (მთიულ.) ჩვეულებრივი ცერცველა, მცენარეა (ა. მაყ.).
- თავნი**-ი (მოხ.) ღორი ან სხვა რამ, რაც წინ მოაქვს ადიდებულ მდინარეს (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.).
- თავნი**-ი<sup>2</sup> (ქართლ.) შესანახად მიბარებულ ძროხა. ძროხა — თავნი — პატრონისაა, ნაშენი სანახევროა და წველა კიდევ შემნახველისა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- თავნი**-ი<sup>3</sup> (მთიულ.) იმდენივე ბატანი, რამდენი ცხვარიც წავიდა ზამთრის საძოვარზე (ლ. კაიშ.).
- თავნაკარა** (ლექს.) არაჩვეულებრივი, კარგი (მ. ალავე, 1).
- თავნაკარად** (კახ.) უნაკლოდ, მთლიანად. წმინდად, შეუთრევლად, პირველხარისხოვნად (ა. მარტ., გ. იმნ.).
- თავნამატანი**-ი (მესხ.) თავგზააბნეული. შტერი, დაბნეული (ი. მისურ.).
- თავნაკო ჩალა** (ქიზიყ.) ფორჩით თავიანი ჩალა (ს. მენთეშ.).
- თავნახარა** (ხევსურ.) ნაჭარგის (ნაქსოვის) სახეა ერთგვარი (ს. მაკალ.; ა. ჭინკარ., 262).
- თავნიერა** (ფშ.) თავი (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- თავნიორა** (გურ.) უცუნა, მცენარეა. ნ. სათოვლია (ა. მაყ.).
- თავნიოხ**-ი (გურ.) მცენარეა ერთგვარი (კ. გვარ., 947).
- თავრელაყ**-ი (თუშ.) კნ. თავი (თ. უთურგ.).
- თავრეშული**-ი (მესხ., ქსნის ხეობ.) ხეკეჭური მსხალია. ნ. თავრეშული (ი. მისურ.; გ. სომშიშე.).
- თავრიელ**-ი (ქართლ., ზ. აქარ., ქიზიყ., ხევსურ., მოხ., ინგილ.) ძროხის, ხარის თუ კამეჩის თავის ტყავი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); საქალამწე თავის ტყავი (შ. ნიჭარ.); თავრიილ საქონლის თავქალის ტყავი (მ. ჯან.); თავრიილა-ა საქონლის თავის ტყავი (ო. ქაჯ.).
- თავრიელა** (ხევსურ., მთიულ.) თავი (დიალექტ., 552); საქონლის გატყავებული თავის ტყავი (ლ. კაიშ.).
- თავროკა**-ი (გურ.) პატარა და მგართავიანი (ა. ლ.).
- თავრეშული**-ი (გურ.) მსხლის ჯიშია ერთგვარი. ნ. თავრეშული (ს. ყლ.).
- თავსაბანი**-ი მიწა (გურ.) ასკანის (მახარაძის რ.) თიხა, ასკანიტი (გ. შარაშ.).
- თავსაბეჭ**-ი (ზ. იმერ.) ტყეჩი (ნ.), რითაც შემოურავებენ თავს გოდრებზეა და კალათებს (ბ. წერეთ.).

**თავსავა/ე,ი** (გურ.) ჩიტია ერთგვარი (ს. ულ.).

**თავსაია** (ქიზიყ.) თავდაუბურავი ქალი, უქედო, მანდილოუხვეველი, უმანდილო, მარტო ჩიბტი-კობისა და ლეჩაქის ამბრა (ს. მენთეშ.).

**თავსაპარს-ი** (ინგილ.) მკედარზე შავების გასახდელი და თავ-წვერის საპარსი დღე (მ. ჯან.).

**თავსაპირ-ი** (ლეჩხ.) დღლეჭი ურმის, ან მარხილის ფრჩხილების თავსაკრავი (მ. ჩიქ.).

**თავსართაულა** (მთიულ.) დიდი კენძი, რომელიც კერაში შეკეთებული ნელა-ნელა იწვის (ლ. კაიშ.).

**თავსახურა** (ფშ.) სახურავიანი თაბახი ან ქვაბი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 131, 1900; ი. ჭყონ.).

**თავსვილა** (ხევსურ.) სათიბი ბალახია ერთგვარი (ა. ჭინჭარ., 225).

**თავსკვნილი-ი** (ლეჩხ.) კოროლის (ნ.) ერთი შეკვრა, მახის (ნ.) ამოთხრილი ღეროების თავის მოგრებით გამოსკვნილი კონა (დიალექტ., 676); ზანდური-სა და მახის ღეროები ნაგებობის სახურავად („კომუნისტი“, № 157, 1968).

**თავსნიერ-ი** (ქიზიყ.) ჭკვიანი, თავის ჭკუაზე მყოფი (ს. მენთეშ.).

**თავსრაკ-ი** (ზ. იმერ.) თავსაკრ-ი, ჩიხტზე გადაკრული ხავერდი ან აბრეშუმი, მოჭარგული აბრეშუმის ძაფით ან ოქრომკედით (ბ. წერეთ.).

**თავსრაკა-ი** (გურ.) ნ. თავსრაკი.

**თავსუილა** (მოხ.) ერთგვარი მაღალი ბალახია (დიალექტ., 561).

**თავტალიკ-ი** (ფშ.) თავისუფალი, მარტოკა; შილიფად ჩაცმული, პერანგა (ა. ჭინჭარ., ფშ.).

**თავტიკა ქათამ-ი** (გურ.) თავსა და კისერზე ბუმბულგაცლილი ქათამი (გ. შარაშ.).

**თავუღელი-ი** (ქართლ.) უღელი, რომელიც გუთანში სულ წინა უღელ ხარებს ადგას (დიალექტ., 637).

**თავუძებარ-ი** (ფშ.) თავგამოუჩინებელი,

სახელმოუხვეველი. „არ მოკვდა თავუძებარი, წინ გაიმძღვარნა ცხრანით“ (ი. ქეშიკ.).

**თავუხლარა** (გურ.) თავაშვებული, თავზე ხელადებული (პ. ჯაჯანი); თავაგდებული; უნიათო, გაუგებარი (გოგოლეისუბანი, მ. და ქ. სიხარულოძეები).

**თავაქალ-ი** (მესხ.) გულბრყვილო, მიაშიტი აღამიანი (ი. მაისურ.).

**თავაქაწაყურილ-ი** (ქიზიყ.) გადარეულსავით რომ დარბის, იმაზე იტყვიან (ს. მენთეშ.).

**თავქედურ-ი** (იმერ.) თავხედი, ქედმაღალი, თავხეხელადებული, უშიშარი. „როსტომი თავქედური კაცი იყო, არაფრის ეშინოდა“ (პ. ჯაჯანი, X).

**თავქეფთა** (ქიზიყ.) თავნება, ურევიმო აღამიანი, რაც მოეპრიანება, იმას ჩადის (ს. მენთეშ.).

**თავქვაისა** (ფშ.) ქვემოური; ქვემოთ რომაა, ის წყალი (დიალექტ., 591).

**თავქვართ-ი** (ფშ.) დაღმართი. „გადმოდიოდა ისარი, როგორც თავქვართში წყალიო“ (ი. ქეშიკ.).

**თავქვიას-ი** (თუშ.) დაღმართი (თ. უთურგ.).

**თავქურჩა** (იმერ.) ვარჯანაფა, მცენარეა (ა. მაყ.).

**თავღორა ურემ-ი** (მესხ.) ძნის საზიდი ურემი (ი. მაისურ.).

**თავყანთა** (ზ. იმერ.) უკან გადახრილი, გადაწონილი (ქ. ძოწ.).

**თავყავილა** (ლეჩხ.) თავშავა, ბალახია ერთგვარი (ა. მაყ.).

**თავყვითელა** (ფშ., ქიზიყ.). ნ. ტერფა ბუერა; ფარსმანდუკი (ა. მაყ.); ბალახია ერთგვარი. ნ. მელისკუდა (ს. მენთეშ.).

**თავყინულა-ა** (მესხ.) გულცივი, უდარდელი აღამიანი (ი. მაისურ.).

**თავყუმ-ი** (მესხ.): თავყუმ-ი გადაასკდა ხვთქი გადაასკდა, მეტისმეტად დაიღლა, ოფლში გაიწურა (ი. მაისურ.).

**თავშავი**-ი (გურ., მთიულ.) ფრინველია (ა. ლ.); სამკურნალო მცენარეა (ს. მაკალ., მთიულ.).

**თავშანახული**-ი **კაცი**-ი (ქიზიყ.) კაცი, მუშაობას რომ თავს არიდებს, შეგნებულად რომ არ მუშაობს (ს. მენთეშ.).

**თავჩალა** (იმერ., ოკრიბ.) უმარცვლო თავთავი (გ. ბერ.); სიმინდის უტარო ღერო ან ღომის უმარცვლო ღერო (მ. ალავ.).

**თავჩითა** (ფშ.) თავშალი (თ. რაზიყ., „ივერია“, № 131, 1900; ი. ჭყონ.).

**თავჩინაზი**-ი (ფშ.) ქედისებური თავსახურავი ქალისა (ი. ქეშვიკ.).

**თავცეცხლა** (აჭარ., იმერ.) ასისთავა, მცენარეა. ნ. ნეგო (ა. მყ.).

**თავცეცხლა** (ლეჩხ.) კრანანა (ქეგლ).

**თავცეცხლია** (გურ.) მოუტლელობა, მეტრსმეტად დატვირთულობა. „იმისანი თავცეცხლია მქონდა, რომე“... (გ. შარაშ.).

**თავწვერა** (ფშ., ქიზიყ.) თავნება, თავისნათქვამა (თ. რაზიყ., „ივერია“, № 131, 1900; ი. ჭყონ.; ს. მენთეშ.). შდრ.: ქეგლ.

**თავწნელი**-ი (მთიულ.) მავთულის ან ხის წნელი, რომლითაც ურეში ან მარხილია შეკრული (ს. მაკალ.; ლ. კაიშ.).

**თავწყალი**-ი (ფშ.) თავგზა. „ველარ ვართმედი თავწყალსა“ (ი. ქეშვიკ.).

**თავვილაყი**-ი (თუშ.) მთის ჩიტია (პ. ხუბ.).

**თავხარაღი**-ი (თუშ.) მთის ჩიტია (პ. ხუბ.).

**თავხე** (ზ. იმერ., ქიზიყ.) სახლის შუა დირე, რომელზეც დაყრდნობილია სახურავი (ბ. წერეთ.); ქონის, საბძლის, გომისა და მისთ. სათავე, რომელიც გადებულია შიგნით დასობილ ორ ბოძზე და რომელზედაც დაწყობილია კავი (ს. მენთეშ.).

**თავხე-ა** (ინგილ.) ურმის კლავებში უღლის დასამაგრებელი ჩხიანი გასაყრელი (მ. ჭან.).

**თავხო** (იმერ.) დაკვადებული სიმინდის ტარო (გ. ბერ.).

**თავხრილი**-ი (ფშ.) კომბალი (ი. ჭყონ.).

**თავხსნილი**-ი (მთიულ.) თავისუფალი (ლ. კაიშ.).

**თავხუა** (იმერ.) სიმინდის ავადმყოფობა: ტაროს ნაცვლად შავ სოკოს იკეთებს, ხმარობენ წამლად (ი. ქავთ.).

**თავხურვა** (გურ.) ქალის თავსამკაული, ჩიხტი-კოპი; თავდახურულ-ი ქალი, რომელსაც ჩიხტი-კოპი ახურავს (ა. ლ.).

**თავქელი**-ი (მოხ.) თანატოლი (შ. ძიძ., ქრესტ.).

**თავჯობი**-ი (მთიულ.) ღერძი, რომელიც მარხილს წინა აქვს გადებული (ლ. კაიშ.).

**თათი**-ი (ხევსურ.) ხელით შინ ნაქსოვი ფეხსაცმელი (ს. მაკალ.; ა. ჭინჭარ., 261).

**თათი**-ი (მთიულ.) წინდის ნაწილი წვერიდან ქუსლამდე (ლ. კაიშ.).

**თათი**-ი, **თათნი**-ი (ხევსურ.) კაცის ტალავარია (ა. ჭინჭარ., 264).

**თათაბო** (თუშ.) ნაცარქათამა, მცენარეა (ა. მყ.).

**თათალკომზი**-ი (ქართლ.) ბალახია ერთგვარი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

**თათამა**-ი (მოხ.) თათაბო (ნ.), მცენარეა (ა. მყ.).

**თათანი**-ი (ქიზიყ.) ცახცახი, კანკალი ნდომისაგან, აქედან **ათათანი** ებ. „ათათანი ჰქირს ღვინითვინ“ (ს. მენთეშ.).

**თათარა** (ქიზიყ., ქართლ.) ფელამუში, ხორბლის ფქვილით მოკიდებული ბადავის ფთვა, რომელშიც ჩურჩულებს ავლებენ (ს. მენთეშ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**თათარა** (იმერ.) დველფში დახეტილ სიმინდი, ბატი-ბუტი (ქეგლ).

**თათარა** (აჭარ.). ნ. ბუთარა.

**თათარაზი**-ი, **მოთათარაზება** (გურ.) საქმის სწრაფად, მგრამ უწყესოდ და ცუდად გაკეთება (გ. შარაშ.).

**თათაული**-ი (ყიზლ.-მოზლ.) თხრილი; დელი (დიალექტ., 602).

**თათი**-ი (ქართლ.) ურმის წინა ნაწილი, რაშიაც უღელი უყრია (ი. ჭყონ.).

თათლიშ-ი (იმერ.) პირფერობა, ლაცი-  
ციოთ შეყოლება (ი. ქავთ.).  
თათმან-ი (მთიულ.) მოქსოვილი ძირი,  
რომელიც დახეულ წინდას გამოეკე-  
რება (ლ. კაიშ.).  
თათმანა (მთიულ.) შალის ქსოვის სახე  
(ლ. კაიშ.).  
თათმაქიჭა (ფშ., თიან.) მალაყელიანი  
წინდები („კომუნისტი“, № 157, 1968).  
თათსაფუქარ-ი (ხევსურ.) შინმოქსოვილი  
წინდა-ხელთათმანი (ა. ჭინკარ., 261).  
თათურ-ი (მობ.) ნ. თათსაფუქარი.  
თათურა-ი (გურ.) ბატი-ბუტი. ნ. თათარა,  
2 (გ. შარაშ.).  
თათუხ-ი (ქართლ., მთიულ.) ნ. თავთუხი,  
გემრიელი პური (ე. ბაბუნ., 271; ლ.  
კაიშ.).  
თათუნ-ი (ლეჩხ.) ქალის ან ბავშვის უფ-  
რობილო სვლა ტალახიან გზაზე; თა-  
თ ხუნა ტალახში ამოთიხნილი მო-  
წანწაღე (მ. ალაფ., 2).  
თაია! (ქიზიყ.) ერთად დადგმული რამ-  
დენიმე (ათი და მეტი) ურეში ძნა (ს.  
მენთეშ.). თურქ. taya.  
თაია² (ხევსურ.) ამოხვეული ბაწარი  
(ქეგლ.).  
თაინად (მთიულ.) ნამდვილად, ზუსტად.  
„თაინად ვიცი“ (ლ. კაიშ.).  
თაკარა! (გურ.) დიდი სიციხე, პაპანაქება  
სიციხე (ს. ფლ.); გათაკარებუ-  
ლი გაცხელებული, გაალებული (ა.  
ლ.).  
თაკარა² (მესხ.) წყობა, წყობისად დალა-  
გებული რამ. „თელი თაკარა შეშა  
დასწვა“ (ი. მაისურ.). შდრ.: საბა, ნ.  
ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.  
თაკარა³ (იმერ.) ერთმანეთზე დაწყობილ  
კეცებში ჩასმული მკადები (ქეგლ.).  
თაკილი-ი (გურ., ქართლ., კახ.) უკადრისო-  
ბა, შეუფერებლად ცნობა; ითაკი-  
ლი, იუკადრისა; სათაკილო სა-  
უკადრისო, სამარცხვინო (ს. ფლ.). შდრ.:  
საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.  
თალი-ი (მთიულ., გუდამაყრ., მობ.) რკი-  
ნის საღტე (ე. ვირსალ.; ა. ყაზბ., III,  
შ. ძიძ.); თალა-ა (ო. ქაჯ.).

თალა (მთიულ.). ნ. თალი.  
თალაბულის-ი (გურ.) აბრეშუმის სარტყ-  
ელი (კ. გვარ., 947; გ. შარაშ.).  
თალათინ-ი (ფშ.) დამუშავებული რბილი  
ტყავი, რომლისგანაც ფეხსაცმელს,  
ქალამნებს კერავენენ (ი. ქეშიკ.).  
თალამ-ი (ქიზიყ.) ხაჩაკლით (ნ.) ან ფიფ-  
ლით ერთ ჯერზე ასაღები დატკეპნილი  
თივა ან ძეძვი (ს. მენთეშ.).  
თალამბულის-ი (გურ.) ფერადი აბრეშუ-  
მის განიერი და გრძელი წელსახვევი,  
რომელსაც ჩაქურა ტანსამოსზე იხვე-  
ვენ ბელყაიშის ზემოდან. ნ. თალაბუ-  
ლისი (ე. ნინ., I, თ. კიკე; ს. ფლ.).  
თალანი (ჯავახ.) ტაცება, ძარცვა-გლეჯა  
(დილაქტ., 647). სპ., თურქ. talan.  
თალანგ-ი (მესხ.) კიტრის, საზამთროს, ნე-  
სვისა და მისთანათა შტოები, კვლებზე  
გადაწყვენილი (ი. მაისურ.).  
თალარ-ი (ზ. იმერ.) გამოღრმავებული  
ადგილი მდინარეში, ქვის ან ხის ძი-  
რების ქვეშ, შიგ თევზი იცის (ქ. ძოწ.).  
თალაშ-ი (ზ. აჭარ.) გარჯა, შრომა, შფო-  
თი, მოუსვენრობა. „ახლანდა მოვიტა-  
ნო, ნუ გაქ თალაში, ღამე ქარი  
ქრის, დილას კალაში“ (შ. ნიყარ.).  
თურქ. teliş.  
თალაშ-ი ქვა (ქიზიყ.) მომსბო გრძელი  
ქვა, კედლის კუთხეებსა და საშენ მხა-  
რეს იხმარება, რომ კედელი მალა აიყ-  
ვანოს (ს. მენთეშ.).  
თალია (ქიზიყ., მობ., ლეჩხ.) ერთხანს,  
ერთ წამს. „ერთი თალია შეეკო-  
მანდი, ვიფიქრე, რა არი-მეთქი“ (ს.  
მენთეშ.); წყება, ჯერი, ხელი; ერთი  
თალია ერთი ხელი, ერთი წყება,  
ერთი ჯერი, ერთი პირობა (დილაქტ.,  
561); ჯერი (მ. ჩიქ.); ნაჭერი, ნავლეჯი  
(მ. ალაფ., 1).  
თალიშ-ი ხახვი (ქართლ., ქიზიყ.) უთა-  
ვო, ფოჩიანი ხახვი, მწვანელიდ საკმე-  
ლი ხახვი (ს. მენთეშ.); ქლაყვი (ა. მაყ.).  
თალიშათ ყოფნა (იმერ.) თავისუფლად,  
მოკლით, ლაღად ყოფნა (ი. ქავთ.).  
თალხ-ი ფქვილი-ი (კახ.) მოშავო ფერის  
ფქვილი (ა. მარტ., გ. იმნ.).



**თალხნად** (ქართლ., ზ. იმერ.) თავისუფლად, ხალვათად (გ. შატბერ., 57; ქ. ძოწ.).

**თამაზი**-ი (მესხ.) ერთგვარი ქლიავია (ი. მაისურ.).

**თამაზი**-ი (ჯავახ.) საძირკველი, ფუძე; შთამომავლობა (დიალექტ., 647). თურქ. temel.

**თამაზი**-ი (ქართლ.) ტოტი, კარგად განვითარებული და გაზრდილი (დიალექტ., 637). არაბ. tamam.

**თამაზული** (მესხ.) დიდი წვიმისაგან მოულოდნელად მოვარდნილი ღვარი, ერთბაშად ჩავარდება მდინარის წმინდა წყალში და თევზებს დააბრმავებს. ამაზე იტყვიან: თამაზულა ჩავარდა წყალშიო (ი. მაისურ.).

**თამაზარა** (აქარ.) ერთგვარი ძველებური ჭვუფური ცეკვა (შ. ნივარ.).

**თამაზი**-ი (ფშ., ქიზიყ.) ნძრევა, რხევა (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.; ს. მენთეშ.).

**თამარომსხალი**-ი (კახ.) კალოს მსხალი, თიბათის მსხალი, იენისში მწიფდება (ა. მარტ., გ. იმნ.).

**თანამტანი**-ი (რაქ.) თანამგზავრი. „წაიყვანა თანამტანი და წავიდეს სანადიროს“ (შ. ძიძ., 206).

**თანარსი**-ი (გურ., იმერ.) სიმინდის უვარგისი ღვრეები, ამოსული დედა ღვრის გვერდით. ნ. ბიჭა-ბიჭა (ვ. ბერ.).

**თანაქა**-ი (იმერ.). ნ. თანაქა.

**თანაქა** (გურ., იმერ.) თუნუქის ჭურჭელი, სანავთე (გ. შარაშ., დიალექტ., 670).

**თანგი**-ი (ქიზიყ.) დურგლის ზელსაწყოა ერთგვარი (ს. მენთეშ.).

**თანგირა** (კახ., ქიზიყ., ფშ.) უყურო, მოზრდილი სპილენძის ქვაბი, არსანადაგოდ სახმარი (ა. მარტ., გ. იმნ.); შუათან ქვაბი შეკუპადის გასაკეთებლად (ს. მენთეშ.; დიალექტ., 606); პატარა სპილენძის ქვაბი, პირგადაწეული, რომელიც ჩვეულებრივ ზედადგარზე დაიდგმის (ვაჟა, II, ა. შან.); ჩალხანა (საბა).

**თანთელა**-ი (გურ.) სალი, მთელი ნივთი

(კაკალი), თხილი; გამოთანთლვა უკეთესი კაცის ან თხილის გამოჩენვა. „აი თხილი ქე გამოგითანთლავს და...“ (გ. შარაშ.).

**თანითანაზე** (მთიულ.) წყლის გაყოლებით. „თანითანაზე წახვედით თუ გზაზე“ (ლ. კაიშ.).

**თანობა** (ქიზიყ., ფშ.) გუება, ატანა, მოთმენა (ს. მენთეშ., ვაჟა, III, ა. შან.).

**თანიში**-ი (გურ.) შეთამამებული. „ჩემოჯანში შენ უფრო თანიშათ იქნებოდი, ნეგონა“ (გ. შარაშ.). თურქ. tanış, ნაცნობი.

**თანმოყული**-ი (იმერ.) დედინაცვლის შვილი. „თანმოყულის დანახვის შიში თავზარსა სცემდა აქამდისინ გულდამშვიდებულ მცხოვრებელს აზნაურს“ (მ. ალავე, დ. კლდ. ლექსიკ.).

**თანუ** (ინგილ.) ცულის ხმა; ათანყებს ცულს სცემს, ახმაურებს (მ. ჯან.).

**თაოდ** (მოხ.) თავად, თვითონ (დიალექტ., 561).

**თარა** (ლეჩხ.) გამოქვაბული კლდეში. ნ. თარანი, დარანი (მ. ალავე, 1).

**თარანი**-ი (ზ. იმერ.) შეღრმავებული ადგილი ქვის ქვეშ, მდინარეში, სადაც თევზი იბუდებს; სამალავი, დარანი. ნ. თარა (ბ. წერეთ.).

**თარაფ** (ინგილ.) მხარე, კედარი; კაცითარაფით კაცის მხრით, კაცის მომყოლი, მისიანი (დიალექტ., 617). არაბ., თურქ taraf.

**თარგმელა**-ი (გურ.) მთარგმნელი, მარჩიელი, ქალაღის გამშლელი (ა. ღლ.).

**თარგზი**-ი (ოკრიბ.) გასაშრობ აგურთა მწკრივი (მ. ალავე.).

**თარვალ** (ინგილ.) ფარღული ბოსტანიში (ა. შან., 349).

**თართი**! (მთიულ.) 1. სუსტი, უღონო; 2. დანჯღრეული, გაწყალებული (ლ. კაიშ.).

**თართი**² (ქიზიყ.) ზუთხი, თევზების მეფედ ითვლება, უფხოა, სქელი ტყავი აქვს და მსხვილი ძვალი (ს. მენთეშ.). შდრ.: ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**თართ-ი** (მოხ.) სუსტი, შეუძლო (ო. ქაჯ.).  
**თართალეზა** (იმერ.) ცხელების დროს მაღალი ტემპერატურის გამო თრთოლვა (ვ. ბერ.).

**თართვა** (იმერ.) ძალზე დაქანცვა სიცხისაგან; ნაოფლარზე გაცივება (ვ. ბერ.).

**თართქალი** (ზ. აქარ.) ახალი, ნორჩი ბოსტნეული, ხახვი, ნიორი... ან ბალახეული მცენარე (შ. ნიყარ.).

**თართქლი** (რაჭ., იმერ.) ძალიან ცხელი პური ან მკადა (ქეგლ.).

**თარიშ-ი** (ქიზიყ.). ნ. ვირისკვერცხა.

**თარნაჟ-ი** (იმერ.) ქენჭრები, ანჩხლი ქალი (ი. ჟყონ.).

**თარქი** (მესხ., ფშ.) უნაგირის უკანა მხარე. „შემოიგდო თარქზე მზითუნახავი“ (ი. მაისურ.); საქონლის სხეულის ნაწილი კუდიდან ნეკნებამდე, — წელი (ქეგლ.). თურქ. terki.

**თარღ-ი** (მთიულ.) თაღი (ლ. კაიშ.).

**თარჯაუშობა** (ფშ.) ძალიან კოკლობა (ა. შან.; ლ. ლეონ.).

**თარხანა** (ქართლ.) თეთრი ხორბალი (ს. მენთეშ.).

**თარჯი** (იმერ., ლეჩხ.) ხეზე ამოჭრილი ნიშნად საზღვრისა (ი. ჟყონ.); საზღვარი ტყეში (მ. ალავე, 1). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**თახ-ი** (თუშ., ხევსურ.) რქისაგან ან ხისაგან გაკეთებული ლუდის სასმელი ჭურჭელი (თ. უთურგ.); უპირატესად ვერცხლის სასმისი (ა. კინკარ., 218). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**თახ-ი** (მთიულ.) ქორწილში სხვისთვის გადალოცილი თავისი ულუფა (ლ. კაიშ.).

**თაუზღარი** (გურ.) თავუზღარი, თავადებული, უწვრთნელი, თავკასული (გ. შარაშ.).

**თაფ** (ინგილ.) ტაფობი ადგილი (მ. ჯან.).  
**თაფ-ი** (ქართლ.) სათამაშო კოკის ზურვი (კირიონი).

**თაფად ჩაყრა**, **თაფად ცვივნა** პურისა (ქიზიყ.) ცხარე თორნე პურს არ იყრავს, მაგრამ თუ მიიყრა, მალე შეაცხობს და ერთბაშად, ჯერ ისევ ცომი პური

მოხედება და ჩავარდება — ამაზე იტყვიან: „თაფად ცვივნა პურიო“.  
 ნ. თაფვა (ს. მენთეშ.).

**თაფვა** (ქიზიყ., კახ.) შემცვარი პურის ერთბაშად აყრა და ჩაცევენა თორნეში (ღიალექტ., 606; ა. მარტ., გ. იმნ.).

**თაფთვანა** (მესხ.) ალიაქოთი, ჩხუბი, აურზაური (ი. მაისურ.).

**თაფლანა** (ფშ., მთიულ.) შალამანდილი, მცენარეა, ფუტყარა (ა. მაყ.); თხილის ფოთოლზე გაჩენილი ტკბილი ცვარი (ლ. კაიშ.).

**თაფლაყოჩ-ი** (მესხ.) სათამაშო სასროლია. ბატის ფრთაში ან ხის ამოღარულ მილში გათლილ ჯოხს გაატარებენ, თავში საზამთროს ნაფქვენს, ან კარტოფილის ნატესს წამოაცმევენ, მილში ჩასმულ ჯოხს ერთბაშად მიაწვენიან და ნაფქვენს გაისვრიან, გავარდნა ხმას გამოსცემს (ი. მაისურ.).

**თაფობა** (ქართლ.) პურის ჩავარდნა თორნეში (თ. სალარ.).

**თაფლაწუა** (აქარ.) მც., ფურჩუმელა, შალამანდილი (შ. ნიყარ.).

**თაფტა-ა** (ინგილ.) თავთა, აბრეშუმის ქსოვილი (მ. ჯან.).

**თაფხა** (მთიულ., გუდამაყრ.) ღვინის სასმისი (ე. ვირსალ.).

**თაქ** (ქიზიყ.) ოღონდ. „თაქ შენ ვადი და იჭიდავე და ქეიფი ჩემზე აყოა“ (ს. მენთეშ.).

**თაქარა** (იმერ.) მოჭირებელი სიცხე, პანაქება, ცეცხლი. ნ. თაქარა (ვ. ბერ.).

**თაქლა** (ქიზიყ.) მომფერებელი, ფარისეულურად მოალერსე (ს. მენთეშ.).

**თაქცეულ-ი** (კახ.). ნ. ფრთაქცეული.

**თაღარ-ი** (ქართლ., ქიზიყ., ქსნის ხეობ., ინგილ.) დიდი ქვევრი, რომელშიაც საწნახელთან ჩადის ტკბილი (კირიონი; შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); თხილის დიდი ჭურჭელი, შუას ქვევით ქვევრივითაა, თითქოს მუცელზე გადაჭრილი ქვევრის ტანიოა. შიგ აყენებენ სხვადასხვა საღებავს, დაბღებენ ტყავს აწყობენ დასამუშაველად (ს. მენთეშ.); მილი, სა-

იღნაც ტყბილი გამოდის ნავიდან ყურძნის დაწურვის დროს (ვ. სომხიშვი.); კასრი (გ. იმნ.). შდრ.: ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგელ., თურქ. tağar.

**თალარი-ი** (ზ. ავარ., გურ.) ყანის საზღვარი (შ. ნიჟარ.); მოთალარე მოსაზღვრე; გათალარება საზღვრის გასწორება, გაშლა (ა. ლ.).

**თალარა** (გურ.) გაშლილი ველი. „გვეი-და ზუცესი ერ დიდ გათალარებულ მინდორზე“ (ა. ლ., გურ.).

**თალღამა** (კახ.) საფიცრე მასალა (ა. მარტ., გ. იმნ.).

**თალრი** (ქიზიყ.) ნ. თალარი!

**თაში-ი!** (ხევსურ) ვირის გადენისას, გასარეკად ნახმარი სიტყვა (ა. ჭინჭარ., 246).

**თაჩო-ა** (თუშ.) მრ. რ. თაჩოები-ი თვალები ბავშვის ენაზე (პ. ხუბ.).

**თახანა**, **თახანა** (ქიზიყ.) უხა (ნ.), თხელი ლავაში (ს. მენთეშ.).

**თახთაშინი** (ქიზიყ.) ხარაზის ხელსაწყო; ჩექმის ყელის კალაპოტია (ს. მენთეშ.). სპ. tahtāşin.

**თახთახ-ი**, **თიხთიხ-ი** (გურ.) სქელი ფელამუშის ან ღომის დუდილის ხმა; ათახთახდა, ათიხთიხდა აღუღდა; მუათიხთიხა მოაღუდა (ა. ლ.).

**თახთახ-ი** (ზ. იმერ.) ძუნძული. „უნაგირი ზურგს ამკიდე, მე ქვეითად ვითახთახე“ (ბ. წერეთ.).

**თახთახა** (ქიზიყ.) ქალღლივით თხელი და ხველი რამე, ხმას რომ გამოისცემს ხელის ცემის დროს. ქალღლი სწორედ თახთახაა (ს. მენთეშ.).

**თახტ** (ინგილ.) კვალი (ა. შან., 349).

**თახუმი-ი**, **თოხუმი-ი** (ქიზიყ., ზ. ავარ.) ხარახებში მიღებული სათვალავი ერთეულია ერთი ჭკუფის ფესხაცმლისათვის, რომელიც შეიცავს №№ 19-31, ე. ი. 11 წყვილს (ს. მენთეშ.). თურქ. takim.

**თახუმი-ი** (ზ. ავარ.). 1. აჯათი, ინსტრუმენტი; 2. გვარი, ტომი, ჭიში, ჭილაგი, ჩამომავლობა, ოჯახი, ჯალაბობა (შ. ნიჟარ.). ნ. თოხუმი. თურქ. takim.

**თაქელ** (მოხ.) სწორი, ტოლი, ერთი ხნისა (ო. ქაჯ.).

**თაქუნ-ი** (თუშ.) თოფის გავარდნა (პ. ხუბ.).

**თაჯა-ი** (მოხ.). ნ. დაჯორა.

**თბე!** (ხევსურ.) ფრთა (ა. შან.; ი. ჭყონ.; ლ. ლეონ.), ისრის ფრთა (ა. ჭინჭარ., 304).

**თბე** (ხევსურ.) თბეები, წისკვილის ბორბლის ფირფიტები, რომელთაც წყალი ხედება და ბორბალს ატრიალებს (ა. ჭინჭარ., 208).

**თბეები-ი** (ჩ. თუშ.) საქსოვი ბორბლის ჯოხები, დიამეტრულად ჩაყრილი (ვ. ჭრელ., 266).

**თბილა** (ინგილ.) ქუნთრუშა (მ. ჯან.).

**თბუნება** (იმერ.) გათბობა. „თბუნებას დაუწყებდა დაძრულ ხელებს ცეცხლზე“ (მ. ალავე, დ. კლდ. ლექსიყ.). შდრ.: ქეგელ.

**თე** (ფერეიდნ.) თვე (დიალექტ., 629).

**თებიერე** (ლეჩხ.) დანაკვერცხლბული ცეცხლი. „ე წვადი რო თებიერეს მიაფიცხე, არ იცი, რო სულ ჩადნება?“ (მ. ალავე, 1).

**თებურიაცე-ი** (თუშ.) ავი სული, ეშმაკი (პ. ხუბ.).

**თეგ-ი** (თუშ., ქიზიყ., ქართლ., გურ.). 1. დიდი მარწუხი (პ. ხუბ.); მჭედლის იარაღი; რკინის საჭრელი, მარწუხით ოჭრენ და კვერს სცემენ (ს. მენთეშ.); რკინის საჭრელი იარაღი (შ. ძიქ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); პატარა სატეხი, თეგვი; თეგვა, გამოთეგვა ჭუჭრუტანის ამოვსება თეგით (გ. შარაშ.); 2. ტყეში დაჭრილი ფიჭვის ძირი (ს. მენთეშ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგელ.

**თეგ-ი** (ქართლ.) გათიბული ბალახის მსხვილი ძირები (კირიონი). თურქ. teg.

**თეგერაჟ-ი** (თუშ.) მსუქანი ადამიანი, საქონელი. „რაკა თეგერაჟ მოზვერაჟიე“ (პ. ხუბ.).

**თეგრ-ი** (ფშ.) ვარეული ღორების საზამ-

- თრო ბინა (თ. რაზიკ., „ივერია“, № 131, 1900; ი. ჭყონ.).
- თედორობა** (ლენჩ.) ცხენის ლოცვა, რელიგიური დღესასწაული, იმართებოდა თებერვალსა და მარტში (მ. ჩიქ.).
- თევაზი** (რაქ.) თევზი (შ. ძიძ., 206).
- თეზენა** (აქარ.) სამუსიკო ინსტრუმენტი (შ. ნიყარ.).
- თეთიყ-ი** (ზ. აქარ.) ცეცხლმსროლელი იარაღის სასხლეტი (შ. ნიყარ.). თურქ. *tefik*.
- თეთრ** (ინგილ.) ფული (დიალექტ., 617).
- თეთრი** (თუშ.) ყველი, ხაჭო (ი. ბუქურ., 132); სუფრაზე გაწყობილი ყველი, მარილი, ხაჭო (თ. უთურგ.).
- თეთრი ბუარა** (მოხ., მთიულ.) ვირის ტერფა, მცენარეა (ა. მაყ.).
- თეთრი კინწა** (ლენჩ.) ფუნთუშა, მცენარეა (ა. მაყ.).
- თეთრი ნერგ-ი** (ქართლ.) ოფი, მცენარეა (ა. მაყ.).
- თეთრა** (მთიულ.) ქერა (ლ. კაიშ.).
- თეთრა<sup>2</sup>** (ფშ.) ბალახეული მცენარეა, რომელიც პატარა თეთრი ფერის ყვავილს იკეთებს. „აგერ ქუჩი და კესანე, საწაწინტელა თე თ რ ა ო“ (ი. ქეშიკ.).
- თეთრანი** (ქართლ.) თევზია ერთგვარი (პ. ვაჩჩი.).
- თეთრულ-ი** (ქართლ.) წველა (დიალექტ., 637).
- თეთრიშა-ი** (გურ.) ვაზის ჯიშია ერთგვარი (კ. გვარ., 947; ა. ლ.).
- თეთრონა-ა** (რაქ.) თეთრი ღორი (დიალექტ., 684).
- თეკერა** (რაქ.) მთის ნეკერჩხალი (ა. მაყ.).
- თელალ-ი** (იმერხ.) გამომცხადებელი (დიალექტ., 654). არაბ., თურქ. *tellâl*.
- თელაურ-ი** (ქიზიყ.) თელაველი, თელავის მკვიდრი (დიალექტ., 606).
- თელახარშ-ი** (მესხ., ჭავჭავ.) დიყი, მცენარეა (ა. მაყ.).
- თელეზა** (ფშ.) დასაჯდომად დაღირება, ფრინველები როცა ლეშს უნდა დაახუნდნენ, ეთელეებიან. „მოკლეს მოკლია ხირჩლაი, ყორნები ეთელეე-
- ბოღა“ (თ. რაზიკ., „ივერია“, № 131, 1900; ი. ჭყონ.).
- თელუგა-ა** (ზ. აქარ.) ღაზლით მოქსოვილი უყვლო წინდა (შ. ნიყარ.).
- თელურთა** (გურ.) სახარაზო კალაპოტია ერთგვარი (გ. შარაშ.).
- თელზ-ი** (ზ. იმერ.) მდინარეს რომ ბური გადაეკვრის (ბ. წერეთ.).
- თელზაშ-ი** (მესხ.) ცივად მოხარშული ხორცი (ი. მაისტრ.). სპ. *tâh+თურქ. აფ, საკმელი*.
- თემბელ-ი** (გურ.) მატყუარა, ცბიერი (გ. შარაშ.). თურქ. *tembel*.
- თემელი** (ზ. აქარ.) ფუნდამენტი, საძირკველი, საფუძველი, ფუძე (შ. ნიყარ.). თურქ. *temel*.
- თენექა** (ზ. აქარ.) სანავთე, თუნუქის ჭურჭელი ნავთის ჩასასხმელად. ნ. თანაქა (შ. ნიყარ.). თურქ. *teneke*.
- თენჯერა/ე-ი** (იმერ., გურ.) თუჯის ჭურჭელი. ქვაბი, ჩაღხანა (გ. ბერ.; ს. გლ.; დიალექტ., 664). თურქ. *tencere*.
- თეო, თეო-ა** (ფშ., თუშ., ქართლ.) ადგილი ცხვრის ბინის განაპირას (გვა, I, 1946, ა. შან.); საყარაულო ადგილს ცხვრის ფარასთან (თ. უთურგ.); ცხვრის ბინის გარშემო ალაგი, სადაც ძაღლები დარაჯობენ (კირიონი).
- თეჟარა-ა** (ინგილ.) ჩონგურის დასაცვრელი ბლის ქერტი, ჩაღანა (მ. ჯან.).
- თერგ-ი** (იმერ., მთიულ.) სატეხი. ნ. თეგი (პ. ჯაჭან., IX, 252); რკინის სახერტი იარაღი (ლ. კაიშ.).
- თერგ-ი<sup>2</sup>** (თუშ., ფშ.) დასაწოლად გაკეთებული ამოთხრილი ადგილი (თ. უთურგ.); ცხოველს მუღმიესამყოფელს სადგომი, ბინა. „მივიდნენ ვეფხვების თერგში“ (ი. ქეშიკ.).
- თერგ-ი** (აქარ.). 1. თარო; 2. კოზირიკი (შ. ნიყარ.).
- თერო** (ფშ., ქსნის ხეობ.) მცენარეა ერთგვარი (ი. ქეშიკ.; ვ. სომხაშვი.).
- თერს** (ინგილ.) უკუღმა (დიალექტ., 617). თურქ. *ters*.
- თერს-ი** (აქარ.) თარსი (პ. ჯაჭან.).

**თერფი**-ი (აჭარ.) მხარე (კედელი) (პ. ჯა-  
 ჯან.). არაბ., თურქ. taraf.

**თერძვა** (მესხ.) მზრალად ხენა, ხენა სა-  
 შემოდგომო თესვისთვის (ი. მაისურ.),  
 ნასვენნი მიწის პირველად მოხენა („ყო-  
 მუნისტი“, № 190, 1967).

**თესლაბაღახი**-ი (თუშ.) ქუთქუთა, მცენა-  
 რეა (ა. მაყ.).

**თესპე** (ზ. აჭარ.) ასხმულა, კრიალოსანი,  
 ჩვეულებრივ შედგება 33 ან 99 მრგვა-  
 ლი მძივივით მარცვლებსაგან (შ. ნი-  
 ქარ.). არაბ., თურქ. tespih.

**თესპეს შივი**-ი (აჭარ.) ჩალამძივი, მცენა-  
 რეა (ა. მაყ.).

**თეფა**, **თეფა-ა** (ქიზიყ., თუშ.) ველის ბორ-  
 ცვი, ვაკეზე ამოზურცული, გორიე-  
 ლა (ს. მენთეშ.); პატარა გორა, გორა-  
 კი (თ. უთურგ.). თურქ. tepe.

**თეშე-ი** (კახ.) წისქვილის ნაწილი: ხეიმი-  
 რის ქვეშ მიკრული პატარა ღარი მარ-  
 ცვლის სადენად, — კრიკა (ა. მარტ.,  
 გ. იმნ.).

**თექი**-ი (გურ.) შესადარი, მსგავსი, შესა-  
 ფერი (გ. შარაშ.). თურქ. tek.

**თექალთო** || **თოქალთო** (ხევსურ., ფშ.)  
 ცხენის აღსაყაზმავია. ცხენის ზურგზე  
 ჯერ საოფლეს აფენენ, შემდეგ თე-  
 ქალთოს || თოქალთოს დაადებენ  
 და ბოლოს უნაგირს ადგამენ. „შავი ვარ,  
 შავი ცხენი მყავს, შავი თექალთო  
 მიდგია“ (ა. ჭინჭარ., 244); უნაგირის  
 ქვეშ საფენი ქეჩა (ი. ქეშვიკ.). შდრ.:  
 საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ, თაქალ-  
 თო. თურქ. tekalti.

**თექალთუ-ა** (ინგილ.) თოქალთო, უნაგი-  
 რის ქვეშ სადები. ნ. თექალთო (მ.  
 ჯან.).

**თექაჟი**-ი (თუშ.) ქეჩის პალტო (თ. უთ-  
 ურგ.).

**თვალგრიფოვანი**-ი (გურ.) თვალჭრელი (ს.  
 ქლ.).

**თვალდაყლეპილი**-ი (აჭარ.). ნ. თვალდაყ-  
 ლიპული.

**თვალდაყლიპული**-ი (გურ.) თვალგადმო-  
 კარკლული, თვალბგამოწეული. ნ.  
 ყლიპინი (გ. შარაშ.).

**თვალბდახუჭული**-ი (ქართლ.) მიცვალბუ-  
 ლი. „თვალბდახუჭული სა  
 აღარავის ეშინიან“ (გ. შატბერ., 57).

**თვალბღერწამ** (ქიზიყ.) მყის, მსწრაფლ.  
 „თვალბღერწამ გაფრინდა“ (ს.  
 მენთეშ.).

**თვალის ასიორება** (გურ.) თვალის აპრი-  
 ალება, თვალის აბნევა მდინარის მოძ-  
 რაობისა ან ჭრელი საგნის ცქერის გა-  
 მო. ნ. ასიორება თვალისა (გ. შარაშ.).

**თვალის გაკიდება** (მთიულ.) თვალის მოკ-  
 ვრა, თვალით შემჩნევა (დილიქტ.,  
 567).

**თვალის გადამტავება** (გურ.) თვალბის  
 გადაკარგვა გულის წასვლის დროს.  
 „ისე გადაამტავა თვალბი,  
 რომ თუ მოზრუნდებოდა, არ მეგონა“  
 (გ. შარაშ.).

**თვალისიფერი**-ი (იმერ.) მხედველობის სის-  
 წრაფად, სწრაფად შეტყობის, გამოცნო-  
 ბის უნარი, მიხედვრილობა, ერთბაშად  
 აღლოს აღება (ი. ქავთ.).

**თვალისკიდი**-ი (ოუშ.) ბინდი, მწუხრი;  
 შეთვალისკიდება-ა შებინდება  
 (თ. უთურგ.).

**თვალისმოცუფება** (იმერ.) წაძინება, ცოტა  
 ხნით დაძინება (გ. ბერ.).

**თვალის ფიკვები**-ი (გურ.) წამწამები (გ.  
 შარაშ.).

**თვალის ჩავარდნა** (გურ.) ქსოვის დროს  
 წინდის ჩხირიდან კილოს ჩავარდნა (გ.  
 შარაშ.).

**თვალმაზია** (ქართლ.) წითელთვალა, პა-  
 ტარა თევზია (ი. ჭყონ.).

**თვალმაზარა** (ქიზიყ.) თვალადი, შესახე-  
 დავად მოსაწონი (ს. მენთეშ.; ქეგლ).

**თვალმშიავალი**-ი (ფშ.) ლამაზი, კარგი გა-  
 რევენობისა (ა. ჭინჭარ., ფშ.).

**თვალმზუჭერა** (ფშ.) თვალდახუჭული.  
 „ვაჟაკი თვალმზუჭერა იცნობს  
 თვითულ ცხვარს“ (ი. ქეშვიკ.).

**თვალმჭყიაღე** (ლეჩხ.) თვალის დაბინდვა  
 (მ. ჩიქ.).

**თვალსადგამი**-ი (კახ.) სასიამოვნო შესახე-  
 დავი, ლამაზი, მიმზიდველი (ა. მარტ.,  
 გ. იმნ.).



**თვალსაფრისათ** (კახ.) თვალთმაქცურად (ა. მარტ., გ. იმნ.).

**თვალყამი** (ქსნის ხეობ.) თვალის ცემა. „ამის თვალყამს ვაი და ვუი“ (გ. სომხიშე.).

**თვალყვა** (გურ.) გათვალვა, გაღალვა. არსებობს თვალყვის რამდენიმე ლოცვა (გ. შარაშ.).

**თვალჩიჩხა** (იმერ.) თვალჭრელა, კატის-თვალა (პ. ჯაჭან., X).

**თვალჩხაკა-ი** (იმერ.) ნ. თვალჩიჩხა.

**თვალჭყუმიანა-ა** (აქარ.) კაცი, რომელიც თვალებს აბრიალებს. შღრ.: თვალდაყლიბული (შ. ნიყარ.).

**თვარანდარა** (გურ., აქარ.) თუ არა და არა (ა. ლ.; პ. ჯაჭან.).

**თველი-ი** (აქარ.) რთველი (დიალექტ., 658).

**თვერი-ი** (იმერ., გურ.) თიკი (ნ.), ღირღილო (გ. ბერ.). „ცხვირიც ისთე გადმოკიდა, როგორც ინდოურის თვერი“ (ა. ლ., გურ.).

**თვეში-ი ჩადგომა** (ქართლ.) ფეხმძიმობის მეცხრე თვეში ჩადგომა. „თვეში ირო ჩადგება, მაშინ წაიყვანენ სამშობლოშია“ (გ. შატბერ., 57).

**თვირთვილი-ი** (ფშ., ხევსურ., თუშ., მთიულ.) თრთვილი, რთვილი (ვაჟა, I, ა. შან.; ა. შან.; თ. უთურგ.; ლ. კაიშ.).

**თვისან-ი** (ლეჩხ.) წამხდარი, გაფუჭებული, ცუდი (ადამიანი); თვისნებ-ი (ცუდნი (მ. ალავ., 2)).

**თიადორა** (ქიზიყ.) ყელის ჭირკვლების ავადმყოფობა (ს. მენთეშ., დამ.). შღრ.: ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**თიათერია** (რაჭ., ლეჩხ.) ჩვეულებრივი მატიტელა, მცენარეა. ნ. ნაყრაი, კიმიკი (ა. მაც.).

**თიამულა-ი** (ლეჩხ., რაჭ., მთიულ.) ბალახია ერთგვარი, ყანის ნიორი (მ. ჩიქ.; ა. მაც.).

**თიან** (ინგილ.) სპილენძის დიდი თაბახი (მ. ჯან.).

**თიჰარა** (ქიზიყ.) ქაფუნა, მცენარეა. ნ. თჰაფუნა, კაპუნა (ა. მაც.).

**თიბ-ი(ი)** (რაჭ.) გვხვდება ხალხურ ლექსში: „ღმიტრი ყაფლაშიშვილსა შერჩა ხელი და ფხარია, ათი თიბი გაიტანა კაცი არ მოუხმარია“ (შ. ძიმ., 206).

**თიბა** (გურ.) თივა (ს. ჟღ.).

**თივლა-ი** (მოხ.) მოფერ. თივა (დიალექტ., 562).

**თით-ი(ი)** (თუშ.) მრ. რ. თითებ-ი: 1. სიმების მოსართავი ჩხირები ფანდურზე. „ფანდურმ ალყა გამიწყვიტა თითის მოჭირებშია“; 2. საზომი ერთეული: ხუთთითვაშლაფი, ხუთთითდადებაცი... იზომება ასე ტყავი, ჩათო (ნ.), საბელი (პ. ხუბ.).

**თით-ი(ი)** (იმერ., მთიულ.) ძროხის ძუძუ (დიალექტ., 670). ძროხის ცუტის კერტი; ზარფუშის მილი (ლ. კაიშ.).

**თითა** (ქართლ., მოხ., ქვ. იმერ., გურ.) თეთრი ვაზის ჯიშია (შ. ძიმ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); თხის ძუძუ, ვარდჯანაფა, მცენარეა (ა. მაც.).

**თითა-თითა** (გურ.) მარშანცია, მცენარეა (ა. მაც.).

**თითბეჭედა** (თუშ.) ცისარტყელა (ს. მაკალ.).

**თითდაკრული-ი** (მესხ.) გამომცხვარი პური შუაში გახვრეტილი („კომუნისტი“, № 157, 1968).

**თითის გორება-ი** (გურ.) თითის დადება. „ამას ერთი თითის გორება იმემატება ბეჭში და გეიკერება“ (გ. შარაშ.).

**თითმავლა, თვითმავლა** (ფშ., ხევსურ.) ჩვეულებრივი ჭიჭლაყა, მცენარეა (ა. მაც.).

**თითპურა** (მესხ.) ფურნეში გამომცხვარი მრგვალი თხელი პური, შუაში გახვრეტილი თითის გასაყრელად („კომუნისტი“, № 190, 1967).

**თითქინ-ი** (ლეჩხ.) კანკალი, თრთოლა. ნ. ქონქოლი (მ. ალავ., 1).

**თითქინა-ი** (გურ.) თეთრი, სუფთა, სპეტაკი; ჩათითქინებულ-ი ჩათეთრებული, სუფთა, სპეტაკი (გ. შარაშ.).

**თითხინ-ი** (მესხ.) ყინიანი, ნერვიული ლა-

- ბარაკი; ჩიჩხინი, მიზეზიანობა (ი. მაი-სურ.).
- თიკ-ი<sup>1</sup> (იმერ.) თვერი, ქათმის ბიბილო. ნ. თვერი (ვ. ბერ.).
- თიკ-ი<sup>2</sup> (გურ.) ხის ტოტი, წატეხილი, მოკლე და გაშვებული, ან მის მსგავსად გაშვებული ნაწილი საგნისა (გ. შარაშ.); საბეღური (ს. ელ.).
- თიკერა (აჭარ.) წნელის ან ტყეჩის გრეხილი (შ. ნიყარ.).
- თიკე-ი (ფშ., თუშ., ხევსურ.) ჩვარი, ძონძი, ქინჯი (ვაჟა, IV, ა. შან.); ბაპბის ან აბრეშუმის ქსოვილის ნაჭერი (დიპლექტ., 591); ქსოვილი, რომელსაც ჩითებისათვის (ნ. ხმარობენ. ნ. სამირგვლია (თ. უთურგ.).
- თიკე-ი<sup>2</sup> (ახს.) წყლის თავი (ქეგლ.).
- თიკვაჟი (თუშ.). ნ. თიკვი, 1.
- თიკთიკი (ლეჩხ.). თრთოლვა, ძიგძიგი (მ. ჩიქ.).
- თიკნიყურა (გურ., აჭარ., რაჭ., ლეჩხ., ფშ., მთიულ.) სასტვენა, კესანე, ცისანა; წითელი წალიყა, შავჩობა, მცენარეა. ნ. ოკლაკენცხა, თავიყურა, ციკნიყურა (გ. შარაშ.; მ. ჩიქ.; ა. მაყ.).
- თიკნიხურა-ი (გურ.) თხელნაჭუჭიანი საგვიანო თხილია. ნ. საკმელი (გ. შარაშ.).
- თიკნურ-ი (ფშ., თიან.) პატარა გუდა. ნ. თიკრუნი („კომუნისტი“, № 157, 1968).
- თიკრუნი (ხევსურ.). 1. პატარა გუდა (თ. რაზიკ., „ივერია“, № 131, 1900; ი. ჭყონ.); 2. ხბოს ტყავია გაკეთებული (ა. ჭინჭარ., 248); ჭურჭელი, რომელშიაც მარცვალს ჩაყრიან და წაიღებენ წისქვილში (ა. ჭინჭარ., 208).
- თიკუნ-ი (ხევსურ., თუშ., ფშ.) მეტსახელი, ფსევდონიმი. „ზაჩაყაურს მეტ სახელ, თიკუნ, ზაჩანა ხქვიენებივ“ (ა. შან., 158); შერქმეული სახელი (თ. უთურგ.); ზედმეტი სახელი (ს. მაკალ., ფშ.).
- თილახარჩილა (გურ., აჭარ.). ნ. თელახარში.
- თილიყამყამ-ი (ქართლ., ქიზიყ., იმერ.) ხმალი, სატეგარი (ა. ლ., ქართლ., 287); ბასრი ხმალი. ნ. თილიყამყამი (ს. მენთეშ.); სატეგარი (ვ. ბერ.). თურქ. kama.
- თილიშ-ი (იმერ.) კოჭი (პ. ჯაჯან., IX, 252).
- თილფან-ი (აჭარ.) ცელი (პ. ჯაჯან.). თურქ. urpan.
- თინთიკ-ი (ლეჩხ.) ძალზე თეთრი (მ. ალაკ., 1).
- თიობა (მთიულ.) თივის მთიდან ჩამოზიდვის დრო ან თვით თივის ჩამოზიდვა (ლ. კაიშ.).
- თიორ-ი (რაჭ.) საკმელია ერთგვარი (შ. ძიძ., 207).
- თიორშ-ი (რაჭ., ლეჩხ.) მთის შრომანი, მცენარეა (ა. მაყ.).
- თიორშა (ლეჩხ.) სამკურნალო ბალახია (მ. ჩიქ.).
- თიოშ-ი, თიოშა (რაჭ., ლეჩხ., ზ. იმერ.). ნ. თიორში.
- თირ-ი (ინგლ., ფერეიდნ.) მრ. რ. თირე, ბრინჯის ნათეს კვლებს შუა დატოვებული ამობურცული მიწა. მისი დანიშნულებაა ერთი კვლიდან მეორეში არ გადაუშვას წყალი და არ არიოს კვლები (დიპლექტ., 617); ისარი (ა. ჩიქ.). სპ. tir.
- თირება<sup>1</sup> (იმერ.) თითით ჩვენება (ვ. ბერ.).
- თირება<sup>2</sup> (ფშ.) დაჩუმება, დაწყნარება; ვათირებ ვაწყნარებ, ატირებულ ბავშვს ვაჩუმებ (ვაჟა, I, ა. შან.); ათირებ ბას ატუსუებს, აჩუმებს, აშოშმინებს (ვაჟა-ფშ. მც. ლექსიკ.).
- თირთო-ა (თუშ.) შემცივნება, სიცივე (პ. ხუბ.).
- თირინა (გურ.) თირითინა (გ. შარაშ.).
- თიფთიფ-ი (გურ.) ფაფის დუღილი (ა. ლ.).
- თიფხი (მესხ.) ნამდვილი, ზუსტი, შესატყვისი. „ეს ბოვშე თიფხი მამამისია“ (ი. მაისურ.). თურქ. upki.
- თიქალთო-ა, თექალთო-ა (თუშ.) უნაგირის ქვეშ სადებელი ნაბადი. ნ. თექალთო, თოქალთო (თ. უთურგ.).

**თიქან** (ინგილ.) ეკალი. „ასლი დედაჲ სა-  
 ძაროათი ყარა თიქან ომოდის“ (გ.  
 იმნ.). თურქ. tiken, აზერბ. ТИКӘН.  
**თიდიყაქამი**-ი (ქიზიყ.) ნ. თილიყამყამი.  
**თიშ-ი** (რაჭ.) მსხვილი სილა (გ. ბერ.).  
**თიხ-ი** (გურ.) მოღვმა, გვარი (გ. შარაშ.).  
**თიხთიხ-ი** (გურ.). ნ. თახთახი.  
**თიქა** (მთიულ.) დიდი გამოქვაბული  
 კლდეში (ლ. კაიშ.).  
**თლათ** (ლენხ., გურ.) მთლად, სულ ერ-  
 თიანად (დიალექტ., 676; ა. ლლ., გურ.).  
**თლანქვა** (იმერ.) უნებურად, უზრდელუ-  
 რად ქამა, შთანთქმა (პ. ჯაჯან., IX,  
 252).  
**თლახთლახ-ი**, **თლახთლახ-ი** (ქიზიყ.) ფა-  
 ფის, თათარისა და მსგავსთა დუღილის  
 ხმა (ს. მენთეშ.).  
**თლაშ-ი** (ქიზიყ.) ფოსტლის შესაკერი  
 ხელსაწყო (ს. მენთეშ.).  
**თლაშქარი-ი** (ქიზიყ.) ხარახის ხელსაწყო:  
 წმინდა სალესია, დანის პირის ამწყო-  
 ბი (ს. მენთეშ.).  
**თლახთლახ-ი** (ქიზიყ.) ნ. თლახთლახი.  
**თლახუნ-ი** (ლენხ.) ტყაბა-ტყუბით, ფენ-  
 აურჩეველად სიარული. ნ. ჩლახუნი (მ.  
 ალავ., 2).  
**თლახვიჩი-ი** (ქართლ.) საძირე ტყავის გა-  
 დასაფხვკი დანა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ.  
 ხუბ.).  
**თლუქა** (რაჭ.) ურმის ნაწილია (შ. ძიძ.,  
 207).  
**თმა-გრუშ-ი** (თუშ.) თმა-ხუტუტი (თ. უთ-  
 ურგ.).  
**თმაუტუტუქა-ა** (აქარ.) თმახუტუტა (შ. ნი-  
 ეარ.).  
**თმან-ი** (თუშ.) ძუა-ფაფარი. „თათარაქმ  
 სულაღიზემ ცხენს შეუნასქვა თმა-  
 ნი ია“ (პ. ხუბ.).  
**თოგალი-ი** (კახ.) თიხის ჭურჭლის მოსაპო-  
 ქავი მასალა, მზადდება ტყავისა და  
 წმინდა შუშის ფხვნილისაგან (ა. მარტ.,  
 გ. იმნ.).  
**თოვლისდედა** (რაჭ.) სათოვლია. ნ. თოვ-  
 ლისმაზარობელა (ა. მაყ.).  
**თოვლისმაზარობელა** (რაჭ.) სათოვლია,  
 მცენარეა (ა. მაყ.).

**თოთინ-ი** (იმერ.) გათოთინება ძლიერ კან-  
 კალი, თრთოვლა. „ნახევარი კაცი  
 აღარ არი: ყოველ დღე აციებს და  
 ათოთინებს“ (გ. ბერ.).  
**თოთო** (რაჭ., გურ.) ჩვილი, ქორფა (დია-  
 ლექტ., 684; ა. ლლ.).  
**თოთო ბავშვი-ი** (იმერ., გურ.) ახალდაბ-  
 დებული ბავშვი; ხზოვნად იტყვიან —  
 თოთოაო (ი. ჭყონ.).  
**თოთქოვება** (ფშ.) შეხლა-შემოხლა,  
 აურზაური (ი. ქეშვი.).  
**თოთხარ-ი** (ქიზიყ.) საქმის გართულება;  
 ორჭოფობასავით, ჭოჭმანი (ს. მენთეშ.).  
**თოთხალ-ი** (ლენხ.) ტოტყალი, შეუძ-  
 ლოდ სიარული (მ. ალავ., 1).  
**თოიჯ-ი** (რაჭ.) ნამდვილი, ბეჯითი (გ.  
 ბერ.).  
**თოკვი-ი** (იმერხ., რაჭ.) თოკი (ნ. მარი, 82);  
 თოკი, საბელი (დიალექტ., 684).  
**თოლ-ი** (მოხ., მთიულ., ინგილ.) თვალი  
 (ა. ყაზბ., I, შ. ძიძ.; ს. მაკალ.; დია-  
 ლექტ., 567; მ. ჯან.; დიალექტ., 617;  
 ლ. კაიშ.).  
**თოლახუღთა-ი** (გურ.) თოვლის გუნდა-  
 სათამაშოდ გაკეთებული; თოლახ-  
 ბულთაის თამაშობა თოვლის  
 გუნდაობა (გ. შარაშ.).  
**თოლახულუსის სარტყელი-ი** (გურ.) სამყა-  
 დი (სამფერი) სარტყელი (გ. შარაშ.).  
**თოლა-ტანად** (გუდამაყრ.) თვალ-ტანად  
 (დიალექტ., 572).  
**თოლმარგალიტი-ი** (გუდამაყრ.) თვალ-მარ-  
 გალიტი (დიალექტ., 572).  
**თოლმამდარ-ი** (მოხ.) თვალმამდარი, ბლო-  
 მად, უხვად (ო. ქაჯ.).  
**თოლმაჯ-ი** (მოხ.) თვალმარჯვე (ო. ქაჯ.).  
**თოლზი** (იმერ., ლენხ.) თოხლი, თოლზი  
 ცხვარი (ი. ქავთ.); უწლო ცხვარი (მ.  
 ჩიქ.). თურქ. toklu.  
**თომ-ი** (რაჭ., ქსნის ხეობ.) სათივე ბალა-  
 ხია (შ. ძიძ., 207); თივის ზვინის შე-  
 საკრავი, ბალახისაგან დაწნული თოკი  
 (გ. სომხიშვი.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ.  
 ჩუბ., ქეგელ.



**თონთორი**-ი (ლუჩხ.) თონთლო, უშნო, სქელი, სავსე ქალი. „მწყახარს არ გავდეს ერთბაშად: თონთორია, სოხედავ: ტანში აღარ ეტევა?“ (მ. ალავ., 1).

**თონას ამონთება** (ქართლ.) ნახტრება თონის ხელახლა ამონთება (გ. შატბერ., 58).

**თოთათ** (იმერ.) თამამად (დიალექტ., 670).

**თო-ა** (ინგილ.) თვე (დიალექტ., 617).

**თორ** (თუშ.) თორემ (ი. ბუქურ., 132).

**თორ-ი** (ზ. აქარ.). 1. წელზე შემოსართყმელი ქსოვილი ქამარით; 2. ბადე (შ. ნიყარ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ. თურქ. tor.

**თორ-ი**, **თორნ-ი** (ხევსურ., ფშ.) ხარშოში ან ტუბისველში (ნ.) სველის გადაწურვის შემდეგ დარჩენილი დაფშვნილი კალტი ანუ ხაქო (ა. ჭინჭარ., 271; ი. ქეშიკ.).

**თორბა** (ზ. აქარ.) თოფრა, პარკი, პატარა ტომარა (შ. ნიყარ.; პ. ჯაჯან.). შდრ.: დ. ჩუბ. თურქ. torba.

**თორე-ა** (ინგილ.) მთვარე (მ. ჯან.).

**თორენ**, **თორენა** (ქიზიყ.) თორემ (დიალექტ., 606).

**თორთქოლი** (გურ.) თოხლო, თოხლო კვერცი. ნ. თორხოლო (ვ. ბერ.; ი. მაისურ.).

**თორმეტოცი**-ი (კახ.) ორას ორმოცი (ა. მარტ., გ. იშნ.).

**თორმეტ-თორმეტ-თორმეტაო** (გურ.) გასართობია. მოთამაშე აიღებს დანას, დაიჭერს ხელში, როგორც კალამს და ქვემოთმოტანილი სიტყვების წარმოთქმით დანის წვერით ფიცარს სცემს: „თორმეტ-თორმეტ-თორმეტაო, თუ თორმეტი არ გამოა, დანა შენ და პირი მეო“. შემდეგ დათვლიან კეკილებს (ნ.). თუ თორმეტი გამოვიდა, მოთამაშე მოგებულა (გ. შარაშ.).

**თორპილი**-ი (ხევსურ.) თვალ-პირი, პირი-სახე ცხოველისა (ა. ჭინჭარ., 239).

**თორო** (ფშ., მთიულ., გუდამაყრ.) თო-

რემ (ვაჯა, I, 1946, ა, შან.; დიალექტ., 591; 567; 572).

**თორხოლო** (მესხ.) თოხლო, ჩილი, თოთო. „თორხოლოდ მოხარშული კვერცი უყვარდა“ (ი. მაისურ.).

**თოფალ-თოფალ** (აქარ.) კოკლობით (პ. ჯაჯან.). თურქ. topal, კოკლი.

**თოფვა-ა**, **დათოფვა-ა** (თუშ., ხევსურ.) თოფის სროლა ვინმესთვის (თ. უთურგ.; დიალექტ., 553; 581).

**თოფიკაობა** (ფშ.) თამამობა ერთგვარი (ს. მაკალ.).

**თოფისახოცელა** (მესხ.) შვიტა, მცენარე (ა. მაყ.).

**თოფისხლა** (ოკრიბ.) მარჯი (ს. ჭოლევი, თ. ოქროშიძე).

**თოფუკაობა** (რაჭ.) ბავშვთა თამაშობა (დიალექტ., 684).

**თოფი-ი** (მთიულ., გუდამაყრ.) მეთოფე; თოფჩეებ-ი მეთოფეები (ე. ვირსალ.). თურქ. top, ზარბაზანი, topçu, მეზარბაზნე, არტილერისტი.

**თოფჩა** (იმერ.) კასრიდან წყლის ჩამოსახმელი მილი (ქეგლ.).

**თოქ-ი** (მოხ.) მშიშარა (ო. ქაჯ.).

**თოქმა** (ქიზიყ.) მკერივი, გასუქებულსავით: თოქმა ბავშვი ფუნთუშა ბავშვი (ს. მენთეშ.). თურქ. dökme.

**თოქმა** (ქართლ.) პატარა ტანის ცხოველი ან ადამიანი (გ. შატბერ., 59).

**თოღორი-ი** (ხევსურ.) თოხარიკი (ლ. ლენო.).

**თოშ-ი**, **თოშა** (მოხ., მთიულ., გუდამაყრ.) თხელი ყინული (ო. ქაჯ.); ყინული, რომელიც გაზაფხულზე მიაქვს მდინარეს (ე. ვირსალ.).

**თოშ-ი** (ხევსურ.) დეკის ფოთოლი (ქეგლ.).

**თოხ-ი** (ქართლ.) წისქვილის ნაწილია: წისქვილის ღერძის თავზე დამაგრებული და ზევითა დოლაბში ჩადებული რკინა წისქვილის ასამუშავებლად და ზევითა ქვის ასაწევე-დასაწეველ (დიალექტ., 637). შდრ.: საბა, დ. ჩუბ., ქეგლ.

**თოხა** (მგნს.) აზზინდა, ლითონის ენიანი შესაკრავი ქაძარზე, ფეხსაცმელზე „თომუნისტი“, № 157, 1968). თურქ. toka.

**თოხეჩო** (გურ.) თოხის მსგავსი ეჩო, ხუროს იარაღია (გ. შარაშ.).

**თოხიტარა** (ლენჩ.) ღელის ჩიტი, ბოლოქანქარა (მ. ჩიქ.).

**თოხისტარა** (იმერ.) ცხენისკულა, მცენარეა. ნ. ვირიკულა, ტოლორა, ჯორის კულე (ა. მაყ.).

**მოგდება<sup>2</sup>** (იმერ., გურ., ლენჩ.) პირუტყვისაგან (მაგ., ცხვრისაგან, ძროხისაგან) ვადაზე აღრე მოგება ნაშიერისა. „არაფერი მოახეთერო მაგ ცხვარს, თუ არა მოაგდეზს და მერე უყარე კაკალი“ (ი. ქავთ.; ს. ჟღ.); მკედარი ან ცოცხალ-მკედარი პირუტყვის (ხბო, კეცი, ბატკანი, თიკანი) შობა დროზე ან ნაადრევად; მოგდეზული-მკედრად ან ცოცხალ-მკედრად შობილი (მ. ალავე., 2).

**მოგერისება** (ქართლ., ქსნის ხეობ.) ძროხის მიერ ხბოსათვის შენახული რძე. ძროხას ხბოს რომ მიაშორებენ და რძეს აღარ იძლევა, წინ ხბოს ტყავის გუდას დაუდებენ. როცა მას უყრებენ, ძროხა რძეს იძლევა. ამას მოგერისებას ეძახიან (ვ. სომხიშვი.); წველის დაწყების წინ ხბოს მიშვება, რომ ძროხამ რძე ჩამოუშვას და ხბოს მოშორების შემდეგ მეტი მოიწველოს (ვ. შატბერ., 73). შდრ.: ქეგლ.

**მოგერისე** (ქსნის ხეობ.) მესობლისაგან რძის სესხად წამომღები (ვ. სომხიშვი.).

**მოგვანთება** (მთაულ.) მომჯობინება; მოგვანთდება — მომჯობინდება, ავადმყოფობის შემდეგ მორჩება (ლ. კაიშ.).

**მოგზვნა** (ქიზიყ.) მოშანშვლა, მონაგვიანება; მოგზნილი — მონაგვიანებული. „შინ მივედი და სახლი დაულაგებელი, მოგზნილი დამგვდა“ (ს. მენთეშ.).

**მოგზაურა** (ხევისურ.) მრავალძარღვა, მცენარეა (ა. მაყ.).

**მოგლილი**-ი (ქსნის ხეობ.) სიმსივნეა, ფეხის გულზე უჩნდება ადამიანს (ვ. სომხიშვი.).

**მოგლილი**-ი (ქართლ.) ფესვებამდე მოძოვილი და ფეხით მოთელილი; მოცვეთილი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

**მოგლოთნა** (ფშ.) მოფერება, მოალერსება. „პატრონმა მოგლოთნა და თითო კიდევ აკოცა სველ ნესტობზე“ (ი. ქეშვი.).

**მოგოვცნა** (გურ.) საყანე ადგილში თოხით ბალახისა და წერილი ბუჩქების მოწმენდა. „ავი ადგილი თუ არ მიეგონა, ისე დახვნა არ მიეწყობა“ (გ. შარაშ.).

**მოგოიშნება** (ლენხ.) მოთვინიერება, მოშინაურება; მოგოიშნებული — მოთვინიერებული. „არ მეგონა, თუ ვინმე შეძლებდა მაგის მოგოიშნებას“ (მ. ალაფ., 2).

**მოგორდი**-ი (ლენხ.) მოგვერდი, იღვთი ქიდაობაში (მ. ალაფ., 3).

**მოგოხვა** (ქიზიყ.) ხილის თითქმის მთლიანად მოკრეფა, მკვახესაც რომ თან გააყოლებენ მწიფეს (ს. მენთეშ.).

**მოგრა** (გურ.) მოგვერა, მოყვანა; ქალის მოგრა ცოლის მოყვანა (ა. ლ.).

**მოგუღვა** (იმერ.) ღვინის ჩადუღება მტკიცედ დახშულ ქვევარში; ამაზე ამბობენ: მოგუღული ღვინოაო (ლ. ლექ., 71).

**მოგუღული**-ი ღვინო (ქართლ.) უქაპოდ დაყენებული ღვინო. ნ. მოგუღვა (კორიონი).

**მოგუღვა**-ა (თუშ.) მოხურვა (პ. ხუბ.). მოდაცვა (ლენხ.) კალის ზედაპირზე ბზის მოყრა, რათა მიწა არ დასკდეს (მ. ალაფ., 3).

**მოღვამ**-ი (ზ. აქარ.) მიწის დამუშავების წესია (შ. ნიქარ.).

**მოღვამ**-ი (ქართლ., ქიზიყ.) გუთნეულში შეამხანაგებული, გუთნეულის მონაწილე. ნ. მონდავე. „გუთნი დედას რა აცხონებს, რა შეიყვანს საყდარშია: კაი დარში თითონა ხნაეს, მოღვამს უხნაეს ავდარშია“ (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ს. მენთეშ.).

**მოღვენა** (იმერ.) ნ. დვენა.

**მოღველეშილი**-ი (გურ.) ახოვანი, კარგი შეხედულებისა, წარმოსადგეი, ტლანქიტანის ადამიანი (ს. ჟღ.).

**მოღვეფილი**-ი (იმერ.) უშნო, ტლანქი, მოუხეშავი. „ამ ქალს მოღვეფილი სახე აქვს“ (ვ. ბერ.).

**მოღვინარი**-ი (მთ. რაჭ.) მოცვი, მცენარეა (ა. მაყ.).

**მოღვლეშილი**-ი (გურ.) ნ. მოღველეშილი, ღუნდრუცი.

**მოღება**-ა (თუშ.) ანთება (პ. ხუბ.).

**მოღეველი**-ი ხე (ქიზიყ.) მოხრილი ხე, საუბევედ (ნ. იყენებენ (ს. მენთეშ.).

**მოღოშვილი**-ი (ლენხ.) სხეულზე მოშვებული ბალანი (მ. ალაფ., 1).

**მოღრუნცული**-ი (გურ.) ნ. ღუნდრუცი.

**მოღუღღნა, მოტუტუნა** (ლენხ.) მოთხუბნა, დასერა: მოღუღღული — მოთხუბნული. „ბოშს კამაში წვენიო სულ



მოუღუღღღნია პირისახე“ (მ. ალავე, 2).

**მოდულაი** (გურ.) გამოფიტული მიწა, მოუსავლიანი; მომოდულება გამოფიტვა მიწისა (კ. გვარ., 949; ს. ულ.); მომცდარი მიწა (ა. ლლ.; ი. მეგრ., 104).

**მოდღევება** (ქიზიყ.) მზე რომ კარგად წამოვა, ამოიწვევა, 10-11 საათი დღისა. „ზამთარში სანამ კარგა არ მოდღევედება, ცხვარი არ უნდა გამოუშვა ფარეხილამ“ (ს. მენთეშ.).

**მოდღლაშვა** (ზ. იმერ.). ნ. დღლაშვა.

**მოდღურულ-ი** (გურ.) მოთხუნული, პირსახემოსკრილი, დაუბანელი, „რადფერ მოდღურულია აი ბაღანაი, დაბანეთ პირი!“ (გ. შარაშ.).

**მოღელუ-ი** (იმერ.) გვალვაში მზისაგან ისე შეწითლებული ნაყოფი, რომ ერთი შეხედვით მწიფეს ჰგავს, მაგრამ გამოშრალი და უსიცოცხლოა (ი. ქავთ.).

**მოენე** (ქიზიყ.) ენის მცოდნე, თარჯიმანი: გაღატ. ენის მიმტანი (ს. მენთეშ.). შდრ.: დ. ჩუბ., ქეგლ.

**მოენია** (მთიულ.) ენატანია (ლ. კაიშ.).

**მოვი** (ქიზიყ., ქართლ., მოხ.) საპერანგე აბრეშუმის ქსოვილი (ს. მენთეშ.); მოვის პერანგი აბრეშუმის ქსოვილის პერანგი (ა. ყაზბ., II, შ. ძიძ.). შდრ.: დ. ჩუბ., ქეგლ.

**მოვანება ბოვზისა** (გურ.) მუცლის მოშლა ორსულისა (გ. შარაშ.).

**მოვნე** (მოხ.) ეშმაკი, მატყუარა, მავნე, ავი სული (ო. ქაჯ.).

**მოვნებულ-ი** (რაჭ.) მოგდებული (ვ. ბერ.).

**მოვნებულ-ი ქათამ-ი** (ლენჩ.) კვერცხით სავსე ქათამი, კვერცხის დებას რომ მალე დაიწყებს (დიალექტ., 677). შდრ.: ქეგლ.

**მოზ-ი** (აჭარ.) ერთი წლის შემდეგ პირველგამოზამთრებული ხბო (შ. ნიყარ.).

**მოზევა** (ზ. იმერ.) მოწევა (ბ. წერეთ.).

**მოზვიწვა** (გურ.) მიწის იატაკიანი სახლის მოსწორება მიწით, მომიწნა (ნ.) (ა. ლლ., გურ.).

**მოზვრი კუდე** (ლენჩ.) ცოცხნა, ცოცხობა, 24. ალ. დღონტი, სიტყვის კონა.

მცენარეა. ნ. ცოცხმაგარა (ა. მაყ.).

**მოზრუგვა** (გურ.) მოზურგვა: დიდი ტვირთის წიდება ან გატანება (გ. შარაშ.).

**მოზუუტუტრებება** (გურ.) ზურგზე წამოკიდება. ნ. ზუუტუტური, მოკოტრება (გ. შარაშ.; ა. ლლ., გურ.).

**მოზუნჯლა** (ქიზიყ.) დასველება წყლის შეხედვით ან წვიმით (ა. მენთეშ.).

**მოთავთა** (ქიზიყ.) ყანის ზეგ-ზევით მომკა, მარტო თავთავის მომკა (ს. მენთეშ.).

**მოთავისე** (ქიზიყ.) ეგოისტი, თავისკენ რომ მიითლის (ს. მენთეშ.).

**მოთავკუდება** (გურ.) საქმისათვის თავისა და ბოლოს მოვლა, საქმის მოგვარება. „მოვკათავკუდე საქმეო“ (ე. ნინ., II, თ. კიკვ.).

**მოთალ-ი** (ფშ.) გუდის ყველია ერთგვარი, დაფხვნილი (ვაჟა, IV, ა. შან.). შდრ.: დ. ჩუბ., ქეგლ. აზერბ., თურქ. motal.

**მოთან-ი** (გურ.) ბოდიში, მობოდიშებქ (ა. ლლ.).

**მოთანის თქმა** (გურ., იმერ.) თავმდაბლად თქმა, მორჩილების სიტყვის თქმა, ანუ თანხმობის განცხადება. სხვისი აზრისა და გვარ ლაპარაკი. „მოთანს ეუბნება, ეგებ რამეს ჩამოვრჩეო“ (ი. კყონ.).

**მოთარა** (მთიულ., გულამაყრ.) ხელთ იგდო, აიღო (ე. ვირსალ.).

**მოთათარახება** (გურ.). ნ. თათარახი.

**მოთანჯულ-ი** (ლენჩ.) მინდვრის მდოგვი, მცენარეა (ა. მაყ.).

**მოთალრე** (გურ., ზ. აჭარ.) მოსახლდრეყ ყანის მოსახლდრეყ; „ნიყოფე ჩემი: მოთალრეა“. ნ. თალარა (გ. შარაშ; შ. ნიყარ.).

**მოთეთქვა** (გურ.) ცემა, გალახვა (ა. ლლ.).

**მოთემბვლა** (გურ.) ტკბილი სიტყვით მოტყუება, მოთაფლვა. „იმისანა-იმისანა მითხრა, რომ მომთებლა კაცი“ (გ. შარაშ.).

**მოთენთიანებულ-ი** (ქართლ.) მონავიანებული (მ. მესხ.).

**მოთუშა** (გურ.) მოშორება. „დარდობდა ნიკოს სწავლაზე მოთუშას“ (ე. ნინ., I, თ. კიკე.).

**მოთუთქვა** (ლექს.) წყალში აზელილი ნაცრის მოყრა ნაკვერცხლის გარშემო თორნეში დიდი ცეცხლის ჩასანელებლად (დიალექტ., 677).

**მოთურთქვლა** (გურ.). 1. უხეიროდ და ნაჩქარევად გამოცხობა რისამე ან შეწვა; მოთურთქლული ნაჩქარევად გამოცხვარი ან შემწვარი. „რას გავს აი ჰადი, რაფერი მოთურთქლულია!“ 2. სატყეგე წნელის ცხელ ნაცარში შედება, რომ მოქნილობა ჰქონდეს (გ. შარაშ.).

**მოთქომი** (ფშ.) ავტორი, მთქმელი. ნ. მათქომი (ვაჟა, IV, ა. შან.).

**მოთხვა-ა** (თუშ.) გაკობიტება, შავად გათლა (თ. უთურგ.).

**მოი** (გურ.) მოდი; მოი აქ მოდი აქ (ი. კუონ.).

**მოიმაზი** (იმერ.) ფეხმოჩორთილი. ნ. მაიმაზი (გ. ბერ.); მოიმაზე (გურ.) ფეხმრდღე, შიგნით ფეხშეკეპული საქონელი (ლ. ლეონ.).

**მოის** (რაჭ.) აქეთ, აქეთ მოსვლისას (დიალექტ., 686).

**მოისარობა** (გურ.) ძველებური ხალხური დღესასწაული. ამ დღეს ბავშვებს სათითაოდ შეულოცავდნენ, სუფთა წყლით დასველებული ჩვრით მოუწმენდნენ თვალებს და ეტყოდნენ: „ხატო მოისარისაო, ამის თვალს ააცილე ყველანაირი ავადმყოფობა: ფარჩხი, ფურჩხი, ნალი, ლურსმანი“ და სხვ. (გ. შარაშ.).

**მოისე-ა** (თუშ.) მომავალი (პ. ხუბ.).

**მოიფნიე** (ლექს.) იფნურა, მცენარეა (ა. მაყ.).

**მოიშეი** (ქიზიყ.) ნ. გაიში

**მოაში** (ოკრიბ.) ხვნის დროს უღელში შებმულ ხარს შესძახებენ, რომ შემობრუნდეს, სხვა მიმართულებით წავიდეს. ნ. იში (მ. ალავე.).

**მოკავშული** (მთიულ.) მოგრებილი, მოლუნული (ლ. კაიშ.).

**მოკანებულ-ი** (მთიულ.) ოღნავ ზემოდან გამომცხვარი (ლ. კაიშ.).

**მოკამკამება** (გურ.) მოწმენდა, ღრუბლების გადაყრა; მოკამკამებულ-ი ნათელი, მოწმენდილი ცა. „მოკამკამებულ ცაზე“. ნ. იაკობა (ე. ნინ., I, თ. კიკე.).

**მოკანწული** (გურ.) ნახევრად მოხარშული. „ჩერე დიდხანს უნდა იდუღოს, მოკანწულიც არ არის“ (გ. შარაშ.).

**მოკანწვა** (რაჭ., ლექს.) ღვინის დაძმარება (მ. ჩიქ.); ღვინის ცოტათი შეძმარება ნ. ჰანკი (გ. ბერ.).

**მოკანძღვა-ა** (თუშ.) წნილად ჩასადები ბოსტნეულის მღულარე წყალში ცოტა ხნით ჩადება, მოწალვა, მოთუთქვა (პ. ხუბ.).

**მოკაჟვა** (რაჭ.) მოკოხვა (ნ.) კევრისა (ქეგლ).

**მოკარკარება** (ქიზიყ.) მოსუფთავება; გადატა. გათავება, გაცლა (ს. მენთეშ.).

**მოკარკაცება** (ქართლ.) ავღრების შემდეგ ცა რომ მოიწმინდება, იტყვიან: ცამ მოკარკაცაო, ცა მოკარკაცებულაო (გ. შატბერ., 74).

**მოკასრიელება** (იმერ.) მილაგ-მოლაგება. საქმის მიხედვა. „ცოტას მოვიკასრიელებ შინ და ქე დავბრუნდები ისევ ქალაქს“ (გ. ბერ.).

**მოკაული** (ფშ.) კავსავით მოხრილი (ვაჟა, II, ა. შან.).

**მოკაცრიელება** (ქიზიყ.) გაუკაცრიელება; გათავება, მოსპობა რისამე (ს. მენთეშ.).

**მოკაწვა** (ლექს.) პურის ზედაპირის დაწვა, ცეცხლით მოტაცება, მოწვა (დიალექტ., 677).

**მოკაჭუნება** (ლექს.) მოკატუნება. „თავის მოკაჭუნება გვიან იყო“ (მ. ალავე, 3).

**მოკეკვა** (გურ.) წისქვილის ქვების გადაღეული ხორკლების აღდგენა საგანგებო იარაღ-წალკატით. ნ. მოკოდვა (გ. შარაშ.).

მოკელტვა (იმერ.) შაბით, ძმრით ან მარილით მორეცხვა რისამე ზედაპირისა დეზინფექციისათვის (ი. ქავთ.).

მოკენჭული-ი, მოკენილი-ი (გურ.) გზატკეცილი (გ. შარაშ.).

მოკერძე (ზ. იმერ.) კერძის მონაწილე (ბ. წერეთ.).

მოკვამლე (მესხ.) კომლი, ოჯახი (დიალექტ., 652).

მოკვანტილი-ი (კახ.) მოხრილი, მოკაყული (ა. მარტ., გ. იმნ.); მოკუზული (შ. ძიმ., ქრისტ.).

მოკვერ-ი (ფშ., გუდამაყრ.) ბოკვერი, დათვის ბელი (ი. ქეშიკ.; დიალექტ., 573).

მოკვერვა (იმერ.). 1. კვერით (ჩაქუჩით) მოღუნვა, მოხრა ლურსმნის თავისა; 2. მრგვლად დახვევა, თავ-ბოლოს შეერთება. „ძალი წინქარში იწვა, საცოდავად მოკვერილიყო“; 3. გაჭირვებით დაწოლა (უადგილობის გამო), მოკუნტვა, მოკრუნჩხვა. „არ დევძეფ, არა, არ მინდა საწოლი, აგერ მე ვიკვერები მეც ჩემ ბოგშვთან“ (ი. ქავთ.).

მოკვიდრე (იმერ.) მემკვიდრე (დიალექტ., 671).

მოკვიტლა (ქართლ.) მოჯადოება (კირიონი).

მოკვირვება (ოკრიბ.) მიხედვა, პატრონობა. „საქონელი მოვიკვირვებ“ (მ. ალაფ.).

მოკვიტილი-ი (ლეჩხ.) პატარა და მოკლე ცხვირისა და ნიკაპზე იტყვიან (მ. ალაფ., 2).

მოკვლევა (ფშ.) მეკვლედ მოსვლა (ი. ქეშიკ.).

მოკიდევა-ა (ინგილ.) დაწყება (დიალექტ., 620).

მოკივარი-ი (ლეჩხ.) ტირილში კვილისათვის გამოყოფილი ქალი. „მოზარეებთან იყვენ ორპირი მოკივარი ქალები“ (მ. ჩიქ.).

მოკითხული-ი (გურ., იმერ.) ძღვნად მართმეული (ა. ღლ., გურ.).

მოკილვა (ქსნის ხეობ.) ვალეწილი ყანის გაბზევება (ე. სომხიშვი.).

მოკინკილება (ფშ.) ჩაყ-ჩაყით, ხტუნვა-ხტუნვით სვლა. „მოკინკილება ცხენასა“ (ი. ქეშიკ.).

მოკითალება (იმერ.) ზურგზე მოკიდება. ნ. მოხუცუტურიება (ი. ქავთ.).

მოკმეჭა (ხევსურ.) მოკმეჩა (დიალექტ., 555).

მოკოდვა (ქართლ., ქიზიყ., ხევსურ.) წისქვილის ქვის გადალესილი ზედაპირის გახორკლიანება რკინის იარაღით (დიალექტ., 640); ქვის გათლა ხორხოსე-ლად, ხაოიანად (ს. მენტემ.); ქვის ისე გათლა, რომ ხაოიანი ზედაპირი ჰქონდეს (დიალექტ., 607); წისქვილის ქვის პირის მოკორტნა რკინის ჩაქუჩით, რომელსაც საკოდელა (ნ.) ეწოდება. ნ. მოკეკვა (ა. კინჭარ., 210).

მოკოდლი-ი გული-ი (ქიზიყ.) ხიხინა, არატის სმისავან მოკვეთილი გული (ს. მენტემ.).

მოკოცება (იმერ.) ნივთების თავმოყრა და ერთად დალაგება, დაწყობა (მ. ჯაფან., X).

მოკოცვა (გურ.) ქალამნის ამოსხმა ნაოქებით. ნ. კოპი, კოპური (გ. შარაშ.).

მოკოპილი-ი (გურ.) თავმოკუბნული ქალამანი (ს. ჯლ.).

მოკოტვა<sup>1</sup> (ლეჩხ.). 1. მოფხაქნა, დაყარვა; 2. სწრაფად გაქცევა, გაპარვა ჩხუბიდან (მ. ჩიქ.).

მოკოტვა<sup>2</sup> (ზ. აპარ.) სიმიწდის მიერ ტაროს გამოღება; მოკოტვილი-ი ტაროგამოღებულ, ტაროში შესული სიმიწდი (შ. ნიქარ.).

მოკოტოშვა (ქიზიყ.) წურბლის მოკიდების შემდეგ სისხლის გამოდენინება (ს. მენტემ.).

მოკოტრება (ლეჩხ.) ზურგზე წამოკიდება (მ. ჩიქ.); ადამიანის ტარება ზურგით. „პატარაობაზე კურტანვით მოკოტრებულ დამყავდა“. ნ. მოხუცუტურიება (მ. ალაფ., 1).

მოკოფსიალება (იმერ.) იგივე მოკითალება (ნ.) „ჩემო ყანის მოზიარე, ზურგზე მოგეკოფსიალე“ (ი. ქავთ.). მოკოცვა (ქიზიყ., ქსნის ხეობ.) კვერში



- კობის (ნ.) ჩასხმა (ს. მენტეშ.); კალოს ძირზე ქვების დასხმა (ვ. სომხიშვი.).
- მოკრუტვა** (ფშ.) მოხუტვა თვალისა. „კატამ... თვალეზი მოკრუტა“ (ი. ქეშიყ.).
- მოკტი-მორჩიე** (გურ.) მოკვდი-მორჩი, კაცი, რომელიც ხშირად მძიმე ავადმყოფია და ისევ სძლევს ხოლმე სწეულებას (გ. შარაშ.).
- მოკუდო** (ქსნის ხეობ.) ბალახეული მცენარეა ერთგვარი (ვ. სომხიშვი.).
- მოკუდრუტუნებულ-ი** (ზ. იმერ.) მოკლე. „იმისთანა მოკუდრუტუნებულ-ი კაბა ეცვა, მუხლებს ძლივს უფარავდა“ (ბ. წერეთ.).
- მოკუყვა** (იმერ.) მოკუხვა, წელში მოხრა, მოღუნვა (ვ. ბერ.).
- მოკუყვა** (აქარ.) ნ. მოკუყვა.
- მოკუყვალუ-ი** (გურ.) მოკუტულა, მორკალული, მოკურნებული, მორკალეით დაწოლილი (ვ. შარაშ.).
- მოკუენცხულ-ი** (გურ.) მორკალული, მოხრილი, მოღუნული. „ერ ჩინონიკს მოკუენცხულსა სამი ცხენი მისენ ჭელში“. ნ. კუენცხულიე (ა. ლა. გურ.).
- მოკუენვილ-ი** (მთიულ.) დაქმუნნილი (ლ. კაიშ.).
- მოკუშვა** (ქიზიყ.) სახის დამანევა, სატირლად მომზადება (ს. მენტეშ.).
- მოკურკუშება, ღაკურკუშება, მოკურკუშვა** (გურ.) მოკუშვა, მოგუნდაება. ნ. კურკუტაი (გ. შარაშ.).
- მოკურენცხულ-ი** (გურ.) წელში მოხრილი, მოკაკული, მოკუენცხული. ნ. მოკუენცხული, კუენცხულიე (გ. შარაშ.).
- მოკუტურიება** (გურ.). ნ. მოხუტურიება, ზუტური, კუტალიება.
- მოკუფულ-ი** (მოხ.) სანახევროდ მოხუტული, შევიწროებული (ა. ყაზბ., II, შ. შაძ.).
- მოკუჟულ-ი** (კახ.) მომუტული (ა. მარტ., გ. იმნ.).
- მოლა** (ქიზიყ.) ერთად შეკრული ტილოები ქვევრის გაქონვისას ქონის მისასმელ-მოსასმელად (ს. მენტეშ.).
- მოლაღვა** (ქართლ.) მორეცვა, მოღენა; წალღვა გაღენა, წასხმა (დიალექტ., 640).
- მოლანგვა** (ქართლ.) ტალახში ამოსვრა (შ. შიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).
- მოლანცვა** (გურ.) რაიმე ნივთის ცეცხლის ალზე შებოღვა. ნ. ლანცვა (ს. ჟღ.; ა. ლა., გურ.).
- მოლღევა** (ფშ.) მოსპობა, დაბოცვა. „შვიდი ფური ჰყად დაწყეულსა, შვიდივამც კლღეზე მაღღევა“ (ი. ქეშიყ.).
- მოლენგვილ-ი** (მთიულ.) მოთხუპნული (ლ. კაიშ.).
- მოლენგვრა** (გურ.) ნაყოფის დაუზოგავად ჩამოყრა ლენგვრის (დიდა ჭობის) ტყორცნით (გ. შარაშ.).
- მოლენჩქურება** (გურ.). ნ. ლენჩქური.
- მოლინყუებულ-ი** (თუშ.). 1. დარბილებული; 2. მოშვებული, მოღუნებული (თ. უთურგ.).
- მოლენქობელ-ი** (თუშ.) ლექსის გამომთქმელი (თ. უთურგ.).
- მოლიარ-ი** (გურ.) ნაყანება, მოლიანი. „ყანიები ეიღება და გაღენის კაცი ღორს მოლიარში“ (პ. ჯაჭან.).
- მოლინყუვა** (ქიზიყ.) მიწის ზედაპირის 3-5 სმ დასველება და იტალახება (ს. მენტეშ.).
- მოლისცოცხა** (რაქ.) ცხენისკულა, მცენარეა. ნ. ვირიყულა, ტოღირა, ჭორის კულე (ა. მაყ.).
- მოლოდინა** (ქიზიყ.) გვიან შემოსასვლელი ყურბენი (ს. მენტეშ.).
- მოლოპარა** (ქართლ.) ხის კანის გაძრობა, მოტკვება (კირიონი).
- მოლოპარა** (გურ.) სორცის, ტკბილისა და მისთ. ხარშვის ღრის ქაფის მოხდა. ნ. ლოპრვა (ა. ლა.).
- მოლოფორთხებულ-ი** (ქართლ.) მოშვებული, უშნო, ულაზათო ადამიანი. ნ. ზამპაპო (გ. შატბერ., 75).
- მოლოქ-ი, მოლოქა** (რაქ. ლეჩხ., იმერ., გურ., ზ. აქარ.) მხალეული მცენარეა (ა. მაყ.; ს. ჟღ.; შ. ნიეარ.).

**მოლოქა** (გურ.) ნ. მოლოქი.  
**მოლოქურა** (ლენხ.) ქატი, ფოხვერა, მცენარეა. ნ. დათვიმოლოქი (ა. მაყ.).  
**მოლოქურდ** (ლენხ.) მოლოქა (ნ.), ბალახია (მ. ჩიქ.).  
**მოლურწუტება** (აქარ.) მოწმენდა, მოსუფთაეება, გაკრიალება (შ. ნიყარ.).  
**მომ-ი, მუმ-ი** (იმერს.) სანთელი, ცვილი (დიალექტ., 654).  
**მომანჯანიე** (ქიზიყ.) მემანჯანიე, აბრეშუმის ამოშვევი (ს. მენთეშ.).  
**მომართვა** (ფშ.) მოსევა. „ეს რა მგლებივით მომართეთ და შეკმა დამიპირეთო“ (ი. ქეშვი.).  
**მომარჯეება** (მთიულ., გუდამაყრ.) ახლოს მისვლა; მომარჯვდა ახლოს მივიდა (ე. ვირსალ.).  
**მომასმასება** (ლენხ.) კარგად გალესვა; მომასმასებულნი კარგად გალესილი. „ნამვალი ძან მოუმასმასებია, ხელის გამოდებაც არ უნდა, ისე ჭრის“ (მ. ალავ., 1).  
**მომაცება** (მესხ.) ხბოს მოწოვება მცირე ხნით მოწველამდე. ნ. მომოყება („კომუნისტა“, № 157, 1968).  
**მომგე** (კახ.) ნ. მგე.  
**მოშველევა** (ფშ.) მოხეთქა ადგილისა, ჩამოშვეეება (თ. რაზიკ., „ივერია“, № 133, 1900; ი. ჭყონ.).  
**მომთვარვა** (გურ.) ბავშვის ავადმყოფობა; დაბნედა მალული ტემპერატურის ან სხვა მიზეზით (გ. შარაშ.).  
**მომიათ** (გურ.) მუმიად. „საცხაიდან გამჟარდა უშველებელი ძაღლი, ეტეკა ბიკს და ქე წართუა მომიათ ნაშონი ბეკი“. მომიათ შენახვა საკვლადგულოდ შენახვა (ა. ლ., გურ.).  
**მომიის ფას-ი** (გურ.) მუმისის ფასი, წარმოუდგენლად ძვირი (ი. ჭყონ.).  
**მომიწვა** (გურ.) მიწის იატაკიანი სამზარეულო სახლის იატაკის მოსწორება, მოტყეპნა (ა. ლ.).  
**მომკვლელეზული** (იმერ.) ვინმესთან ძლიერ შეჩვეული, ძალიან დაახლოე-

ბული და შეგუებული, რომ ვერ თმობს (დიალექტ., 671).  
**მომლაშება** (ქიზიყ.) საქონლის გარეკვა და მარილის მოლოკვინება. „წელიწადში ერთხელ ყველთვინ მაამლაშებენ საქონელს“ (ს. მენთეშ., დამ.).  
**მომოდულებული**-ი მიწა (გურ.) გამოფიტული, მოყანებული მიწა. ნ. მოდულა (პ. ჯაჯან.).  
**მომონათება** (ქართლ.) მობოდიშება (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).  
**მომოცება** (გურ.) ხბოს მიშვევა მოსაწოვებლად, რომ წველა გაადვილდეს. „მუამოცე, ცავ, კილო!“ ნ. მოცნა (გ. შარაშ.; ს. ელ.).  
**მომუდავანება** (ქიზიყ.) სახელდახელოდ საქმის გაკეთება; ძლივსძლივობით საქმის გამოწყობა (ს. მენთეშ.).  
**მომრე** (იმერ.) ხშირი, სქელი სიმინდი (ვ. ბერ.).  
**მომხილი**-ი (იმერ.) მოვსებელი, კვრაცხებით სავსე, დაკვრაცხილი ქათამი, ბატი (ი. ქავთ.).  
**მომურდლულობა** (ფშ.) მოსვრა, გაბინძურება (ი. ქეშვი.).  
**მომუშტავე** (ფშ.) მუშტით მცემელი (ვაჟა, 1, 1946, ა. შან.).  
**მომუჭული**-ი (გურ.) ძეღვი, მძლავე, საჭმლის ცუდი გემო, რაც სანელებლისაგანა გამოწვეული (გ. შარაშ.).  
**მომურალე** (ლენხ.) უჯანგარი, მცენარეა. ნ. მაძლარა (ა. მაყ.).  
**მომშვარული**-ი (გურ.) ტანში მოშვებული, მოდუნებული (გ. შარაშ.).  
**მომჩივანი**-ი (გურ.) ყანურ სიმღერაში (ნ.) ლექსის მოქმელი. ნ. საჩივარი (ა. წულ., 17).  
**მომცე**-ი (ლენხ.) ნ. მაილა.  
**მომცველება** (ლენხ.) აკლება, დარბევა, დაპატრონება (მ. ალავ., 1).  
**მომცვრევა** (ქართლ.) მომცვევა, რთვლის შემდეგ დარჩენილი მტენებისა და მარცვლების კრეფა (კირიონი; შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

**მომცხარო** (ლექს.) ტყის ყურძენი (მ. ჩიქ.).

**მომძახილებელი**-ი (ზ. იმერ.) მოძახილი (ნ.) სიმღერაში; მეორე სიმი ჩონგური-სა (ბ. წერეთ.).

**მომძიძარ**-ი (ქართლ.) საყუთარი ან მოყვასის უბედურებით გულდამძიმებული, დამწუხრებული, მწუხარე (გ. შატბერ., 75).

**მომძემელ**-ი (ლექს.) პირუტყვი, რომელიც მაღინად ჭამს. ნ. კაიმომძემელი (მ. ალავე, 2).

**მომჭერა**-ა (თუშ.) განმსჯელი, გადამწყვეტი (თ. უთურგ.).

**მომხევა** (იმერ.) ჭამის ნდობა, მადის გახსნა. „მე ვ მ ხ ი ე თ, თქვენი ჭირიმე, შუამეთ!“ ს ა მ ხ ე ვ ი იმისთანა საუბერი, რომელსაც მაძლარიც კი ჭამს (ვ. ბერ.).

**მომხეული**-ი (იმერ., გურ.) მოშივებული, მომშეული (ი. ჭყონ.).

**მომხმო** (ქიზიყ.) მომსხო (ს. მენთეშ.).

**მომჭლარი**-ი (თუშ.) მოხდენილი, ლამაზი, შროიანი (თ. უთურგ.).

**მომჭობა** (ქიზიყ.) მოკლება, დაკლება, გამოკლება (ს. მენთეშ.).

**მონა**, **მონა-ა** (ხევსურ., ფშ., თუშ.) ცუდი; მონა არ დაგცემს ცხვირს ან ცუდი საქმე არ მოგივიათ (ა. შან.); ცუდი; მონა თვალი-ცუდი, ავი თვალი (თ. უთურგ.; დიალექტ. 583).

**მონავარი**-ი (ლექს., რაქ.) შთამომავლობა; ცოლ-შვილი, ქმარ-შვილი, შვილიშვილები (მ. ალავე, ზეპირსიტყვე.; დიალექტ., 686).

**მონაგერება** (გურ.) ყანის ადების ან ხილის მოკრეფის შემდეგ დარჩენილი ქირანახულის ან ხილის ნარჩენების მოძებნა-მოგროვება. „ახლა სიძინდი მინდა მთუ ანაგერო ყანაში“. შღრ.: ნაგერალი (გ. შარაშ.).

**მონავარამება** (იმერ.) პირუტყვთა და ფრინველთა მოშენება (ვ. ბერ.).

**მონადგარი**-ი (ლექს.) მონაგარი (ნ.), ჩა-

მომავალი, შთამომავლობა (მ. ალავე, 1).

**მონადებ**-ი (ლექს.) მიწიდან ანაყოლი, ცრუმორწმუნოებრივი (მ. ჩიქ.).

**მონადირისმსხალა** (ფშ.). ნ. ყოვიპწყალა-**მონაკერება** (იმერ.) მომკის შემდეგ დარჩენილი პურის თავთავის მოგროვება. ნ. მონაგერება (ვ. ბერ.).

**მონაკილე** (ოკრიბ.), წარმოქმნილია ნაკილ (ნ.) სიტყვისაგან, მოსახლვრც (მ. ალავე).

**მონალბა** (აქარ.) მოლანდება (ი. მეგრ.).  
**მონამგლე** (თუშ.) მეზობელი (ს. მაკალ.); ამხანაგი მეცხვარეობაში (პ. ხუბ.).

**მონარევი**-ი (მთიულ.) შეამხანაგებულ მწყემსი (ლ. კაიშ.).

**მონარევა** (იმერ.) სავეს ქვევრიდან ღვინის ფრთხილად ამოღება, რომ კურკებო და ბრკე არ შეჰყვეს (ი. ქავთ.).

**მონაქაჩ**-ი (ქართლ.) ნადული (მ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

**მონაქნევი**-ი (გურ.) გადატ. მიხვრა-მოხვრა, ეშხი. „კაი მონაქნევი აქეს ამ ქალს“ (გ. შარაშ.).

**მონაყვა** (გურ.) გაფუჭება, შავ, ღვინისა, გემოსა და არომატის დაკარგვა (ა. ლ.).

**მონაწევე** (ფშ.) ვინც საჩუქარს აძლევს ქორწილში ნეფე-დედოფალს (ი. ქეშიყ.).

**მონაძუა** (რაქ., ლექს., იმერ.) შვიტა, მცენარეა. ნ. ვირიძუა (ა. მაყ.).

**მონახარშე** (ქართლ.) მოლაპარაკე, მოსაუბრე (ლ. ნოზ.).

**მონახშება** (რაქ.) მოლაპარაკება; მოინახშეს მოილაპარაკეს (დიალექტ. 686).

**მონაქლენ**-ი (მთიულ.) მხაგავი, პირწავარდნილი. „თავისი დედის მონაქლენია“ (ლ. კაიშ.).

**მონდავი**-ი (გუდამაყარ., მთიულ., ფშ.) გუთნეულში შეამხანაგებულ, გუთნეულში შემავალი ხარ-კამეჩის ერთ-ერთი პატრონთაგანი (დიალექტ., 573); ის პირი, საზიარო გუთანი რომ უბია; მონდავებ-ი გუთნის მოზიარეები („ყო-



მუნისტი“, № 190, 1967); მეზობლები, რომლებიც მამულს შეამახანაგებულნი ხნავენ (ლ. კაიშ.; ი. ქეშიკ.).

✓ **მონღაღი** (თუშ.) ძმათა ცოლები ერთ-მანეთის მიმართ; იტყვიან შეუღლებულ ხარებზედაც — მონღაღები არიანო (პ. ხუბ.).

**მონღაღე** (ქიზიყ.). ნ. მოღაღი.

**მონღეხწყალეზა** (ზ. აქარ.) გახსნილ-ნაყელიანი წყლის მიშვებით საყანე მიწის განოყიერება (მ. ნიჟარ.).

**მონთქმა** (გურ.) შესუნთქვა; ერთი მონთქმა ერთ შესუნთქვაზე რომ წყალს გადაყლაბავ. „ერი მონთქმა წყალი თელ ქვეყნათ მიღირდა, მარა სად იყო!“ (გ. შარაშ.).

**მონიაზე** (ფშ.) მოიბედე, მოწადინე (ვაჟა, IV, ა. შან.).

**მონოშვილი** (გურ.) უსუფთაოდ მიყრილ-მოყრილი, ნოშოთი დაფარული ადგილი (გ. შარაშ.).

**მონუილი** (კახ.) ლასლასი (პ. ხუბ., ანგარაში).

**მონცრევა** (ლენჩხ.): მარლიის მონცრევა მომცრევა, ცოტას მოყრა (დიალექტ., 678).

**მონწაღვა** (გურ.) ხორცის, ბოსტნეულის თუ სხვა საყვების მღულარე წყალში ჩადება მცირე ხნით და ამოღება (ა. ლ.).

**მონჯიხვა** (იმერ.) ავი ზნე (ვ. ბერ.).

**მოომი** (გურ.) ხარისათვის დახმობა, დაძახება (ა. ლ.).

**მოორწვრილი** (ქიზიყ.) თოკი ან ბაწარი ორად მოკეცილი ისე, რომ ორივე წვერი ერთმანეთს მისდევდეს (ს. მენთეშ.).

**მოოქება** (რაკ.) გათხლებული ცომის ნაპირების შუაგულში თავმოყრა და შეკვრა, ცომისათვის თავის მოჭუპნა (დიალექტ., 686).

**მოპაპყვა** (ქართლ.): მოპაპყამ-ს ცოტას მოთოვს, მოფიქტავს (მ. მესხ.).

**მოპელიატებულ-ი** (ლენჩხ.) განადგურებული, გაპარტახებული (მ. ალავე, 1).

**მოპელღვა** (გურ.) აჭრელება, აფერადება, ზეპელასავით აჭრელება (ა. ლ.).

**მოპერვა** (ფშ.) ზეზეურად მომკა. „ბიჭი უნდა ბიჭობდეს, ყანა მალღა მოპეროსა“ (ი. ქეშიკ.).

**მოპეტმეზება** (გურ.). ნ. მოპიშმეტება.

**მოპიშმეტება** (გურ.) ქაფისაგან გაწმენდა ტბილისა დუღილის დროს (გ. შარაშ.). თურქ. pekmez.

**მოპილტვა გულისა** (იმერ.) მოყირკება, მოსუყება, მსუყე საჭმლით ერთბაშად გაძლომა, გულზე დაწოლა და მადის დაკარგვა (ი. ქავთ.).

**მოპირვა** (ლენჩხ., გურ.) სამუშაო იარაღის (თოხის, წალდის, სახნისის...) დაფოლაღება (მ. ჩიქ.; ა. ლ., გურ.).

**მოპირვა** (ლენჩხ., იმერ., გურ.) გაძლომა, დაპურება (მ. ჩიქ.); გაძლომა. „რამდენი ვკამეთ და მაინც ვერ მოვკორეთ“ (ი. ქავთ.; ა. ჯაფარ.); პირამდის გაძლომა. „მავას, ბატონო, რა მოკორავს, ვერ ხედავ, რამხელაა!“ (მ. ქ., თ. სისარულიძეები, გოგოღიან უბანი).

**მოპირკლებულ-ი თივა** (მთიულ.) საგულეზღზე მიტანილი თივა (ლ. კაიშ.).

**მოპიტღლა** (რაკ.) საკაღე მოეღდნის მოსწორება, მოპირკეთება („კომუნისტი“, № 190, 1967).

**მოპიტმეზება** (გურ.). ნ. მოპიშმეტება.

**მოპიტნაო** (რაკ.) ჰარღლა (ა. მაყ.).

**მოპურო** (ქსნის ხეობ.) მცენარეა ერთგვარი (ვ. სომხიშვ.).

**მოჟამება** (ქიზიყ., ინგილ.) მომწიფება, ხანში შესვლა, დაბერება; მოჟამებული მომწიფებული, დაბერებული (ს. მენთეშ.; მ. ჯან.).

**მოჟარვა** (იმერ.) სიცოცხისაგან ან სიცოცხისაგან დაღევა-დაწვა ნაყოფისა (ხილისა, ბოსტნეულისა), ნაღრეღად დაჰკნობა (ი. ქავთ.).

**მოჟენღვა** (ზ. იმერ.) ნეღლი წნელის დაგრეხა, თავის დაჩეჩქვა, დაძენღვა (ბ. წერეთ.); ნეღლი წნელის დაგრეხა, ღვღერჰად ქეღვა (ი. ქავთ.).

**მოჟეღვარა** (ზ. იმერ.) ქაფის მოხღა. ნ. ჟეღვი, ჟეღვი (ბ. წერეთ.).

**მოქინებულნი**-ი (ქართლ.): მოქინებულნი-ი წვიმა ხშირი, გაბმული წვიმა (თ. სალარ., ალგ., 84).

**მოქმე** (ქიზიყ.) მოქამე, დროის შემრჩევი; ქირის მომცემი, სენის შემყრელი, მტერი (ს. მენტემ.).

**მოქმარება** (ქართლ.) მოვლა, მოხედვა საქმისა. „აბა, შენ იცი, როგორ მოაქმარებ ამ საქმესა“; მოქმეში-არებელი-ი მოუვლელი, გაუკეთებელი. მოურაჯულბელ, გათუწორებელ აღამიანზეც იტყვიან (გ. შატბერ., 77).

**მოქრობა** (გურ.) ნელი დულილით მომზადება ნადულისა; გამომჭრალი-დიდი ხნის მოსაწყენი საქმიანობით ნაკეთები; გამოაქრო დარი იტყვიან, როცა ხანგრძლივი მერყეობის შემდეგ გამოიდარებს (გ. შარაშ.; ს. უღ.).

**მოქუნტლვა** (გურ.). ნ. ქუნტალაი.

**მორადნი** (რაჭ., ქვ. იმერ.) მოროდი, სიმინდის მეორედ გათოხნა (ვ. ბერ.; ზ. კუმბურ., 280).

**მორბელი**-ი (ქართლ., კახ., ზ. აპარ.) მორბენალი, მსახური, შიკრიკი, მცენე (ა. ღლ., ქართლ., 287); საქმეში ყოჩალი, მალი, ჩქარი, მუყაითი (ა. მარტ., გ. იმნ.); საოჯახო საქმეების შემსრულებელი მოსამსახურე ბიჭი (მ. ნიყარ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**მორგენა** (ქიზიყ.) სამაგიეროს მიგება, ნაცვლის გება, მოცემა. ანდაზა: „რაც გინდოდებ სხვითინაო, მე გერგინოა თქმითინაო“ (ს. მენტემ.).

**მორგვი**-ი (ქიზიყ., ქსნის ხეობ., რაჭ., გურ.) ურმის თვლის კუნძი, რომელშიც ღერძის თავია გაყრილი და სოლებია დამაგრებული (დიალექტ., 607); ურმის თვლის შუაქუნძი (გ. სომხიშვი.); ურმის ნაწილია (მ. ძიძ., 210; ა. ღლ., გურ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**მორგვი**-ი<sup>2</sup> (ქსნის ხეობ., ზ. იმერ.) კურკულის გასაყეთებელი იარაღია, კუნძის მსგავსი (გ. სომხიშვი.); კურკულის გასა-

ყეთებელი ხელსაწყოა: მრგვალი სუფთა ფიცარია, რომელიც ტრიალებს ხის ფეხზე. მასზე გამოყავთ კურკულის ძრო და მასხედვე ასწორ-ალამაზებენ კურკულს (ბ. წერეთ.).

**მორება** (ლენხ., გურ.) მოვლა; ავადმყოფს უარდა ავადმყოფს უვლიდა (დიალექტ., 678).

**მორელი**-ი (ლენხ., ქვ. იმერ.) მოროდი, მეორედ გათოხნა სიმინდისა. ნ. მორადი (მ. ალავ., 1; ზ. კუმბურ., 280).

**მორეკება**-ა (თუშ.) მოკრა, მოკვეთა თავისა (ბ. ხუბ.).

**მორეკვა** (გურ.) კაკლის დაბერტყვა; მრეკელი-ი მბერტყავი კაკლისა; მორეკილი-ი დაბერტყილი კაკალი (ა. ღლ.).

**მორვა** (გურ.) ხის კრა, ჩეხა, ტოტების გადაკრა (ა. ღლ.).

**მორთავი**-ი (ქიზიყ.) სახლებისა და ქოხსახპლების ჩალით დამხურავი, ჩალის დამრთველი (ს. მენტემ.).

**მორიალებული**-ი (ლენხ.) ეზოში, კალოზე ან იატაკზე უწყესრიგოდ მიმოყრილი სხვადასხვა სამეურნეო იარაღები (მ. ალავ., 2).

**მორიგე** (ხევსურ.) ცრურწმენით, პირველი ღვთაება, რომელიც ყველაზე ძლიერი და უფროსია, ის ქვეყანას რიგს აძლევს და ყველანი მის ბრძანებას ემორჩილებიან (ს. მაკალ., 238).

**მორიგე რძალი**-ი (მთიულ.) დიდ ოჯახში ერთი წლით თადარიგის დასაცავად მორიგედ გამოყოფილი რძალი (ს. მაკალ.).

**მორიღება** (იმერ.) საქმის მოთაება, საზრუნავის მოშორება. „ძაძის გამოფშვნა თუ შევირილუ, მერე მოთოვოს“ (ი. ქავთ.).

**მორიდი**-ი (იმერ.) მეორედ გათოხნა სიმინდის ყანისა. ნ. მორადი, მორედნი (დიალექტ., 671).

**მოროკება** (ლენხ.) სწრაფი სრიალი კვერისა კალოზე; მოროკიალი-ი ჩქარი ლეწვა. „ხარებს სირბინი დააწყე-

- ბია და კვერი მოროკდა“ (მ. ალაფ., 2).
- მოროკვა** (იმერ.) როკით — პატარა-პატარა ქვებით ან ქვის ნამცეცებით მოფენა გზისა (ი. ქავთ.).
- მოროხვილი**-ი (გურ.) მიულაგებელი, არეულ-დარეული (გ. შარაშ.).
- მორუჯვა** (იმერ.) მოტუსვა, ოდნავ მოწვა (დილაქტ., 671).
- მორქიანი**-ი (ლეჩხ.) ნაწილი (არა უმეტეს ერთი მეტრის სიგრძისა) ცოცხალ ხეზე გაშენებული ვაზის ტოტისა (მტევნებითურთ), რასაც ქარი აქეთ-იქით აქანავენს, არწევს. ნ. რქიანი (მ. ალაფ., 2).
- მორღენა**-ა (თუშ.). 1. იატაკის მოღვსვა ტალახით; 2. იატაკზე წყლის მოსხურება (თ. უთურგ.).
- მორყვნა** (ქიზიყ.) სხვისი ძაგება (ს. მენთეშ.).
- მორჩი**-ი (ლეჩხ., აჰარ.) მეორადი თიბეა (მ. ჩიქ.); მეორედ მონათიბავი (პ. ჯაჯან.).
- მორჩე**-ი (ზ. აჰარ.) მეორედ გათიბული მორწყული სათიბი. ნ. მორჩი (მ. ნიქარ.).
- მორჩე**-ი<sup>2</sup> (ქვ. იმერ.) კლაკვი, მცენარეა (ა. მაყ.).
- მორჩომილი**-ი (გუდამაყრ.) მორჩენილი, მოთავებული, გათავებული (დილაქტ., 573).
- მორცხულა** (გურ.) უსურვაზი, მცენარეა (ა. მაყ.).
- მორხილი**-ი (რაკ.) ორთითა ხე წერზე (ძნა) მიყრდნობილი დასამაგრებლად (ვ. ბერ.); ბოქინტი, ბარჯი, ბიჯგი, გრძელი სარი წერის (ნ.), აგრეთვე თივის ზეინის შესაყენებლად (დილაქტ., 686).
- მოსადევარ**-ი<sup>1</sup> (ფშ.) შთამომავლობა (დილაქტ., 592).
- მოსადევარ**-ი<sup>2</sup> (კახ.) ადგილ-სამყოფელი, მამული და სახლ-კარი (ა. მარტ., გ. იმნ.).
- მოსადევარ**-ი<sup>3</sup> (თუშ.) აღკაზმულობა ცხე-

- ნისა; ყველაფერი, რაც ცხენის შეკაზმვას სჭირდება (თ. უთურგ.).
- მოსადრვა** (ინგილ.) მოსაზრვა, საქმის მოსინჯვა დაწვებამდის (მ. ჯან.).
- მოსავება** (იმერ., გურ.) დასუსტება, ჯანის გამოცლა, ძალ-ღონის გამოლევა (დილაქტ., 671).
- მოსაკლისება** (იმერ.). 1. ეინმეს არყოფნის გამო შეწუხება, განცდა. „ბოვშემა დედა მეისაკლისა“; 2. მოკლება, დაკლება. „ღვინოს ნუ დალევო, მარა ცო-ცოტარას სტორეთ ვერ მევისაკლისეთ“ (ი. ქავთ.).
- მოსამაგისება** (იმერ.) საიმედოდ მოთავება საქმისა, საფუძვლიანად და საგულ-დაგულოდ გაკეთება რისამე (ი. ქავთ.).
- მოსამაგრისება** (იმერ.) მომარჯვება. „იარალი ხელში უნდა მოვისამაგროსოთ“ (მ. ალაფ., 3).
- მოსამატი**-ი (ქართლ.) საყვერის დასაგრძელებელი მოკლე ღვედი (თ. რაზიკ., „ივერია“, № 167, 1900; ი. ჭყონ.).
- მოსანთება** (ქიზიყ.) მომარჯვება. ნ. სენთი (ს. მენთეშ.).
- მოსანთებ**-ი (იმერ., გურ.) წერილად დაჩეხილი ხელი შეშა ცეცხლის დასანთებად (ი. ქავთ.; ა. ლ., გურ.).
- მოსანთო** (ხევსურ.) სანთლის ამნთები; ხატის შესაწირავი ზავიწიანი კვერი და სანთელი (ს. მაკალ.).
- მოსანცველება** (იმერ.) გაბატონება, ხოლო არა ყოველგვარი, დაპატრონება, მაგ., კატა რომ რამდენჯერმე, პატრონის წყრომის მიუხედავად, ლოგინზე დაწვეს მოურიდებლად, მაშინ იტყვიან: „როგორ მოისანცველა ამ კატამ აქაურობაო“ (ი. ჭყონ.).
- მოსარავლება** (გურ., იმერ.) მოსრესა და გაფუქება (გ. შარაშ.); ფეხით უწყალოდ გათელვა, მოხრება (ი. ქავთ.).
- მოსარვა** (იმერ.) ვენახისათვის სარების დასობა (ლ. ლექ., 67).
- მოსარქლება** (ინგილ.) პირქვე დამხობა ქვაბისა და სხვა კურკლისა; მოსარ-

ქლა გადმოაბრუნა სავესე ქვაბი და სხვა ჭურჭელი (მ. ჭან.).

**მოსასწრაფი** (გურ.) ცხვირი რომ მოექავება კაცს, იტყვიან მოსასწრაფიაო, სტუმარი მოისწრაფებაო. „მოსასწრაფია, ვინცა მუა ნამდვილათ“ (გ. შარაშ.).

**მოსასწრები** (ქვ. იმერ.) საუცხოო, საკვირველი, მშვენიერი. „რა მოსასწრები ა ე გოგო!“ (ბ. წერეთ.).

**მოსაქანი** (გურ.) სახსარი (სხეულისა). „გეიქნია და კაკალ მოსაქანში მომარტყა“ (გ. შარაშ.).

**მოსაშვალე** (გურ.) გამრიგე, შუაქაცი, მოლაპარაკებასა და დავაში დამხმარე (ი. ჭყონ.).

**მოსახელე** (მთიულ.) სახელოვანი, ყველაზე კარგი (ლ. კაიშ.).

**მოსახელავი** (ზ. იმერ.) მოსავლელი (ქ. ძოწ.).

**მოსახკარობა** (ყაზ.) ოჯახს მოკიდება, დაბინავება, დასახლება (ა. მარტ., გ. იმნ.).

**მოსელ-ი** (მთიულ.) ბანის (ბრტყელი სახურავის) თავზე დასაწყობი მსხვილი ხეები (დილაქტ., 568); კოჭი, რომელსაც კედლებს ადებენ ჭერამდე (ლ. კაიშ.).

**მოსენტება** (გურ.) ნ. მოსანთება, სენთი.

**მოხინვა** (გურ.) სპილენძის ჭურჭლის დაფარვა მწვანე ფერის გამოხადებით. „მოსინულ ი არ იყოს მაი ჭურჭელი და არ მევიწამლოთ“ (გ. შარაშ.).

**მოხინილება** (გურ.) ნ. სინსილაი.

**მოხეკება-ა** (თუშ.) მოკუმევა; პირმოსკეპილი-ი პირმოკუმული (თ. უთურგ.).

**მოსლაქვა** (გურ.) ენით მოლოცვა; სლაქვა ლოცვა (ა. ღლ.).

**მოსლისთავი** (მთიულ.) ადგილი კედელზე, სადაც მოსელია (ნ.) გადებული (ლ. კაიშ.).

**მოსლურტვა** (ქიზიყ.) დავიწროება; მოსლურტული-ი დავიწროებული (ს. მენთეშ., დამ.).

**მოსმინე** (გურ.) მსმენელი, გამგონე, დამჯერი, მორჩილი (ე. ნინ., 11, თ. კიკე.).

**მოსმულაყ-ი** (თუშ.) წყალში მოხარშული ცომის პატარ-პატარა ნაჭრები (თ. უთურგ.).

**მოსოღვა** (ქიზიყ.) სოლების ჩაყრა მორგვში (ს. მენთეშ.).

**მოსპეტა** (გურ.) მოწმენდა, მოლაშხება (ა. ღლ.).

**მოსპოტილება** (გურ.) მოწმენდა, გასუფთავება; მოსპოტილებული-ი მოწმენდილი. „უცეფ მუუსპოტილა ეზო“ (ა. ღლ.).

**მოსრაგნა** (აქარ.) ფეხით გათელვა (მ. ნიყარ.).

**მოსტოქვა** (იმერ.) ბალახის ძირზე მოჭმა (ე. ბერ.).

**მოსულტკბილება** (ქიზიყ.) აღერსით, ცქერით, გართობით, სხვასთან ყოფნით გაპლომა (ს. მენთეშ.).

**მოსუნყული-ი** (აქარ.) მოხრილი. „ჩემი ნენე წულში მოსუნყული არ ყოფილა“ (პ. ჯაჭან.).

**მოსხილ-ი** (ფერეიდნ.) მსხვილი, დიდი (დილაქტ., 630).

**მოსხლგტა** (ქიზიყ.) ფარიდან მცირე ნაწილის მოწყვეტა, მოცილება. ნ. ასხლგტა (ს. მენთეშ.).

**მოტანა** (ლენხ.) მოგება პირტყვის ნაყოფისა (ზბოს, კვიცის, ბატკნის, თიყნის ან გოჭის შობა). „ძროხამ ხფო მეიტანაა“; „ლორმა ათი გოჭი მეიტანაა“ (მ. ალავ., 2).

**მოტანტვლა** (ყაზ.) მოსერა ტალახში (ა. მარტ., გ. იმნ.).

**მოტფვა** (გურ.) მოსპობა, განადგურება, დანგრევა (პ. ჯაჭან.); განადგურება, დამტერევა, გაოხრება. „სულ მუუტაფავს ჭურჭელი“ (ა. ღლ.).

**მოტფვა** (გურ.) ტაფაზე ერბოკვერცხის მოწვა, გამზადება (ა. ღლ.).

**მოტევილი-ი** (ლენხ.) ცუდი შესახედაობის ქალი (მ. ჩიქ.).

**მოტეტკვა** (გურ.) გაფითრება, ფერის დაკარგვა; მოტეტკეილი-ი გაფითრებული, ფერდაკარგული (ა. ღლ.).

- მოტეხნიერება** (გურ.) მწვავე ტკივილის მოვლა ხანგამოშვებით. „მოტეხნიერებამ უხშირა... მალე მორჩება მშობიარე“ (გ. შარაშ.).
- მოტეხინება** (იმერ.) გადატ. გადაჩვევა, დაძლევა, მორევა (ი. ქავთ.).
- მოტყენა** (ქართლ.) მოტყეპნა, მოსწორება იატაკისა (პ. გაჩეჩ.).
- მოტყვარვა** (ლეჩხ.) კეახის თესლის ან სხვა მარცელის კეცზე შეწევა (მ. ჩიქ.).
- მოტყოჩი** (ზ. აკურ.) გარეული ხილი, შავი ფერის კურკოვან ნაყოფს ისხამს (შ. ნიყარ.).
- მოტყოცვა** (იმერ.) დიდი ხნის ფქვისაგან წისქვილის ქვის პირის გასწორება, გაგლუვება, ხორკლიანობის დაკარგვა. კარგად რომ დაფქვას, მოკოდვია (ნ.) საპირო (ი. ქავთ.).
- მოტლუზა** (გურ.) ცუდად მოზელა; მოტლეზილი-ი ცუდად მოზელილი (გ. შარაშ.).
- მოტლევა** (გურ.) მოლოკვა; ნ. ტლევა (ს. ეღ.).
- მოტლევადი** (გურ.) გასუფთავებული. გალოკილი; შიშველ მინდორზე იტყვიან მოტლევადი ადგილიაო. ნ. მოტლევა, ტლევა (ა. ღლ.).
- მოტლევადი** (თუშ.) საკმელია ერთგვარი (პ. ხუბ.).
- მოტლიაკებულ-ი** (იმერ.) მოტლევადი ადგილი (ნ.), რომელზედაც ბალახიც კი არ არის. „მოტლიაკებულ მინდორზე რას ჰვამს ძროხანი?“ (პ. ჯაჭან., IX, 258).
- მოტოლებული** (ფშ.) მოფარებული, დამალული (ი. ქეშვიც.).
- მოტოლვა ძაფისა** (გურ.) ძაფის ორ წვერად ახვევა, სანამ შეიგრიხებოდეს (გ. შარაშ.).
- მოტორვა** (ქნის ხეობ.) თეფშის მოლოკვა კერძის შეკმის შემდეგ (ვ. სომხიშვი.).
- მოტრაკვა** (გურ.) გაქუსლვა, გაქცევა (ა. ღლ.).
- მოტრუსვა** (ქართლ.) მოტრუსვა, მოწევა. მორტყვა (დიალექტ., 640; ა. ღლ., ქართლ., 287). შღრ.: დ. ჩუბ., ქეგლ.
- მოტყაბუნებულ-ი** (მოხ.) გადატ. ცუდა, უმსგავსო, უხეირო (ა. ყაზბ., IV, შ. ძიძ.).
- მოტყეხილ-ი** (იმერ., ოკრიბ.) ბოსტნეულისაგან დამზადებული საკმელია ერთგვარი („კომუნისტი“, № 190, 1967).
- მოტყეირობა** (ზ. იმერ.) ძველი ხალხური დღეობა, შუა მაისის ორშაბათობით იმართებოდა (ბ. წერეთ.).
- მოტრუტუნა** (ლეჩხ.). ნ. მოდუდუნა.
- მოუღვარი** (მოხ.) ნაზმატყლიანი ან ნაზვერად ნაზმატყლიანი ჯიშის ცხვარი (ი. ქაჯ.).
- მოუკლარწვა-ი** (ქართლ.) მოუხარაშავი, ხარშენაქლები, მაგ., ლობიო (მ. მესხ.).
- მოუკურავი** (ქართლ.) გადატ. მუცელი, სტომაქი. „მოუკურავში გადაუშევა“ (გ. შატბერ., 79).
- მოუმცდარი** (თუშ.) დაუმარცხებელი (ი. ბუქურ., 134).
- მოუპირავ-ი** (იმერ.) გაუმადარი. ნ. მოპირვა (ა. ჯაფარიძე, ჭიათურა).
- მოუფშიარებელ-ი** (ქართლ.). ნ. მოყშიარება.
- მოუსავლეთ-ი** (იმერ., ქიზიყ.) საიქიო, ადგილი, საიდანაც აღარავინ ბრუნდებდა, თუმცა წასვლით კი ბევრი მიდის (მ. ალავე, 3; ს. მენთეშ.). შღრ.: ქეგლ.
- მოუსმასწორებელ-ი** (გურ.) უსწორმასწორო, ოღრო-ჩოღრო ადგილი (ე. ნინ., II, თ. კიკვ.).
- მოფარჩხვა** (გურ.) ფარჩხებით დაფარვა ბოსტნის კვლებსა, რომ ქათამი და სხვა ფრინველი ვერ მიუღდეს გასაჩხრეკად (გ. შარაშ.).
- მოფარცახებულ-ი** (იმერ.) მოშლის, დანგრევის პირზე მისული შენობა (ი. ქავთ.).
- მოფასტავევა** (ქიზიყ.) მოკოპიტება, დაახლოებითი სახის მიცემა, მიმსგავსება (ს. მენთეშ.).
- მოფეღვა** (იმერ.) კარ-ფანჯრის ან ქიშკრის ფართოდ, სულ გაღება (ი. ქავთ.).
- მოფეშვა** (აქარ.). 1. მოფშენა, დაფხვნა, დანაყვა; 2. გადატ. მიბეგვა (შ. ნიყარ.).



**მოფხვამა** (ინგილ.) გამოდარება; მაიფხვამა გამოიდარა (მ. ჯან.).

**მოფთიანება** (გურ.) წიწილების ფრთების წამოზრდა (გ. შარაშ.).

**მოფირფვლა** (ლენჩ.) მიღებულია ფერფლ' იდან, თხლად მოთოვა მიწაზე; მოფირფლულ-ი თხლად მონათოვი. „თოვლი მოფირფლა და მალე ეიღო“ (მ. ალავე, 2).

**მოფირფიცება** (რაქ.) მოტივტივება, თავზე მოგდება; მოფირფიცებებს თავზე მოივდება; ნ. მოფირფიცება (დიალექტ., 686).

**მოფირფიცება** (ლენჩ.) ფირფიცის (ნ.), ტივტივის დაწყება, მოტივტივება; მოფირფიცებულ-ი მოტივტივებული. „რუვი ფორთლებს მეფირფიცებებს“ (მ. ალავე, 2).

**მოფიშფიშება** (ქიზიყ.) სახელდახელოდ მოზარშვა რისამე, შეკამადის სახელდახელოდ გაკეთება (ს. მენთეშ.).

**მოფიჩხვა** (გურ., აპარ.) ფიჩხის შეგროვება (ა. ლლ.; შ. ნიყარ.).

**მოფლატვა** (აპარ.) მონგრევა (პ. ჯაჯან.).

**მოფოთნა** (ლენჩ.) მიღებულია ფოთოლ' იდან, ყანაში, ნათბობში ან კალოზე დარჩენილი ფოთლებისა და ღეროების აკრეფა, შეგროვება. „კალოზე დაფანტული ფუჩეჩი მოფოთნა“. აკრეფა გასაბარცვათი სავნებისა. „ქურდებს ტანისამოსები და სავებ-სახურავი მოფოთნა აყუ და წოუდიყუ სახლიდან“ (მ. ალავე, 2).

**მოფოჟოვნება** (ქსნის ხეობ.) მოვარება. მოწესრიგება, „როგორმე მოაფოჟოვნე საქმეები და წამოდი!“ (ვ. სომხიშე).

**მოფოჟოლავება** (ქიზიყ.) საქმის ან სამუშაოს გაკოტავება, საქმის რამდენადმე გაკეთება, რომ გასაკეთებელი შეცოტავდეს. „დღესწორ წისკვილები ძვირი იყო (ბევრი იყო საფქვათი), ეხლა კი ცოტა მოფოჟოლავდა“ (ს. მენთეშ.). შდრ.: საბა, დ. ჩუბ.

**მოფოფინება** (ლენჩ.) ჭენება, აღფრთო-

ვანებით სვლა. „რამები ორივეს მოფოფინებდა შინ“ (მ. ალავე, ზეპირსიტყვე.).

**მოფუნჯვა** (ქიზიყ.) დაძლია. „ურემი სუ მოფუნჯვამ, სად წაიღებ“ (ს. მენთეშ.).

**მოფურჩხვა** (ოკრიბ.) მძიმე სენის (მაგ., ცხელების) უეცრად შეყრა (მ. ალავე).

**მოფულურება** (გურ., იმერ.) მოზუზვა, მოწყენა, აბუზვა ფრინველსა (გ. შარაშ.); მოფულურებულ-ი მოზუზული, მოღუშული, მოწყენილი (ს. ჟლ.); აბუზვა, მოწყენა (ვ. ბერ.).

**მოფურუკვა** (ხეცურ.) მოზელა (ა. ჭინკარ., 214).

**მოფჩხნა** (ფშ.) მოცილება, მოწყვეტა, მოშორება. „ვეღარ მაჰფჩხნიდით, თუ ერთხელ სასმელს პირს გადააბამდა“ (ი. ქეშიკ.).

**მოფხვრილ-ი** (ფშ.) მოთხრილი, ამოგლეჯილი, ძირფხვიანად ამოგდებული. „ნერგი ძვეს, ყრია მორები, ძირით მოფხვრილი ფიკვები“ (ი. ქეშიკ.).

**მოფხუვა** (ფშ.) ვაჭყევა, მოკურცხლება (ი. ქეშიკ.).

**მოქაღნე** (მოხ.) მომასწავებელი (ა. ყაზბ., IV, შ. ძიძ.; ქეგლ.).

**მოქანაღლება** (გურ., აპარ.) მოქანება, მორხევა, მონჯღრევა (ა. ლლ.; შ. ნიყარ.).

**მოქარგე** (მოხ.) მქარგავი (ა. ყაზბ., IV, შ. ძიძ.).

**მოქედურება**<sup>1</sup> (კახ.) ქედის მოხრევენება, დამარცხება (ა. მარტ., გ. იმნ.).

**მოქედურება**<sup>2</sup> (ქართლ.) ონავარი და ურჩი რქოსანი პირუტყვის მიერ ქედზე უღლის შებრუნება, რაც ძალიან აწუხებს პირუტყვს (გ. შატბერ., 79).

**მოქვანთრიშება** (ოკრიბ.) მიღებულია ქვანთრიშ' ისგან (ნ.): ძალის მიერ ადამიანებისადმი მოალერსება. „ძალდი მომექვანთრიშა“ (მ. ალავე).

**მოქვივნება** (ფშ.) დარქმევა (ი. ქეშიკ.).

**მოქიჩაობა** (ფშ.) ცხვრის ფარის წინ ვაციის სვლა. „მაჰქიჩაობდე, ვაცეგროძო, კუნელო, ამაჰდიოდე“ (ი. ქეშიკ.).



**მოქლოქნა** (ქართლ.) ზერელედ მოთონხნა (გაჩეჩი).

**მოქნა** (მთიულ.) მოტეხა (პურისა) (ლ. კაიშ.).

**მოქოლება** (ფშ.) დაყვავება, ტუბილი სიტყვით მოღობა, მოფერება (ი. ქეშიკ.).

**მოქონიება** (კახ.) შექმნა (ა. მარტ., გ. იმნ.).

**მოქრიახე** (ფშ.) დაუდგრომელი (ი. კყონ.); უგზო-უკვლოდ მოსიარულე, მოხეტიალე (ი. ქეშიკ.).

**მოქრუშვა** (ქიზიყ.) მოღრუბლვა; ვადატ. მოღუშვა, მოწყენა, გაბრაზება (ს. მენთეშ.).

**მოქუჩება** (ფშ., ქიზიყ., მთიულ., ფერეიდნ.) მოგროვება, თავის მოყრა (ვატა, II, ა. შან.; დიალექტ., 568; 607; 630). შდრ.: ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**მოქშაილება** (ლენხ.) მიმოზნევა, კარდაუხუხრობა, მოფლეშა (მ. ჩიქ.).

**მოქცევა** (გურ.). 1. გახუნება (ქსოვილისა); მოსაქცევი გასახუნებელი; მოქცეული გახუნებული, ფერდაკარგული; 2. მოქცევა კრუხისა გამოკრუხება (გ. შარაშ.).

**მოქცევა-ა** (ინგილ.) დაღვრა, „ღუნწ-ც მოქცევივა ზალმა მიწაზე“ (დიალექტ., 620).

**მოღავი** (ლენხ.) მოსავალი, ჰირნახული (მ. ჩიქ.); ბარაქა, მოსავალი (მ. ალავე, 1).

**მოღავიანი** (ლენხ.) ბარაქიანი, მოსავლიანი, დოვლათიანი ადგილი. ნ. მოღავი („კომუნისტი“, № 157, 1968).

**მოღალანებულ-ი** (გურ.) კვერცხის დასადებად გამზადებული ქათამი. „აი დოალი ისეა მოღალანებული, რომ მალე შეიწყებს კვერცხს“ (გ. შარაშ.).

**მოღალვილებულ-ი** (გურ.). ნ. მოღალვილებული, დაღვილი.

**მოღალვინებულ-ი** (გურ.) მრგვლად მოხრილი, მოღუნული; მოღალვინებული ცხვირი იტყვიან (გ. შარაშ.).

**მოღაჭურება** (იმერ.) საკბენად არ გაშეტება, კბილის ოდნავ გაკვრა ძაღლის მიერ; მოუღაჭურებს ძაღლი ოდნავ კბილს გაჭირავს, საკბენად არ გაიმეტებს (ი. ქვათ.).

**მოღება-ა** (თუშ., ინგილ., ფშ.) მოტანა; ამბავ მიხედვს ავამბავი მოითანესო (თ. უთურგ.; დიალექტ., 583; მ. ჯან.).

**მოღვერა-ა** (თუშ.). 1. ხიდან ქერქის აცლა; 2. 7-8 წლის ბიჭი; 3. მოზვერი (მ. ჩუბ.).

**მოღვილება** (გურ.) მეტად გაღვდა; მოღვიდაღებული გულგაღვილი. „რავა მოგვიღვიდაღებია მაი გული, ცაე“ (გ. შარაშ.).

**მოღვილება** (იმერ.) ფართოდ გაღვდა ყველა კარ-ფანჯრისა. ნ. მოფლევა (ი. ქვათ.).

**მოღვიწველა** (ლენხ.) ქვეშ ამოღებით ცემა (მ. ჩიქ.).

**მოღლა რძისა** (მთიულ.) კარაქის შეღლევა. „რქე რაი მაიღლევა, ქმა შეეცვლება“ (დიალექტ., 558).

**მოღლა** (იმერ.) თხელი (გ. ბერ.).

**მოღნაშვა** (ზ. იმერ.) მოშვება, ფრთების ჩამოყრა, მოუძღურება (ბ. წერეთ.).

**მოღნეშვა** (იმერ.). ნ. მოღნაშვა.

**მოღორება** (რაქ.) მოტყუება (შ. ძიძ., 210). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**მოღორღოშება** (მუცლისა) (ქიზიყ.) ოდნავ გაძლომა, მუცლის ოდნავ დაკმაყოფილება (ს. მენთეშ.).

**მოღრამულ-ი** (ლენხ.) სატეხით ამოღრამებულ-ი. „აფრას ორივე ნაპირი მოღრამული აქვს“ (მ. ალავე, 2).

**მოღრეჯა** (ქიზიყ., ქართლ., ფშ.) მობრუნება, თავის მობრუნება, ურმის მობრუნება ცალთვალზე ნახევრად (ს. მენთეშ.; ქეგლ.).

**მოღრჯოვებულ-ი** (ქართლ.) ძალზე შევიწროებულ-ი. „მოღრჯოვებულ-ი არიან ერთ ოთახშია“ (მ. მესხ.).

**მოღუსკვა** (ლენხ.) მოღუნვა, ბეჭებში მოხრა; მოღუსკული ბეჭებში მოხრილი (მ. ალავე, 2).

**მოყაღლე** (ქიზიყ.) უხელფასო (უჯამაგირო) მეველე, რომელიც თავის ვასამრჩელოდ მოწანაქედეთ (ნ.) ჯარიმას ახდევინებს (ს. მენთეშ.).

**მოყანება** (გურ.) საყანედ მომზადება ადგილისა (გ. შარაშ.).

**მოყაჟუვა** (ქიზიყ.) ობის მოკიდება. ნ. ყაჟყი, ყაჟი (ს. მენთეშ.).

**მოყაჟუვა<sup>2</sup>** (ქიზიყ.) მოთოვა, მცირე თოვლის მოსვლა და დედამიწის ოდნავ დაფარვა (ს. მენთეშ.).

**მოყაჟურება** (აჭარ.) გულის მოჯერება, გაძღომა. „ვერ მეიყაჟირა გინებით“ (პ. ჯაჯან.).

**მოყაჟვა** (ქიზიყ.) სრულად მოტანა, ბევრის მოტანა. „აბა, ერთი მოყაჟყე, რაღა გაჟ!“ (ს. მენთეშ., დამ.).

**მოყელვა** (მთიულ.): მოყელაღეს მიწის მიყარის ამოსულ მცენარეს (ლ. კაიშ.).

**მოყენება კარებისა** (მთიულ.) კარის მოხურვა, დაკეტვა. „მოაყენა ციხის კარები!“ (დიალექტ., 568).

**მოყვარე<sup>1</sup>** (ქართლ.) ცოლის ძმა (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.; ა. ლლ., ქართლ., 287).

**მოყვარე<sup>2</sup>** (იმერ.) ნათესავეები ცოლის მხრით, ცოლოტრი (პ. ჯაჯან., X; დიალექტ., 671). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**მოყვარე<sup>3</sup>** (ხევსურ., ფშ.) სატრფო, საყვარელი. „ისი ქალს, მოყვარეს, წაუყვანა. ისიც მისულ, ჭავთძირ წაუყვანა ეხჩი...“ (დიალექტ., 555); „შეყვარებულნი. „შენი მოყვარე ტანწვრილი შუაგზას ვნახე დაქრილი“ (ი. ქეშიკ.).

**მოყვილება** (ინგილ.) ნ. მოყივნება.

**მოყივნება-ა** (ინგილ., მოხ., ფშ.) შერცხვენა, სახელის გატეხა, თავმოჭრა (მ. ჯან.); სახელის გატეხა, საქვეყნოდ თავის მოჭრა (ა. ყაზბ., II, შ. ძიძ.); შერცხვენა. „წავალ, მარტუა მოვიყვან, არ მოვყაყივნებ გვარსაო“ (ი. ქეშიკ.). შდრ.: საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**მოყინილება** (ლენჩ.) ყელზე მოჭერა საბლისა. „ხვო გლახათ დოუბამს, მიუყინილებია და დეიხრჩობოდა, რო არ მიგშველებოდი“ (მ. ალავე, 2).

**მოყლარჱვა** (აჭარ.) 1. ყირჱაჱში (ყელში) ხელის მოჭერით მოგუღდა; 2. გაღატ. შეწუხება, გაწვალება, გაწამება (შ. ნიყარ.).

**მოყოლა-ა** (ინგილ., აჭარ.) დაწყება; თუ ფუილ მოჱყოლევი თუ ფუილი დაუწყია (დიალექტ., 620); გაყოლება, მიდამოში; კაი მოყოლაკი გაყოლა (დიალექტ., 659).

**მოყორე** (მოხ.) მოყვარე (დიალექტ., 562).

**მოყრა საქმისა** (იმერ.) მოგვარება საქმისა; მოყვარე მოვაგვარე. „საქმესე მოყვარე, როგორც თქვენ გსურდათ“ (მ. ალავე, დ. კლდ. ლექსიკ.).

**მოყრა** (ლენჩ.) ნ. მოგდება.

**მოყროწვეა** (იმერ.) ყროწვი (ყელში) ხელის მოჭერით მოგუღდა, მოხრჩობა; ასევე ტყიკიან ჰაერის ამოქვანა და სწრაფად თავის მოგვრება (ი. ქეთ.).

**მოყურე** (რაჱ.) ამბის გასაგებად წარგზავნილი კაცი (შ. ძიძ., 210).

**მოყურადე** (გურ.) ნ. მოყურე.

**მოშ-ი** (ხევსურ., ფშ.) ორივე ხელით აღებული თივა ან სხვა რამე; ქალს მოშავს ორთავე ხელით ეხვევა (ა. შან.); ზეინიდან თივის ერთად აღება (ა. ჭინჱარ., 227); რისამე ასაღებად გაშლილი ორივე მკლავი; ასე აღებული თივა და მისთ. (ა. ჭინჱარ., ფშ.).

**მოშავეთე** (ფშ.) ცრუ რწმენით, საიჭიოს მყოფი (ი. ქეშიკ.).

**მოშავეჱვა** (ქიზიყ.) საწყალი კაციისთვის რისამე მოცემა დიდი გაცირვებით (ს. მენთეშ.).

**მოშანდაკება** (ქიზიყ.) აღვილის მოწორება; მოსუფთაება (ს. მენთეშ.). შდრ.: ნ. ჩუბ., დ. ჩუბ., ქეგლ.

**მოშანშველა-ა** (თუშ., ქიზიყ.) დანაჱვიანება, მონაგვიანება (თ. უთურგ., ს. მენთეშ.).



**მოშობა** (გურ.) მონაოქებით თავის მოყრა (მაგ., პარკის, ქისისა და სხვ.), რომ შიგ ჩადებული ნივთები არ გადმოცვივდეს. „მოშობე მაი ტუმარაი, თვარა ქე გამოცივა ყორიფელი“ (გ. შარაშ.).

**მოშოქვა** (აქარ.) ფოთლის გაცლა, ფოთლის დაკრეფა (შ. ნიჭარ.).

**მოშულარი** (ფერეიდნ.). ნ. მავშლლარი.

**მოშქერუე** (ლენხ.) მელიქაური, მცენარეა (ა. მაყ.).

**მოშხვიფინება** (იმერ.) ნაკადულივით წამოსვლა, სწრაფად და უკლებლად გაზრდა (მაგ., წიწილებისა), გადარჩენა, მორჩენა (ი. ქავთ.).

**მოშხუნვა** (ლენხ.) თუჯის ან სპილენძის ჭურჭლის კედლებზე მიკრული ცხიმის მოშორება (მორეცხვა) ნაცარწმენდით ან სხვა რამით. „ქვაბი მოვშხუნე“ (მ. ალავე, 3).

**მოხალვა** (გურ.) ჩალის ნარჩენი ღეროების მოჭრა და აღება (ა. ღლ.).

**მოხაშიჩებულ-ი** (კახ.) გადატ. დაჩაჩანაკებული, დაბერებული (ა. მარტ, გ. იმნ.).

**მოხანაგება** (მთიულ.) მოთრევა (ლ. კაიშ.).

**მოხანთრება** (იმერ.) უშნოდ მოსვლა: მოხანთრებიან უშნოდ მოდიან. „მოხანთრებიან თითქო ტომრებში იყვნენ ვახვეულები“ (მ. ალავე, დ. კლდ. ლექსიკ.).

**მოჩეტ-ი** (ლენხ.) მოზრდილი წიწილა (მ. ჩიქ.).

**მოჩეტებულ-ი** (აქარ.) ხანში შესული. „მოჩეტებულ-ი კაცია მაგაც“ (პ. ჯაჯან.).

**მოჩებება** ღომისა (გურ.) ღომის საბოლოოდ გაცეხვა (გ. შარაშ.).

**მოჩვეთ-ი, მოჩოთ-ი** (იმერ.) მოზრდილი, ფრთაშესხმული წიწილა. ნ. მოჩეტ (ვ. ბერ.).

**მოჩითვა** (გურ.) უღამაზოდ, უგულოდ აშენება რისამე, ახუხულება (ა. ღლ.).

**მოჩირხალება** (ლენხ.) სველი მიწის (გზო, გზა, ყანა) ზედაპირის ატალახება, აჩი-

ჩქნა პირუტყვთაგან; მოჩირხალებულ-ი ატალახებულ-აჩიჩენილი. „ხარის ჯოგმა მოჩირხალა ეზო“ (მ. ალავე, 2).

**მოჩირხევა** (კახ.) ქალისა თუ ვაჟის მოწიფულობაში შესვლა, წამოზრდა; მოჩირხეებულ-ი მოზრდილი, მოწიფული. ნ. წამოჩირხევა (პ. ხუბ., ანგარიში).

**მოჩინებულ-ი** (ლენხ.) თვეში ჩამდგარი ორსული, ფეხმძიმე (მ. ალავე, 1).

**მოჩოთ-ი** (იმერ.). ნ. მოჩვეთი.

**მოჩოთვა** (გურ.). ნ. მოჩითვა.

**მოჩოჩინებულ-ი** (იმერ.) მოგების პირზე მისული მკვე პირუტყვი, ძლივს რომ დადის: ძროხა მოჩოჩინებულ-ი (ი. ქავთ.).

**მოჩრხვა** (ქართლ., მთიულ., ფშ.) მოზრდა, მოჩიტვა. „ბავშვი მოჩრხიხევა“ (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.), წამოჩრხიხეებულ-ი წამოზრდილი (ა. ღლ., ქართლ., 288); მოჩრხიხედება წამოიზრდება, ჩრხიხვად (ნაიქცევა (წიწილა) (ლ. კაიშ.); მოჩრხიხულ-ი წამოზრდილი (ი. ქეშვიკ.).

**მოჩხირულ-ი** (ქართლ.) წამოზრდილი (კირიონი).

**მოჩხოროხ-ი** (გურ.) ახალფრთაშესხმული წიწილა, შეფერენა რომ შეეძლება; მოჩხოროხებულ-ი ახალმოფრთიანებული წიწილა (ი. ჭყონ.); ყვერულ-ი (შ. ნიჭარ., აქარ.).

**მოჩხოტვა** (გურ.) ფოთლების ერთიანად გაცლა თუთის ხის ტოტზე („კომუნისტი“, № 157, 1968).

**მოცად-ი** (ქართლ., ქიზიყ., მოხ.) მეცადინე, მუყაითი, ბეჯითი, გამრჯე (ს. მენთეშ.; ო. ქაჯ.).

**მოცად-ი** (ქართლ.) ერთი წლის ან ცოტა მეტი ხნის ხბო (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); წვრილფეხი სანაშენო საქონელი (კირიონი).

**მოცადე** (მთიულ.) ყოჩალი, მონდომებულ-ი კაცი (ლ. კაიშ.).

**მოცადლობა** (მონ.) მცდლობა, ცდა, მონდომება (დიალექტ., 562).

